


მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები



IFRS® Foundation
დამხმარე მასალა
IFRS for SMEs® სტანდარტისთვის

მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ
2015 წლის ოქტომბერში გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტის მე-12 განყოფილების -
„*სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები*“ - სრული ტექსტი

*ვრცელ განმარტებებთან, თვითშეფასების კითხვებთან და სიტუაციურ მაგალითებთან
ერთად*

IFRS® Foundation
Columbus Building
7 Westferry Circus
Canary Wharf
ლონდონი E14 4HD
გაერთიანებული სამეფო

ტელეფონი: +44 (0)20 7246 6410

ელ. ფოსტა: info@ifrs.org

Web: www.ifrs.org

პუბლიკაციების დეპარტამენტი

ტელეფონი: +44 (0)20 7332 2730

ელ. ფოსტა: publications@ifrs.org

წინამდებარე მოდული მომზადებულია ფას ფონდის (შემდგომში ფონდი) საგანმანათლებლო გუნდის მიერ. იგი არ არის დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (შემდგომში საბჭო) მიერ. ეს მოდული შემუშავებულია, რათა დაეხმაროს IFRS for SMEs® სტანდარტის (შემდგომში სტანდარტი) მომხმარებლებს სტანდარტის დანერგვასა და თანმიმდევრულ გამოყენებაში.

წინამდებარე პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა უფლება, მათ შორის საავტორო უფლება, ეკუთვნის IFRS® Foundation-ს.
საავტორო უფლება © 2018 ფას ფონდი. ყველა უფლება დაცულია.
ელ. ფოსტა: info@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა: ყველა ნაგულისხმევი გარანტია, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ, დამაკმაყოფილებელი ხარისხის, კონკრეტული მიზნით გამოყენებისთვის შესაფერისობის, საავტორო უფლებების დაურღვევლობისა და სიზუსტის გარანტია, გამორიცხულია იმ ზომით, რამდენადაც შესაძლებელია მათი გამორიცხვა სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭო და ფონდი პირდაპირ იხსნიან ყველა პასუხისმგებლობას, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულებით, სამოქალაქო სამართალდარღვევით ან სხვა მიზეზით (მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პასუხისმგებლობით დაუდევრობის ან უმოქმედობის გამო) ნებისმიერი პირის მიმართ ნებისმიერ მოთხოვნასთან, ან ნებისმიერი ხასიათის ზიანთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამომდინარეობს შემდეგიდან: (i) წინამდებარე პუბლიკაციის სრულ, ან ნაწილობრივ შინაარსზე დაყრდნობით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, ან ნებისმიერი მოქმედების, ან უმოქმედობის შედეგები; და (ii) წინამდებარე პუბლიკაციაში არსებული ნებისმიერი, ან სხვა ინფორმაციისა და მასალების გამოყენება. შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებული ზომით, საბჭოს, ფონდს, ავტორებსა და გამომცემლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნებისმიერი სახის ზიანთან, ან ზარალთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია წინამდებარე პუბლიკაციის, ან მისი თარგმანის გამოყენებით, ან/და მის შინაარსზე დაყრდნობით, მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ პირდაპირ, არაპირდაპირ, გაუთვალისწინებელ, ან ირიბ ზიანთან, სადამსჯელო ზიანის ანაზღაურებასთან, ჯარიმებთან ან ხარჯებთან დაკავშირებით.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს რჩევას, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი და არ უნდა ჩაითვალოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირისგან მიღებული რჩევის შემცვლელად. შესაბამისი ბუღალტრული მოთხოვნებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტანდარტი.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული ნებისმიერი პირის, კომპანიის ან/და ადგილის დასახელება გამოწვეულია და შემთხვევითია რეალურ ადამიანებთან, საწარმოებთან ან ადგილებთან ნებისმიერი მსგავსება.

გამოყენების უფლება: მართალია, ფონდი ამ მოდულის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების მომხრეა, მაგრამ მისი გამოყენება უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემული გამოყენების პირობების შესაბამისად. თუ აპირებთ ჩვენი მასალების კომერციულ პროდუქტში ჩართვას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ, რადგან ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ ინდივიდუალური ლიცენზია. ჩვენი სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ ეწვიოთ ბმულს www.ifrs.org/issued-standards.

უნდა დარწმუნდეთ, რომ სარგებლობთ ჩვენი ვებგვერდზე არსებული ყველაზე ახალი მასალებით. ამ მოდული გამოყენების უფლებას ვადა გაუვა მოდულის გამოყენების შეწყვეტის ან განახლების შემთხვევაში, ასეთ დროს, საჭიროა მისი გამოყენების ან/და მისი ხელმისაწვდომობის შეწყვეტა. თქვენი ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დარწმუნდეთ, რომ იყენებთ შესაბამის მასალას, შეამოწმოთ ფონდის ვებგვერდი, რათა მიიღოთ ინფორმაცია სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, მს-ს დანერგვის ჯგუფის ჯერ არ ასახული კითხვების და პასუხების, ან/და მოდულების ახალი ვერსიების შესახებ.

გამოყენების პირობები

- 1) მომხმარებელს უფლება აქვს მოახდინოს ამ მოდულის სრული ან ნაწილობრივი რეპროდუქცია ნაბეჭდი ან ერთეული ელექტრონული დოკუმენტის სახით, იმ პირობით, რომ:
 - (ა) დოკუმენტი მონაწილეებს უფასოდ მიეწოდება;
 - (ბ) არ იყენებთ და არ ახდენთ რეპროდუქციას და არ აძლევთ სხვა პირებს უფლებას გამოიყენონ ან მოახდინონ მოდულზე, ან მოდულში გამოსახული ფონდის ლოგოს რეპროდუქცია;
 - (გ) არ იყენებთ და არ ახდენთ მოდულზე ან მოდულში წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნების რეპროდუქციას, როდესაც სრულად, ან ნაწილობრივ იყენებთ ამ მასალას საკუთარ დოკუმენტაციაში; და
 - (დ) უფლება გაქვთ ეს მოდული სრულად განათავსოთ თქვენს ვებგვერდზე, თუ დაურთავთ ჩვენი ვებგვერდის მკაფიო ბმულს (დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თქვენი ვებგვერდის ჩვენს ვებგვერდთან ბმის შესახებ, გთხოვთ, იხილოთ [პირობების გვერდი](#)).
- 2) სასაქონლო ნიშნები მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს.
- 3) ამ პუბლიკაციის რომელიმე ნაწილის კოპირების ან ციტირებისას სხვა დოკუმენტში შესატანად აუცილებელია, რომ:
 - (ა) დოკუმენტაცია მოიცავდეს საავტორო უფლების აღიარებას;
 - (ბ) დოკუმენტაცია მოიცავდეს განცხადებას, რომ ამ მოდულის ავტორი არის ფონდი და მოდულის დედანი ხელმისაწვდომია ფას-ის ვებგვერდზე www.ifrs.org;
 - (გ) დოკუმენტაცია მკაფიო ადგილას სათანადო ფორმით მოიცავდეს პასუხისმგებლობაზე უარის თქმას, როგორც ეს წარმოდგენილია ზემოთ;
 - (დ) ციტატა მოცემული უნდა იყოს ზუსტად; და
 - (ე) ციტატა არ უნდა იქნეს გამოყენებული შეცდომაში შემყვან კონტექსტში.

თუ აპირებთ ამ მოდულის ნებისმიერი ნაწილის ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით მიწოდებას ნებისმიერი სხვა მიზნით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ფონდს, რადგან დაგჭირდებათ წერილობითი ლიცენზია, რომელიც შესაძლოა მიიღოთ, ან ვერ მიიღოთ. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სალიცენზიო ჯგუფს (www.ifrs.org/legal/education-material-licensing).

პუბლიკაციისა და საავტორო უფლებების საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმართოთ ფას ფონდის პუბლიკაციების დეპარტამენტს:
ელ. ფოსტა: Publications@ifrs.org ვებგვერდი: www.ifrs.org

სასაქონლო ნიშნები



ფას ფონდის მსოფლიოში რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს შორისაა: 'eIFRS', 'International Accounting Standards', 'IAS', 'IASB', 'IASB' ლოგო, 'IFRIC', 'International Financial Reporting Standards', 'IFRS', 'IFRS' ლოგო, 'IFRS Foundation', 'IFRS for SMEs', 'IFRS for SMEs' ლოგო, 'Hexagon Device', 'NIIF' და 'SIC'. მოთხოვნის შემთხვევაში ფას ფონდიდან ხელმისაწვდომია დამატებითი ინფორმაცია ფას ფონდის სასაქონლო ნიშნების შესახებ.

სარჩევი

შესავალი _____	1
<i>მსს ფასს</i> სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული? _____	1
წინამდებარე მოდული _____	1
<i>მსს ფასს</i> სტანდარტი _____	2
შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები _____	3
რა შეიცვალა <i>მსს ფასს</i> სტანდარტში 2009 წლის შემდეგ _____	5
მოთხოვნები და მაგალითები _____	5
მე-11 და მე-12 განყოფილებების მოქმედების სფეროები _____	5
სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა _____	10
მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო _____	11
ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება _____	23
თავდაპირველი შეფასება _____	24
შემდგომი შეფასება _____	26
რეალური ღირებულება _____	28
თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება _____	31
ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა _____	32
ჰეჯირების აღრიცხვა _____	34
განმარტებითი შენიშვნები _____	87
მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები _____	96
თავდაპირველი შეფასება _____	96
შემდგომი შეფასება _____	97
ჰეჯირება _____	97
აღიარების შეწყვეტა _____	98
შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან _____	98
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა _____	102
გამოიყენეთ ცოდნა _____	107
სიტუაციური მაგალითი 1 _____	107
სიტუაციური მაგალითი 1 - პასუხი _____	109
სიტუაციური მაგალითი 2 _____	115
სიტუაციური მაგალითი 2 - პასუხი _____	116

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ამ მოდულში განხილული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, რომლებიც ეხება მცირე და საშუალო საწარმოებს (მსს) განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (საბჭო) მიერ 2015 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული *მსს ფასს* სტანდარტით.

ეს მოდული მომზადებულია ფასს ფონდის საგანმანათლებლო გუნდის მიერ. *მსს ფასს* სტანდარტის მე-12 განყოფილების - „სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“ - შინაარსი ამ მოდულში ნაცრისფრად არის მოცემული. *მსს ფასს* სტანდარტის ტერმინების ლექსიკონი (ლექსიკონი) ასევე მოთხოვნების ნაწილია. ლექსიკონში განსაზღვრული ტერმინები მოცემულია მუქი შრიფტით, როდესაც ტერმინი პირველად შემოდის მე-12 განყოფილების ტექსტში. შენიშვნები და მაგალითები, რომლებიც მომზადებულია საგანმანათლებლო გუნდის მიერ, არ არის მოცემული გამოყოფილი ფერით. ეს შენიშვნები და მაგალითები არ არის *მსს ფასს* სტანდარტის ნაწილი და არ არის დამტკიცებული საბჭოს მიერ.

შესავალი

IFRS for SMEs® სტანდარტის რომელი ვერსიაა გამოყენებული?

როდესაც 2009 წელს პირველად გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტი, საბჭომ განაცხადა, რომ განახორციელებდა სტანდარტის საწყის სრულ გადასინჯვას საწარმოების მიერ სტანდარტის გამოყენების პირველი ორი წლის გამოცდილებისა და შედეგად ცვლილებების შეტანის საჭიროების შესაფასებლად. ამ მიზნით, 2012 წლის ივნისში საბჭომ გამოაქვეყნა მოთხოვნა გადასინჯვაზე: *მსს ფასს-ის სრული გადასინჯვა*. ამის შემდეგ, 2013 წელს გამოქვეყნდა *მსს ფასს* სტანდარტში ცვლილებების შეტანის წინასწარი პროექტი, ხოლო 2015 წლის მაისში საბჭომ გამოაქვეყნა 2015 წლის შესწორებები *მსს ფასს* სტანდარტში.

2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ დოკუმენტში შეტანილი იყო მხოლოდ შესწორებული ტექსტი, ხოლო 2015 წლის ოქტომბერში საბჭომ გამოსცა სტანდარტის სრულად შესწორებული ვერსია, რომელშიც ასახული იყო მცირე დამატებითი სარედაქციო ხასიათის ცვლილებები და ასევე 2015 წლის მაისის არსებითი შესწორებები. ამ ვერსიას ეყრდნობა წინამდებარე მოდული.

2015 წლის ოქტომბერში გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტი მოქმედია 2017 წლის 1-ელ იანვარს და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საწარმო ვალდებული იყო გაემჟღავნებინა ეს ფაქტი.

წინამდებარე მოდულში მოცემული ნებისმიერი მითითება *მსს ფასს* სტანდარტზე შეეხება 2015 წლის ოქტომბერში გამოცემულ ვერსიას.

წინამდებარე მოდული

წინამდებარე მოდული ეთმობა ფინანსური ინსტრუმენტებისა და ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა და ოპერაციებისა, რომლებსაც მოიცავს მე-11 განყოფილება, *მსს ფასს* სტანდარტის მე-12 განყოფილების გამოყენებით. მე-12 განყოფილება ეხება იმ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებსაც არ მოიცავს მე-11 განყოფილება, შესაბამისად იგი მოიცავს უფრო

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ საკითხებს და მათთან დაკავშირებულ ოპერაციებს, მათ შორის ჰეჯირების აღრიცხვას. წინამდებარე მოდული განსაზღვრავს იმ მნიშვნელოვან მსჯელობებს, რომლებიც საჭიროა უფრო რთული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისთვის. ამასთან, წინამდებარე მოდული მოიცავს კითხვებს ამასთან, წინამდებარე მოდულში წარმოდგენილია კითხვები სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესახებ თქვენი ცოდნის შესამოწმებლად და სიტუაციური მაგალითები, რომლებიც მოთხოვნების გამოყენების პრაქტიკულ შესაძლებლობას იძლევა, რათა უფრო რთული ფინანსური ინსტრუმენტების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით მოხდეს.

ამ მოდულის წარმატებით დასრულების შემდეგ, თქვენ შეძლებთ, მსს ფასს სტანდარტის ფარგლებში:

- იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრას, რომლებიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება;
- განმარტოთ, თუ როდის უნდა მოხდეს ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება და როდის უნდა მოხდეს მისი აღიარების შეწყვეტა;
- ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეფასების მოთხოვნების გამოყენებას თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომში;
- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების სათანადო მეთოდების განსაზღვრას და გამოყენებას;
- იმ ტიპის ოპერაციების განსაზღვრას, რომლებთან დაკავშირებითაც საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა და ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების უნარი აღნიშნულ სცენარებთან დაკავშირებით;
- სათანადო ინფორმაციის მომზადებას იმ ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებს მე-12 განყოფილების გამჟღავნების მოთხოვნებს; და
- ფინანსური ინსტრუმენტებისა და მათთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვისას საჭირო მნიშვნელოვანი მსჯელობების გაგების დემონსტრირებას.

მსს ფასს სტანდარტი

მსს ფასს სტანდარტი გამიზნულია იმ საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის რომელთაც არ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება (იხ. პირველი განყოფილება - „*მცირე და საშუალო საწარმოები*“).

მსს ფასს სტანდარტი შედგება სავალდებულო მოთხოვნებისა და სხვა არასავალდებულო მასალისგან.

არასავალდებულო მასალა მოიცავს:

- წინასიტყვაობას, რომელშიც მოცემულია *მსს ფასს* სტანდარტის ზოგადი შესავალი და განმარტებულია მისი მიზანი, სტრუქტურა და უფლებამოსილება;
- მითითებებს დანერგვაზე, რომელშიც შედის საილუსტრაციო ფინანსური ანგარიშგებები და ანგარიშგების წარდგენისა და გამჟღავნების მოთხოვნების ცხრილი;
- დასკვნების საფუძველს, რომელშიც შეჯამებულია საბჭოს მიერ განხილული ის ძირითადი საკითხები, რომლებიც გახდა 2009 წელს გამოცემული *მსს ფასს* სტანდარტისა და 2015 წლის შესწორებების საფუძველი; და
- საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2009 წლის *მსს ფასს*

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სტანდარტის გამოცემას და ასევე საბჭოს იმ წევრის განსხვავებულ მოსაზრებას, რომელიც არ დაეთანხმა 2015 წლის შესწორებებს.

მსს ფასს სტანდარტში, დანართი ა: ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ სტანდარტზე გადასვლა და დანართი ბ: ტერმინთა განმარტებები წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნების ნაწილს.

მსს ფასს სტანდარტის 21-ე განყოფილება - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“; 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“ და 23-ე განყოფილება - „ამონაგები“ მოიცავს დანართებს. აღნიშნული დანართები წარმოადგენს არასავალდებულო მითითებებს.

მსს ფასს სტანდარტი გამოცემულია ორ ნაწილად: ნაწილი (ა) მოიცავს წინასიტყვაობას, ყველა სავალდებულო მასალას და 21-ე, 22-ე და 23-ე განყოფილებების დანართებს; ხოლო ნაწილი (ბ) მოიცავს ზემოთ აღნიშნული მასალის დარჩენილ ნაწილებს.

ამასთან, მსს-ს დანერგვის ჯგუფი (SMEIG), რომელიც ეხმარება საბჭოს *მსს ფასს* სტანდარტის დანერგვის საკითხებში, აქვეყნებს მითითებებს სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებით - „კითხვები და პასუხები“ (Q&As). ეს „კითხვები და პასუხები“ წარმოადგენს არასავალდებულო დროულ მითითებებს ბუღალტრული აღრიცხვის იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მსს-ს დანერგვის ჯგუფთან *მსს ფასს* საწარმოებმა, რომელთაც დანერგეს სტანდარტი და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა წამოჭრეს. ამ მოდულის გამოცემის დროს (2018 წლის აგვისტო) მსს-ს დანერგვის ჯგუფს ჰქონდა გამოქვეყნებული აღნიშნული მოდულის შესაბამისი კითხვები და პასუხები..

შესავალი - სტანდარტის მოთხოვნები

მცირე და საშუალო საწარმოების საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს, რომელსაც არ გააჩნია უფლებამოსილება საწარმოს მოსახვედრად თავის სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება. ასეთი მომხმარებლები შესაძლოა იყვნენ, მაგალითად, საწარმოს მესაკუთრეები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ საწარმოს საქმიანობის მართვაში, არსებული და პოტენციური კრედიტორები და საკრედიტო რეიტინგის სააგენტოები.

მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“ და მე-12 განყოფილება „სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ფინანსური ინსტრუმენტი განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

მსს ფასს სტანდარტი მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების ბუღალტრული აღრიცხვის ორ არჩევანს:

- მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების გამოყენება სრულად; ან
- აღიარებისა და შეფასების მოთხოვნების შესრულება ბასს 39-ის - „*ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*“ (ფასს სტანდარტების სრული ვერსიის) მიხედვით, ხოლო განმარტებითი შენიშვნებში გასამყდავნებელი ინფორმაციის შესახებ მოთხოვნების შესრულება მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

იმის მიუხედავად, თუ რომელ მიდგომას აირჩევს საწარმო, იგი ვალდებულია ასევე გამოიყენოს 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულებებად ან წილობრივ ინსტრუმენტებად კლასიფიცირების პრინციპებს. 22-ე განყოფილება ეხება ისეთი წილობრივი ინსტრუმენტების აღრიცხვას, რომლებიც გამოშვებულია იმ პირებისთვის ან სხვა მხარეებისთვის, რომლებიც მოქმედებენ როგორც წილობრივი ინსტრუმენტების ინვესტორები (ანუ, როგორც საწარმოს მესაკუთრეები).

მე-11 განყოფილება ეხება ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს და შესაფერისია ყველა საწარმოსთვის, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით, თუ ამის ნაცვლად კომპანიას არჩეული არ აქვს ბასს 39-ის გამოყენება ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებისა და შეფასების მიზნით. მე-11 განყოფილების მიზნებისთვის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს:

- ფულად სახსრებს;
- სავალო ინსტრუმენტებს (როგორცაა ანგარიში, თამასუქი, ან სასესხო მოთხოვნები და ვალდებულებები) რომლებიც აკმაყოფილებს განსაზღვრულ პირობებს (კერძოდ, ინსტრუმენტის მფლობელის შემოსავალი ფიქსირებულია ან არის ცვალებადი განაკვეთით, ხოლო ცვალებადი განაკვეთის შემთხვევაში ეყრდნობა ერთ მითითებულ კოტირებულ, ან ბაზარზე დაკვირვებად (ემპირიულ) საპროცენტო განაკვეთს);
- სესხის მიღების ვალდებულებას, თუ მისი დაფარვა წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე შეუძლებელია და მოსალოდნელია, რომ სესხი დააკმაყოფილებს იგივე პირობებს, რასაც აკმაყოფილებს ამ განყოფილების სხვა სავალო ინსტრუმენტები; და
- ინვესტიციებს არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში, ასევე ინვესტიციებს არადაბრუნებად ჩვეულებრივ აქციებსა და პრივილეგირებულ აქციებში.

მიმოხილვა

წინამდებარე მოდული ეთმობა მე-12 განყოფილების მოთხოვნებს. მე-12 განყოფილება ეხება რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ შედის მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროში, გარდა იმ გამონაკლისებისა კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ზოგადად განხილულია *მსს ფასს* სტანდარტის სხვა განყოფილებაში (იხ. 12.3 პუნქტი).

მე-12 განყოფილება მოითხოვს, რომ საწარმომ აღიაროს ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, რაც, როგორც წესი, გარიგების ფასს წარმოადგენს. 12.12 პუნქტი დამატებით მითითებებს იძლევა გარიგების დანახარჯებისა და გადავადებული გადახდების ასახვასთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველ შეფასებას უკავშირდება.

შემდგომი შეფასებისას, ერთი გამონაკლისის გარდა, მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. გამონაკლისი ეხება წილობრივ ინსტრუმენტებს მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროში, რომლებიც არ იყიდება საჯაროდ და რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ასევე ხელშეკრულებები, რომლებიც ამგვარ ინსტრუმენტებთანაა დაკავშირებული და მათი შესრულება გამოიწვევს ამ ინსტრუმენტების მიწოდებას. ასეთი ინსტრუმენტები უნდა

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმოებს მოეთხოვებათ გამოიყენონ რეალური ღირებულებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ მე-11 განყოფილებით გათვალისწინებული მითითებები იმ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ხვდებიან მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროში.

მე-12 განყოფილებაში ასევე მოცემულია მითითებები ჰეჯირების აღრიცხვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, საწარმოს შეუძლია ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ურთიერთობა იმგვარად ჩამოაყალიბოს, რომ ჰეჯირების გარიგებამ დააკმაყოფილოს ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები. ჰეჯირების აღრიცხვის დროს ნებადართულია, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტთან და ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ერთდროულად აღირიცხოს მოგებაში ან ზარალში.

ქვემოთ ჩამოთვლილი რისკები არის რისკები, რომლებთან დაკავშირებითაც მე-12 განყოფილება ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი;
- მყარ ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი, ან საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- საწარმოს მფლობელობაში არსებულ საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკი, ან საბირჟო საქონლის ყიდვის, ან გაყიდვის მყარ ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული საბირჟო საქონლის ფასის რისკი; და
- უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი შეტანილი არ არის ამ სიაში, რადგან, ამ შემთხვევაში, ჰეჯირების აღრიცხვას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე *მსს ფასს* სტანდარტის სააღრიცხვო მოთხოვნების გათვალისწინებით.

რა შეიცვალა *მსს ფასს* სტანდარტში 2009 წლის შემდეგ

ქვემოთ მოცემულია ის ცვლილებები, რომელიც შევიდა მე-12 განყოფილებაში *მსს ფასს* სტანდარტის 2015 წლის შესწორების შედეგად:

- მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს *მსს ფასს* სტანდარტის სხვა განყოფილებებთან ურთიერთქმედების განმარტებები (იხ. პუნქტი 12.3(ბ),(ე) და (თ)-(ი)); და
- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების ახსნა-განმარტება, მათ შორის წინადადების დამატება, რომელიც განმარტავს უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობების ასახვას 9.18 და 30.13 პუნქტებთან შესაბამისობის მიზნით (იხ. პუნქტები 12.8(ა), 12.23, 12.25 და 12.29(დ)-(ე)).

ამასთან, წინამდებარე მოდულში წარმოდგენილია სხვა სარედაქციო ხასიათის ცვლილებები.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მოთხოვნები და მაგალითები

მე-11 და მე-12 განყოფილებების მოქმედების სფეროები

12.1 მე-11 განყოფილება და მე-12 განყოფილება - „სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“ – ორივე ეხება **ფინანსური ინსტრუმენტების (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები)** აღიარებას, აღიარების შეწყვეტას, შეფასებასა და განმარტებით შენიშვნებში მათ შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. მე-11 განყოფილება ეხება ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს და შესაფერისია ყველა საწარმოსთვის. მე-12 განყოფილება ეხება სხვა, უფრო რთულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ოპერაციებს. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს გააჩნია მხოლოდ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციები, იგი არ გამოიყენებს მე-12 განყოფილებას. თუმცა, საწარმომ ამ შემთხვევაშიც უნდა განიხილოს მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო, რათა დარწმუნდეს, რომ ამ განყოფილების მოქმედების სფეროში მისი ოპერაციები არ ხვდება.

შენიშვნები

მე-12 განყოფილება ეხება:

- ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს (ლექსიკონის განმარტების შესაბამისად, იხ. ქვემოთ), გარდა მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც უშუალოდ არის გამორიცხული მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროდან 12.3(ბ)-(ი) პუნქტებით; და
- არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ზოგიერთ ხელშეკრულებას (იხ. პუნქტები 12.4–12.5).

ფინანსური ინსტრუმენტები განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებს 11.8 პუნქტის კრიტერიუმებს და არ არის გამორიცხული მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროდან 11.7 პუნქტით. ინსტრუმენტები, რომლებიც განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს მოიცავს:

- ფულად სახსრებს;
- სავალო ინსტრუმენტებს (მაგალითად ანგარიშებთან, თამასუქებთან და სესხებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები), რომლებიც განსაზღვრულ პირობებს აკმაყოფილებს;
- სესხის მიღების ვალდებულება, რომლის დაფარვა წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე შეუძლებელია და როდესაც მოსალოდნელია, რომ სესხმა დააკმაყოფილოს იგივე პირობები, რასაც აკმაყოფილებს ზემოხსენებული სასესხო ინსტრუმენტები; და
- ინვესტიციები არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში, ასევე ინვესტიციები არადაბრუნებად ჩვეულებრივ აქციებში ან პრივილეგირებულ აქციებში

მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროში ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით დამატებითი მითითებებისთვის იხილეთ მე-11 მოდული. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს რაიმე სხვა ფინანსური

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ინსტრუმენტი, მან უნდა განიხილოს მე-12 განყოფილება.

ის საწარმოსაც კი, რომელსაც ჩვეულებრივ მხოლოდ მარტივი ოპერაციები აქვს, შესაძლოა პერიოდულად გააჩნდეს ოპერაციები, რომლებიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. მაგალითად, ფიქსირებულვადიანი სესხის აღრიცხვა, რომლის პროცენტი გადასახდელია EURIBOR-ს პლუს 2%, მე-11 განყოფილების გამოყენებით ხდება, რადგან ცვალებადი განაკვეთი არის ერთი მითითებული კოტირებული, ან ბაზარზე დაკვირვებადი (ემპირიული) საპროცენტო განაკვეთი; თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პროცენტი გადასახდელია განაკვეთით, რომელიც ტოლი იქნება გამოქვეყნებული ოქროს ფასის ცვლილებისა, აღნიშნული ინსტრუმენტი არ განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს, განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს და მოხდება მისი შესაბამისი აღრიცხვა.

ზოგიერთი ინსტრუმენტი არ განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ არის საჭირო მათი აღრიცხვა მე-12 განყოფილების გამოყენებით, რადგან ისინი გათავისუფლებულია 12.3 პუნქტით.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის ფინანსური ინსტრუმენტები და ხელშეკრულებები, რომელთა აღრიცხვა სავალდებულოა მე-12 განყოფილების შესაბამისად, საწარმოსთვის არ არის აუცილებელი მე-12 განყოფილების გამოყენება. თუმცა, საწარმომ უნდა განაგრძოს ნებისმიერი ახალი ან არსებითად გადასინჯული ფინანსური ინსტრუმენტის, ან დაკავშირებული ოპერაციების შეფასება, რათა განსაზღვროს, ხომ არ არის სავალდებულო მე-12 განყოფილების გამოყენება.

2017 წლის დეკემბერში, მსს დანერგვის ჯგუფმა გამოაქვეყნა არასავალდებულო მითითებები (Q&A 2017/01) პასუხად კითხვაზე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ახდენს ანგარიშვალდებული საწარმო თავად გამოშვებული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების აღრიცხვას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს კითხვა დაისვა მშობელი საწარმოს მაგალითზე, რომელმაც გამოუშვა ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება შვილობილი საწარმოს სახელით, რომლის მიხედვითაც მშობელი საწარმო შვილობილ საწარმოზე ბანკის მიერ გაცემული სესხის დაფარვის გარანტიას იძლევა. თუმცა, ამ საკითხის განხილვისას, მსს დანერგვის ჯგუფმა დაასკვნა, რომ ასეთივე ბუღალტრული ასახვა ასევე გამოყენებული უნდა იქნეს საწარმოს მიერ სხვა საწარმოს სახელით ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების გამოშვების სხვა შემთხვევების მიმართ. მსს დანერგვის ჯგუფმა დაასკვნა, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება ფინანსური ინსტრუმენტია. რადგან ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება პირობითია და დამოკიდებულია მომავალ უცნობ მოვლენაზე, არ სრულდება 11.9(დ) პუნქტის კრიტერიუმში, რომ არ არსებობს პირობითი გადახდის (ვალის დაფარვის), ან პირობითი შემოსავლის მიღების დებულებები. შესაბამისად, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არ წარმოადგენს ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტს 11.8 პუნქტის შესაბამისად, რადგან ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ვალდებულება არ აკმაყოფილებს 11.9 პუნქტის ყველა პირობას. მსს დანერგვის ჯგუფმა აღნიშნა, რომ 12.3(დ) პუნქტის გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებების და არა სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ. შესაბამისად, მსს დანერგვის ჯგუფის შეხედულებით, ანგარიშვალდებულმა საწარმომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება მე-12 განყოფილების - „სხვა

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები - მოთხოვნების გამოყენებით უნდა აღრიცხოს - თუ ანგარიშვალდებული საწარმო არ აირჩევს ბასს 39-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ - მოთხოვნების გამოყენებას (როგორც ეს ნებადართულია მსს ფასს სტანდარტის 11.2(ბ) და 12.2(ბ) პუნქტებით). აღსანიშნავია, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს ხშირად აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებებთან ფართოდ ასოცირებული მახასიათებლები. არ უნდა ჩაითვალოს, რომ „Q&A 2017/01“-ით განსაზღვრული ბუღალტრული ასახვა ეხება სხვა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

განმარტებები

ქვემოთ მოცემულია ლექსიკონიდან გადმოტანილი განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივი არის ნებისმიერი აქტივი, როგორცაა:

- (ა) ფულადი სახსრები;
- (ბ) სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი;
- (გ) საწარმოს სახელშეკრულებო უფლება:
 - (i) სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივი; ან
 - (ii) პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან
- (დ) ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და:
 - (i) რომლის თანახმად საწარმო მიიღებს ან შესაძლოა იძულებული იყოს მიიღოს, ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები; ან
 - (ii) რომელიც ანაზღაურდება ან შეიძლება ანაზღაურდეს ნებისმიერი ფორმით, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლით, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამ მიზნებისათვის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მისაღებად ან გადასაცემად გაფორმებული ხელშეკრულებებია.

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის:

- (ა) საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება:
 - (i) სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; ან
 - (ii) პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან

- (ბ) ხელშეკრულება, რომელიც დაიფარება ან შესაძლებელია დაიფაროს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და:
 - (i) რომლის თანახმად საწარმო გადასცემს ან შესაძლოა იძულებული იყოს გადასცეს ცვლადი რაოდენობის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები; ან
 - (ii) რომელიც დაიფარება ან შეიძლება ნებისმიერი ფორმით დაიფაროს, გარდა დადგენილი ოდენობის ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების გაცვლისა, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაზე. ამ მიზნებისათვის საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების მისაღებად ან გადასაცემად გაფორმებული ხელშეკრულებებია.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“ განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულებებად, ან წილობრივ ინსტრუმენტებად კლასიფიცირების პრინციპებს.

შენიშვნები განმარტებებთან დაკავშირებით

ფინანსური ინსტრუმენტები წარმოიშობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებებისგან. ტერმინები „ხელშეკრულება“ და „სახელშეკრულებო“ ეხება შეთანხმებას ორ ან ორზე მეტ მხარეს შორის და, როგორც წესი, კანონით გამყარებულია. ხელშეკრულებებს და შესაბამისად ფინანსურ ინსტრუმენტებს, შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა და არ არის აუცილებელი, რომ იყოს წერილობითი ფორმის. იმისათვის, რომ ხელშეკრულება ვალიდური იყოს, საჭიროა ორივე მხარის თანხმობა. თანხმობის მიცემა შესაძლებელია არაპირდაპირ, მაგალითად, საწარმოს ისეთი სახის მოქმედებით, რომელიც სხვა მონაწილე მხარეებს აფიქრებინებს, რომ საწარმოს განზრახული აქვს ხელშეკრულების გაფორმება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

იხ. მე-11 მოდული შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- მე-11 მოდულის მაგალითები 5–14 არის ისეთი მუხლების მაგალითები, რომლებიც არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს, შესაბამისად არ განეკუთვნება არც მე-11 განყოფილების და არც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.
- მაგალითები 15–16 და მაგალითები 20–22 გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტების მაგალითებია და გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირება. 16 და 20-22 მაგალითებში მოცემული ფინანსური ინსტრუმენტები მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება.
- მაგალითები 24–32 გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირება, რომლებიც მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. აღნიშნულ მაგალითებში მოცემული ფინანსური ინსტრუმენტები განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს.

მსს ფასს სტანდარტის 11.6 და 11.11 პუნქტებში წარმოდგენილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების მაგალითები, რომლებიც, როგორც წესი, მე-12 განყოფილების სფეროს განეკუთვნება (თუმცა, არსებობს გამონაკლისები, მაგალითად, იხილეთ 12.5 პუნქტი):

- აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები, როგორცაა იპოთეკით უზრუნველყოფილი ობლიგაციები (ობლიგაციები, რომლებიც წარმოადგენს კონკრეტული ფულადი ნაკადების მოთხოვნებს იპოთეკის დიდი გაერთიანებებიდან) გამოსყიდვის ხელშეკრულებები (მოკლევადიანი სესხის ტიპი, რომლის დროსაც ფასიანი ქაღალდის გამყიდველი თანახმაა უკან შეისყიდოს იგი განსაზღვრულ ფასად და განსაზღვრულ დროს) და სეკიურიტიზებული მოთხოვნების პაკეტი (ინსტრუმენტები, როგორცაა ობლიგაციები სპეციალური დანიშნულების მექანიზმში, რომელსაც განკარგავს მოთხოვნებს);.
- ოფციონები, უფლებები, ვარანტები, ფიუჩერული ხელშეკრულებები, ფორვარდული ხელშეკრულებები და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, რომელთა დაფარვაც შესაძლებელია ფულადი სახსრებით, ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტზე გაცვლით.
- ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს და კლასიფიცირებულია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, მე-12 განყოფილების მოთხოვნების გამოყენებით, მაგალითად ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება.
- სხვა საწარმოზე სესხის გაცემის ვალდებულებები. სესხის გაცემის ვალდებულება წინასწარ განსაზღვრული პირობებით კრედიტის მიცემის მყარი ვალდებულებაა; მაგალითად, ექვს თვეში 100,000 ფე-ის სამწლიანი სესხის მიცემის ვალდებულება წლიური 4% ფიქსირებული განაკვეთით.
- სესხის მიღების ვალდებულება, თუ აღნიშნული ვალდებულების დაფარვა წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე შეუძლებელია.
- სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციები, რომლებიც არ მოიცავს არაკონვერტირებად პრივილეგიურულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ და პრივილეგიურულ აქციებს. დაბრუნებადი ინსტრუმენტი მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს განსაზღვრული მოვლენების მოხდენისას.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- საპროცენტო განაკვეთის სვოპი, რომელიც წარმოშობს დადებითი ან უარყოფითი ფულადი ნაკადების მოძრაობას, ან ფორვარდული ვალდებულება საბირჟო საქონლის ან ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის შესახებ, რომლის დაფარვა შესაძლებელია ფულადი სახსრებით და დაფარვის დროს შეიძლება წარმოიქმნას დადებითი ან უარყოფითი ფულადი ნაკადები.
- ინვესტიციები კონვერტირებად სავალო ინსტრუმენტებში.

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა

12.2 საწარმომ უნდა განსაზღვროს, რომელ მიდგომას აირჩევს თავისი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის:

(ა) მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესრულება სრულად; ან

(ბ) **ალიარებისა და შეფასების** მოთხოვნების შესრულება ბასს 39-ის - „*ფინანსური ინსტრუმენტები: ალიარება და შეფასება*“ - მიხედვით, ხოლო განმარტებითი შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ მოთხოვნების შესრულება - წინამდებარე სტანდარტის მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით.

საწარმოს მიერ (ა) ან (ბ) ვარიანტის არჩევა წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას. 10.8–10.14 პუნქტებში მოცემულია მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება, როდის არის მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა, როგორც უნდა აისახოს ეს ცვლილება და რა ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს საწარმომ განმარტებით შენიშვნებში სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით.

შენიშვნები

საწარმომ უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მოცემულია 11.2(ა) ან 12.2(ბ) პუნქტში. მან უნდა გამოიყენოს აღნიშნული არჩევანი მისი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით. ეს 11.2 პუნქტით განსაზღვრული არჩევანის იდენტურია.

ბასს 39 უფრო რთულია და უფრო რთული გამოსაყენებელია, ვიდრე მე-11 და მე-12 განყოფილებები. მიუხედავად ამისა, საწარმომ შეიძლება გამოიყენოს 12.2(ბ) და 11.2(ბ) პუნქტებით გათვალისწინებული არჩევანი, რათა გამოიყენოს ბასს 39 მე-11 და მე-12 განყოფილებების ნაცვლად; მაგალითად იმიტომ, რომ საწარმომ შეიძლება აირჩიოს ჰეჯირების აღრიცხვა ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელთა ჰეჯირების აღრიცხვა შესაძლებელია ბასს 39-ის შესაბამისად, მაგრამ არ არის შესაძლებელი მე-12 განყოფილების შესაბამისად.

მას შემდეგ, რაც საწარმო აირჩევს (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, არჩევანის შეცვლა (მაგალითად (ა)-დან (ბ)-ზე გადასვლა) წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას, რაც რეგულირდება 10.8–10.14 პუნქტებით. მიუღებელია ერთი პოლიტიკის არჩევა ყოველ წელს, როდესაც საწარმო ფლობს განსაზღვრულ ინსტრუმენტს და მეორე პოლიტიკის არჩევა იმ წელს, როდესაც საწარმო აღარ ფლობს აღნიშნულ ინსტრუმენტს. სააღრიცხვო პოლიტიკის შესაცვლელად ახალი პოლიტიკის გამოყენება უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას უნდა

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

უზრუნველყოფდეს და გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად, შესადრისი ინფორმაციის გადაანგარიშებით.

იმის მიუხედავად, თუ რომელ ზემოხსენებულ არჩევანს გამოიყენებს საწარმო, საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა გამოიყენოს 22-ე განყოფილების - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“ მოთხოვნები.

მე-12 განყოფილების მოქმედები სფერო

12.3 მე-12 განყოფილება ეხება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს, გარდა:

- (ა) მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისა;
- (ბ) **შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობაში** განხორციელებული ინვესტიციებისა, რომელთა აღრიცხვაც წარმოებს წინამდებარე სტანდარტის შემდეგი განყოფილებების მიხედვით: მე-9 განყოფილება – „*კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება*“, მე-14 განყოფილება – „*ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში*“, ან მე-15 განყოფილება – „*ინვესტიციები ერთობლივ საქმიანობაში*“;
- (გ) დამქირავებლის უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებსაც ითვალისწინებს **დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების** პროგრამები (იხ. 28-ე განყოფილება - „*დაქირა ვებულ პირ თა გასამრჯელოები*“);
- (დ) **სადაზღვევო ხელშეკრულებებით** გათვალისწინებული უფლებებისა, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებამ, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება ზარალი მოუტანოს რომელიმე მხარეს და ეს პირობები დაკავშირებული არ არის:
 - (i) დაზღვეული რისკის ცვლილებებთან;
 - (ii) სავალუტო კურსის ცვლილებებთან; ან
 - (ii) რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან;
- (ე) ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აკმაყოფილებს საწარმოს საკუთარი კაპიტალის განმარტებას, მათ შორის საწარმოს მიერ გამოშვებული **რთული ფინანსური ინსტრუმენტების** წილობრივი კომპონენტებისა (იხ. 22-ე განყოფილება - „*ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი*“);
- (ვ) **იჯარისა** (რომელიც განეკუთვნება მე-20 განყოფილების - „*იჯარა*“ - მოქმედების სფეროს). მაშასადამე, მე-12 განყოფილება ეხება ისეთ იჯარას, რომელსაც, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შეუძლია ზარალის მოტანა მეიჯარის

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ან მოიჯარისთვის და ეს პირობები დაკავშირებული არ არის:

- (i) საიჯარო აქტივის ფასის ცვლილებებთან;
- (ii) სავალუტო კურსის ცვლილებებთან;
- (iii) საიჯარო გადასახდელების ცვლილებებთან, რასაც განაპირობებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობა; ან
- (iv) რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან;

(ზ) **საწარმოთა გაერთიანების** დროს პირობითი კომპენსაციის გადახდის ხელშეკრულებებისა (იხ. მე-19 განყოფილება - „*საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი*“). ეს განთავისუფლება ეხება მხოლოდ მყიდველ საწარმოს;

(თ) ფინანსური ინსტრუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებისა, რომლებიც რეგულირდება 26-ე განყოფილებით - „*აქციებზე დაფუძნებული გადახდა*“;

(ი) მესამე მხარის მიერ ასანაზღაურებელი აქტივებისა, რომლებიც აისახება 21-ე განყოფილების - „*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*“ - შესაბამისად (იხ. პუნქტი 21.9)

12.4 ხელშეკრულებების უმეტესობა, რომლებიც ეხება არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვას, როგორცაა, მაგალითად საბირჟო საქონელი, **მარაგი** ან **ძირითადი საშუალებები**, არ განეკუთვნება ამ განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან ისინი არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს. თუმცა, წინამდებარე განყოფილება ეხება ყველა ხელშეკრულებას, რომელიც მყიდველს ან გამყიდველს ისეთი რისკების ქვეშ აყენებს, რომლებიც არ ახასიათებს არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ტიპურ ხელშეკრულებებს.


მაგალითად, წინამდებარე განყოფილება ეხება ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებსაც, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შეუძლია ზარალის მოტანა მყიდველის ან გამყიდველისთვის და ეს პირობები დაკავშირებული არ არის არაფინანსური მუხლის ფასის ცვლილებებთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან ან რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

12.5 12.4 პუნქტში აღწერილი ხელშეკრულებების გარდა, ეს განყოფილება ეხება არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ისეთ ხელშეკრულებებსაც, რომლებიც შეიძლება დაიფაროს წმინდა **ფულადი სახსრებით** ანგარიშსწორებით, ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მეშვეობით, ან ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლით იმგვარად, თითქოს ეს ხელშეკრულებები ფინანსური ინსტრუმენტები იყოს, შემდეგი გამონაკლისების გათვალისწინებით:
ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო არაფინანსური მუხლების მიღების ან მიწოდების მიზნით, შესყიდვებზე, გაყიდვებზე ან მოხმარებაზე საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად და ისევ შენარჩუნებულია, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს წინამდებარე განყოფილების მიზნებისთვის.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შენიშვნები—მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო

ქვემოთ მოცემული სქემის გამოყენება შესაძლებელია რათა განისაზღვროს, არის თუ არა რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტი მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროში დროის რაიმე მომენტში.



მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები



რამდენიმე ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც სხვა შემთხვევაში მოხვდებოდა მე-11 ან მე-12 განყოფილების სფეროში, გამორიცხულია ამ განყოფილებების მოქმედების სფეროდან და ამის ნაცვლად განეკუთვნება *მსს ფასს* სტანდარტის სხვა განყოფილებების მოქმედების სფეროს. მაგალითად, შვილობილ საწარმოში მონაწილეობა აღირიცხება მე-9 განყოფილების შესაბამისად. შესაბამისად, კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების ფლობა მესამე მხარე კომპანიაში განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, მაგრამ ასეთი აქციების ფლობა შვილობილ საწარმოში აღირიცხება მე-9 განყოფილების გამოყენებით.

ზოგიერთი ტიპის ხელშეკრულებისთვის განმსაზღვრელი ფაქტორი იმასთან დაკავშირებით ხელშეკრულება განეკუთვნება თუ არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად წარმოშობს ხელშეკრულება ხელშეკრულების მხარეთათვის ერთ ან ერთზე მეტ რისკს, რომლებიც, როგორც წესი, არ არის მოსალოდნელი მსგავსი სტანდარტული ხელშეკრულების შემთხვევაში. კერძოდ, სადაზღვევო ხელშეკრულება, იჯარა ან ხელშეკრულება, რომელიც ეხება არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვას განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს თუ ხელშეკრულებების პირობები მხარეებისთვის წარმოშობს შესაძლო ზარალის რისკს, რაიმე მოვლენის შედეგად, რომელიც არ არის:

- ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- სავალუტო კურსის ცვლილებები; ან
- ხელშეკრულების საგნის ფასის ცვლილება, მაგალითად ოქროს ფასის ცვლილება ოქროს შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების შემთხვევაში, კონკრეტული დანადგარი ფასის ცვლილება დანადგარის იჯარის შემთხვევაში, ან სადაზღვევო შენატანების ზრდა დაზღვეული რისკის ცვლილების გამო, როგორცაა, მაგალითად სადაზღვევო შენატანების ზრდა ქარხნისთვის, რომელიც ბოლო პერიოდში დაიტბორა ცუდი ამინდის დროს, საწარმოო შენობების დაზღვევის შემთხვევაში.

სადაზღვევო ხელშეკრულებები, საიჯარო ხელშეკრულებები ან ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვას, რომლებიც მხარეებისთვის წარმოშობს ზარალის რისკს აღნიშნულ სამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, მაგრამ ხელშეკრულებები, რომლებიც მხარეებისთვის წარმოშობს სხვა ზარალის რისკს, აღირიცხება მე-12 განყოფილების გამოყენებით, როგორც ფინანსური ინსტრუმენტები.

12.3(დ) პუნქტი—სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებები

სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისად პოლისის მფლობელების, ბენეფიციარების ან ნებისმიერი მზღვეველის უფლებების უმეტესობა, რომლებიც

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

განეკუთვნება მსს ფასს სტანდარტის მოქმედების სფეროს, არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს და მათი აღრიცხვა ხდება სხვა განყოფილებების შესაბამისად. მაგალითად, პოლისის მფლობელებისთვის ნებისმიერი პირობითი აქტივი განეკუთვნება 21-ე განყოფილების - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მოქმედების სფეროს.

თუმცა, როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, 12.3(დ) პუნქტი მოითხოვს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების აღრიცხვა მოხდეს მე-12 განყოფილების გამოყენებით იმ შემთხვევაში, თუ მან შესაძლოა ზარალი მოუტანოს პოლისის მფლობელს ან მზღვეველს ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, და ეს პირობები დაკავშირებული არ არის დაზღვეული რისკის ცვლილებებთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან ან რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. მაგალითად, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, როდესაც ინსტრუმენტის ვადის გასვლისას გადასახდელი თანხა დაკავშირებულია კონკრეტული საბირჟო საქონლის, მაგალითად ოქროს ფასთან, აღრიცხება მე-12 განყოფილების გამოყენებით. ეს იმიტომ ხდება, რომ ფინანსური ინსტრუმენტის პირობები მოიცავს ფინანსური რისკის კომპონენტს, რომელიც იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულების დასაფარად აუცილებელი თანხის ოდენობის ისეთ ცვლილებას, რომელიც დაკავშირებული არ არის დაზღვეული მუხლის დაზღვევასთან.

12.3(ე) პუნქტი—საწარმოს საკუთარი კაპიტალი

12.3(ე) პუნქტით გათვალისწინებული გათავისუფლება ეხება მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტის ემიტენტს და არა მფლობელს. მე-11 განყოფილება მოიცავს იგივე გათავისუფლებას. 22-ე განყოფილება - „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“ განსაზღვრავს, თუ როგორ ახდენს ემიტენტი ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულებებად ან წილობრივ ინსტრუმენტებად კლასიფიცირებას. შესაბამისად, მე-11 და მე-12 განყოფილებების გამოყენებამდე საწარმომ 22-ე განყოფილების გამოყენებით უნდა გადაწყვიტოს, ფინანსური ინსტრუმენტი ფინანსური ვალდებულებაა, საკუთარი კაპიტალი თუ ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც საკუთარი კაპიტალის, ასევე ვალდებულების კომპონენტებს. მე-11 და მე-12 განყოფილებები გამოიყენება ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ფინანსური ვალდებულებებია და იმ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულების კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს როგორც საკუთარი კაპიტალის, ასევე ვალდებულების კომპონენტებს. არც მე-12 და არც მე-11 განყოფილება არ გამოიყენება იმ ფინანსური ინსტრუმენტების ან ფინანსური ინსტრუმენტების კომპონენტების მიმართ, რომლებიც საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს წარმოადგენს.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები, რომლებიც აღრიცხება, როგორც საკუთარი კაპიტალი 26-ე განყოფილების - „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ არ განეკუთვნება მე-12 და მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს.

12.3(ვ)—იჯარა

იჯარების უმრავლესობა წარმოშობს ფინანსურ ინსტრუმენტებს - მეიჯარეს აქვს ფულადი სახსრების (მომავალი საიჯარო გადასახდელების) მიღების სახელშეკრულებო უფლება, ხოლო მოიჯარეს აქვს ფულადი სახსრების (მომავალი საიჯარო გადასახდელების) გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება. იჯარა, როგორც წესი, არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან მე-20 განყოფილება - „იჯარა“ ადგენს მისი აღრიცხვის მოთხოვნებს. თუმცა, 12.3(ვ)

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

პუნქტის გამოყენებით, იჯარა, რომელსაც, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შეუძლია ზარალის მოტანა მოიჯარის ან მეიჯარისთვის და ეს პირობები დაკავშირებული არ არის საიჯარო აქტივის ფასის ცვლილებებთან, როგორცაა, მაგალითად, სავალუტო კურსის ცვლილებები, საიჯარო გადასახდელების ცვლილებები ცვალეზადი საბაზრო საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე ან რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, უნდა აღირიცხოს მე-12 განყოფილების გამოყენებით და გამორიცხულია მე-20 განყოფილების მოქმედების სფეროდან (ასევე იხ. 20.1(ე) პუნქტი). ასეთი იჯარა განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან მისი პირობები მოიცავს კომპონენტს, რომელიც იწვევს სახელშეკრულებო ვალდებულების დასაფარად აუცილებელი თანხის ოდენობის ისეთ ცვლილებას, რომელიც დაკავშირებული არ არის აქტივის იჯარასთან.

საჭიროა მსჯელობის გამოყენება 12.3(დ), 12.3(ვ) და 12.4 პუნქტებში მოცემული ფრაზის „დაკავშირებული არ არის“ ინტერპრეტაციის დროს.

ისეთი იჯარის მაგალითი, რომელიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს იქნება დიდ სავაჭრო ცენტრში მდებარე საცალო ვაჭრობის წერტილის იჯარა, რომლის გადახდები შეადგენს ფიქსირებულ წლიურ თანხას პლუს პირობითი წლიური ქირა მოიჯარის მიერ საცალო ვაჭრობის წერტილში განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული დაბეგვრის შემდგომი მოგების 1%-ის ოდენობით. თუმცა, ისეთი იჯარის მაგალითი, რომელიც არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს (და განეკუთვნება მე-20 განყოფილების მოქმედების სფეროს) იქნება დიდ სავაჭრო ცენტრში მდებარე საცალო ვაჭრობის წერტილის იჯარა, რომლის გადახდები ყოველწლიურად იზრდება პროცენტით, რომელიც ტოლია სავაჭრო ცენტრის რეალური ღირებულების ცვლილების პროცენტისა. გადახდის ცვლილება დაკავშირებული იქნება საიჯარო აქტივის ფასის ცვლილებასთან; ამიტომ იჯარა არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

ანარიცხი წაგებიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებისთვის, მაგალითად მოიჯარის მიერ ვაკანტურ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით გაკეთებული ანარიცხი, რომლის ქვეიჯარით გაცემა მან ვერ შეძლო, აღირიცხება 21-ე განყოფილების - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ შესაბამისად (იხ. 21.1(ა) პუნქტი), თუ იგი არ აკმაყოფილებს 12.3(ვ) პუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითები—მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო—12.3 პუნქტი

მაგ. 1 20X1 წლის 1-ელ იანვარს, A საწარმომ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, B ბანკისგან აიღო ხუთწლიანი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი 100,000 ფე-ის ოდენობით. სესხზე გადასახდელი პროცენტი LIBOR-ს პლუს 100 საბაზისო პუნქტს შეადგენს. LIBOR ორჯერ გაიზარდა 20X3 წლის განმავლობაში. A საწარმო შეწუხებულია საპროცენტო განაკვეთის უახლოეს მოამბაში ისევე გაზრდის მოლოდინით. 20X4 წლის 1-ელ იანვარს A საწარმომ C ბანკისგან იყიდა საპროცენტო განაკვეთის სვოპი სესხის ბოლო ორი წლისათვის; სვოპით და სესხით ერთობლივად გამოყენების შედეგად მიიღება სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულ 4,5%-ს შეადგენს 20X4 და 20X5 წლებში. სვოპის შესაბამისად, რომელიც ძირ თანხას 100,000 ფე-ად მიიჩნევს, A საწარმო იხდის ფიქსირებულ პროცენტს 3,5%-ის ოდენობით და იღებს ცვალებად პროცენტს, რომელიც მიბმულია LIBOR-ზე. LIBOR გადაანგარიშდება კვარტალში ერთხელ როგორც სესხის, ასევე სვოპის შესაბამისად.

სესხი განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს; ეს არის ცვალებადგანაკვეთიანი სესხი, რომელიც აკმაყოფილებს 11.9 პუნქტის პირობებს. მე-11 განყოფილების შესაბამისი აღრიცხვა გამოიყენება სესხის სრული ხუთწლიანი ვადის განმავლობაში.

მეორე მხრივ, სვოპი აღრიცხება მე-12 განყოფილების შესაბამისად, რადგან ის წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც არ არის მოცემული 11.8 პუნქტში და არ არის გათავისუფლებული 12.3 პუნქტით.

A საწარმოს რომ არ მიეღო სვოპი, ამის ნაცვლად 20X3 წლის ბოლოს დაეფარა სესხი და აეღო ახალი ორწლიანი სესხი 4,5%-იანი ფიქსირებული განაკვეთით, ამ შემთხვევაში, როგორც თავდაპირველი სესხი, ასევე ჩამნაცვლებელი სესხი განეკუთვნებოდა მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს.

განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში სვოპი მისაღები იქნებოდა ჰეჯირების აღრიცხვისთვის მე-12 განყოფილების შესაბამისად; იხილეთ 12.23 პუნქტი, ასევე 32-ე და 33-ე მაგალითები. ჰეჯირების აღრიცხვის მოგებაზე და ზარალზე ზემოქმედება როგორც 20X4, ასევე 20X5 წელს იგივე იქნება, რაც ორწლიანი სესხის ზემოქმედება, რომლის პროცენტი ფიქსირებულია, როგორც 4,5%, ანუ განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს.

მაგ. 2 A საწარმომ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, ახალი დანადგარის უცხოური მომწოდებლისგან შესაძენად გააფორმა ხელშეკრულება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს. მოსალოდნელია, რომ დანადგარი მზად იქნება მისაწოდებლად 20X2 წლის 31 იანვარს, რა დროისთვისაც A საწარმოს ხელშეკრულებით მოეთხოვება გადაუხადოს მწარმოებელს დანადგარის სრული ფასი, 10,000 უფე⁽¹⁾. A საწარმო წუხდა მისი ფულადი სახსრების მოძრაობაზე ვალუტის კურსის რყევების გავლენის გამო, შესაბამისად 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, A საწარმომ ასევე გააფორმა ფორვარდული ხელშეკრულება B ბანკთან 20X2 წლის 31 იანვარს 10,000 უფე-ის მიღებასთან დაკავშირებით 5,000 ფე-ის სანაცვლოდ.

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან იგი წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს; მასზე არ

¹ ამ მიდგომის არჩევის შემთხვევაში საწარმომ უნდა გამოიყენოს *ბასს 39*-ის ვერსია, რომელიც გამოიყენებოდა უშუალოდ *ფასს 9*-ის მიერ ბასს 39-ის ჩანაცვლების წინა პერიოდში. ამ ვერსიის ასლი ხელმისაწვდომია ბასსს-ის ვებგვერდზე (ifrs.org – Home < Suppo⁽²⁾) ეს არის გარემოების ცვლილება და არა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ვრცელდება 11.8 პუნქტის მოთხოვნები და იგი არ არის გათავისუფლებული 12.3 პუნქტით.

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება მისაღები იქნებოდა ჰეჯირების აღრიცხვისთვის მე-12 განყოფილების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები. იხ. 12.15 პუნქტი და შემდგომი პუნქტები.

დანადგარის შესყიდვის ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს—იხ. მე-6 მაგალითი.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგ. 3 A საწარმომ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, B საწარმოსგან შეისყიდა შვილობილი საწარმო, რომელიც აწარმოებს სკუტერებს. A საწარმო იხდის 50,000 ფე-ს შესყიდვის დღეს და თანხმდება დამატებით გადაუხადოს B საწარმოს 50,000 ფე ორი წლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ შვილობილი საწარმო დააკმაყოფილებს საქმიანობის წინასწარ დადგენილ საკონტროლო მაჩვენებლებს (ანუ, მეორე 50,000 ფე პირობითი კომპენსაცია). შვილობილი საწარმო მოელოს, რომ მუდმივად დააკმაყოფილებს საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებლებს ორი წლის განმავლობაში.

გადასახდელი/მისაღები პირობითი კომპენსაცია აკმაყოფილებს A საწარმოს ფინანსური ვალდებულებისა და B საწარმოს ფინანსური აქტივის განსაზღვრებას.

გადასახდელი პირობითი კომპენსაცია (A საწარმოს ფინანსური ვალდებულება) კონკრეტულად არის გამორიცხული მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროდან 12.3(ზ) პუნქტით, რადგან მისი აღრიცხვა ხდება მე-19 განყოფილების - „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ შესაბამისად. მეორე მხრივ, მისაღები პირობითი კომპენსაცია (B საწარმოს ფინანსური აქტივი) განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

მაგ. 4 A საწარმო, რომელიც მდებარეობს იაპონიაში ერთდროულად არის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების პოლისის მფლობელიც და ბენეფიციარიც. 10-წლიანი ხელშეკრულება მოითხოვს, რომ მზღვეველმა გადაიხადოს ფულადი თანხა A საწარმოს მესაკუთრე-მენეჯერის სიკვდილის ან ტერმინალური დაავადების შემთხვევაში, ან 10-წლიანი ხელშეკრულების დასრულებისას, თუ ეს უფრო ადრე მოხდება. ხელშეკრულების შესაბამისად, A საწარმოს მოეთხოვება წლიურად განსაზღვრული თანხის (სადაზღვევო შენატანის) გადახდა, სანამ არ მოხდება სადაზღვევო შემთხვევა (სიკვდილი ან დაავადება) ან არ ამოიწურება 10-წლიანი ვადა. თუ მოხდება სადაზღვევო შემთხვევა, A საწარმო (პოლისის მფლობელის რანგში) მიიღებს ფიქსირებულ გადახდას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმის მიხედვით გადახდილ პრემიებს. თუ 10-წლიანი ხელშეკრულების დასრულებისთვის არ მოხდება სადაზღვევო შემთხვევა, A საწარმო მიიღებს გადახდას, რომელიც გეგმის მიხედვით გადახდილი სადაზღვევო შენატანების ტოლია წინასწარ შეთანხმებული საფასურის გამოკლებით, პლუს ან მინუს უკუგება, რომელიც ტოლია Nikkei 225-ის ზრდის ან შემცირების პროცენტისა.

ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან პრემია ცვალებადია Nikkei 225-ის მაჩვენებლების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს შემოსავალი არ არის ფიქსირებული ან ცვალებადი, რომელიც ეყრდნობა ერთ მითითებულ კოტირებულ, ან ბაზარზე დაკვირვებად (ემპირიულ) საპროცენტო განაკვეთს. A საწარმოს უფლებებმა სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად, შესაძლოა ზარალი მოუტანოს რომელიმე მხარეს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-12 განყოფილებით.

ცვალებადი გადახდა დაკავშირებულია Nikkei 225-ის ცვალებადობასთან და არ არის დაკავშირებული დაზღვეულ რისკთან (მესაკუთრე-მენეჯერის ჯანმრთელობასთან), სავალუტო კურსთან ან რომელიმე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. შესაბამისად, A საწარმოს უფლებები სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს (იხ. 12.3(დ) პუნქტი).

მაგ. 5 A საწარმო B საწარმოსგან იჯარით იღებს დანადგარს ხუთწლიანი ფინანსური იჯარით, რომელიც განსაზღვრავს წლიურ ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს. გადასახდელები განსაზღვრულია უფე-ში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

A საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ფე. B საწარმოს სამუშაო ვალუტა არის უფე.

იმ შემთხვევაში, თუ უფე გამყარდება ფე-თან მიმართებით, A საწარმო, გადაიხდის უფრო მაღალ საიჯარო გადასახდელებს თავის სამუშაო ვალუტაში. თუმცა, რადგან მოიჯარის ზარალს იწვევს ვალუტის კურსთა ცვლილებები, იჯარის აღრიცხვა ხდება მე-20 განყოფილების შესაბამისად, რადგან იგი არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს (იხ. 12.3(ვ) (ii) პუნქტი).

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითები—მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო— 12.4 პუნქტი—
ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება არაფინანსური მუხლების ყიდვა-
გაყიდვას

მაგ. 6 20X1 წლის 1-ელ იანვარს, მანქანათმშენებელმა საწარმომ, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, გააფორმა ხელშეკრულება დანადგარის ექსპორტირებასთან დაკავშირებით მყიდველისთვის, რომლის სამუშაო ვალუტა არის უფე. ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ დანადგარის მიწოდება მოხდება 20X2 წლის 1-ელ ივლისს და ამ დროისთვის მყიდველი გადაიხდის 10,000 ფე-ს. დანადგარი განკუთვნილია მყიდველის საქმიანობაში გამოსაყენებლად.

წინამდებარე მაგალითში გადახდა ფე-ში მყიდველისთვის იწვევს სავალუტო რისკებს, რადგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები შეიცვლება ფე/უფე-ის გაცვლითი კურსის ცვლილებასთან ერთად (მაგალითად, მოსალოდნელო უფრო „ძლიერი“ ფე უფე-თან მიმართებით მყიდველისთვის გამოიწვევს შესყიდვის უფრო მაღალ ფასს, ვიდრე უფე-ში განსაზღვრული მსგავსი ფიქსირებულფასიანი ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების დღეს ფე:უფე-ს შორის არსებული სპოტ კურსის გამოყენებით). რადგან შესყიდვის ფასის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი მხოლოდ სავალუტო კურსის ცვლილებებით არის გამოწვეული და რადგან დანადგარი განკუთვნილია მყიდველის საქმიანობაში გამოსაყენებლად, აღნიშნული ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

დანადგარის მიწოდებამდე ხელშეკრულება ერთნაირად შეუსრულებელია როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველისთვის. პრაქტიკაში, ვალდებულებები ასეთი ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც ერთნაირად არ არის შესრულებული, როგორც წესი, არ აღიარდება ვალდებულებებად ფინანსურ ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წაგებია, მისი აღრიცხვა უნდა მოხდეს 21-ე განყოფილების გამოყენებით.

მაგ. 7 20X0 წლის 1-ელ იანვარს, A საწარმომ გააფორმა ხელშეკრულება B საწარმოსგან ფიქსირებული რაოდენობით სპილენძის გლინულების შესაძენად, რომლებიც მიწოდებული უნდა იქნეს 20X1 30 ივნისს. სპილენძის გლინულები განკუთვნილია A საწარმოს საქმიანობაში გამოსაყენებლად. A და B საწარმოები ერთი და იმავე იურისდიქციაში საქმიანობენ. შესყიდვის ფასი არის 20X0 წლის 1-ელ იანვარს ამ იურისდიქციის საბაზრო ფასს პლუს კორექტირება ამავე იურისდიქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსისთვის (PPI) 20X0 წლის 1-ელ იანვრიდან 20X1 წლის 30 ივნისამდე პერიოდში.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი აფასებს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ საკუთარ პროდუქციაში მიღებულ ფასთა საშუალო ცვლილებებს. ეს არის ფასების რამდენიმე ინდექსიდან ერთ-ერთი. მწარმოებელთა ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება აღნიშნულ იურისდიქციაში აფასებს ინფლაციას.

ამ მაგალითში, კორექტირება ინფლაციასთან დაკავშირებით როგორც მყიდველს, ასევე გამყიდველს უქმნის გაურკვეველი მომავალი ფულადი ნაკადების რისკებს. თუმცა, როგორც წესი, არ არის მოსალოდნელი, რომ სპილენძის გლინულების ფასი დაკავშირებული იყო მწარმოებელთა ფასების ინდექსთან (PPI); ამის ნაცვლად, გლინულების ფასი, როგორც წესი, დაკავშირებულია სპილენძის ფასთან. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველისთვის.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგ. 8 20X0 წლის 1-ელ იანვარს, A საწარმომ გააფორმა ხელშეკრულება B საწარმოსგან ფიქსირებული რაოდენობით სპილენძის გლინულების შესაძენად, რომლებიც მიწოდებული უნდა იქნეს 20X1 წლის 30 ივნისს. სპილენძის გლინულები განკუთვნილია A საწარმოს საქმიანობაში გამოსაყენებლად. A და B საწარმოები ერთი და იმავე იურისდიქციაში საქმიანობენ. შესყიდვის ფასი არის 20X0 წლის 1-ელ იანვარს ამ იურისდიქციის საბაზრო ფასს პლუს ან მინუს კორექტირება სპილენძის ფასის ცვლილებისთვის 20X0 წლის 1-ელ იანვრიდან 20X1 წლის 30 ივნისამდე პერიოდში.

ამ მაგალითში, როგორც წესი, მოსალოდნელია გლინულების ფასის ცვლილება სპილენძის ფასის შესაბამისად. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს არც მყიდველის და არც გამყიდველისთვის.

შენიშვნები— მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო— 12.5 პუნქტი

არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები ასევე აღირიცხება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეიძლება დაიფაროს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მეშვეობით, ან ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლით იმგვარად, თითქოს ეს ხელშეკრულებები ფინანსური ინსტრუმენტები იყოს. მაგალითად, საბირჟო საქონლის შესყიდვის ხელშეკრულება მომავალი თარიღისთვის, რომელიც მხარეებს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების შესაძლებლობას აძლევს. საანგარიშსწორებო თარიღისთვის მხარეები ფულადი სახსრებით გაცვლიან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასსა და ანგარიშსწორების დღეს არსებულ სპოტ ფასს შორის სხვაობის ოდენობას.

თუმცა, 12.5 პუნქტი განსაზღვრავს რომ ის ხელშეკრულებებიც კი, რომლებიც შეიძლება დაიფაროს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებული იყო არაფინანსური მუხლების მიღების ან მიწოდების მიზნით, შესყიდვებზე, გაყიდვებზე ან მოხმარებაზე საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად და ისევე შენარჩუნებულია (ზოგჯერ უწოდებენ „საკუთარი გამოყენების გამონაკლისს“). მაგალითად, თუ განვავრცობთ ზემოხსენებულ მაგალითს, მართალია, ხელშეკრულება შეუძლება დაიფაროს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, მაგრამ თუ მყიდველმა იმიტომ გააფორმა ხელშეკრულება, რომ მას სურს საბირჟო საქონლის საკუთარ საქმიანობაში გამოყენება და ეს კვლავ ასეა, ამ შემთხვევაში ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

მაგალითები—მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო— 12.5 პუნქტი— არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები (წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებისა და მოსალოდნელი გამოყენების გამონაკლისები)

მაგ. 9 საწარმო აფორმებს ხელშეკრულებას 12 თვეში მილიონი კილოგრამი სპილენძის შესყიდვასთან დაკავშირებით ფიქსირებულ ფასად, მოსალოდნელი გამოყენების მოთხოვნებისთვის (ფიქსირებულფასიანი ფორვარდული ხელშეკრულება). ხელშეკრულება საწარმოს უფლებას აძლევს 12 თვის გასვლის შემდეგ აირჩიოს

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სპილენძის ფიზიკური მიტანა ან წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების მიღება ან გადახდა ხელშეკრულების დასრულებისას სპილენძის სპოტ ფასზე დაყრდნობით.

თუ საწარმომ ხელშეკრულება გააფორმა იმიტომ, რომ მას სურს სპილენძის საკუთარ საქმიანობაში გამოყენება და ეს ისევე ასეა, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება აკმაყოფილებს 12.5 მუხლის გამოყენებისგან გათავისუფლების პირობას, შესაბამისად იგი არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

მაგ. 10 საწარმო აფორმებს ხელშეკრულებას 12 თვეში 10,000 კილოგრამი ბანანის შესყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული ბანანების შენახვის ვადის განმავლობაში საწარმო მოელის 9,000-დან 10,000 კგ-მდე ბანანის გაყიდვას საკუთარ მაღაზიებში. ნებისმიერი მეტობა/გაყუდიდავი ბანანი აღირიცხება, როგორც დანაკარგები, ან გადაეცემა ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციას.

ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან იგი გაფორმდა საწარმოს მოსალოდნელი შესყიდვის/გამოყენების მოთხოვნების შესაბამისად და ამიტომ აკმაყოფილებს 12.5 პუნქტის გამოყენებისგან გათავისუფლების პირობას. საწარმო ყიდის ბანანს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მაგ. 11 A საწარმო, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, წუხდა რეზინის მომავალ ფასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მან გააფორმა ფიქსირებულფასიანი ფორვარდული ხელშეკრულება ველოსიპედის 5,000 საბურავის შესყიდვასთან დაკავშირებით, ხუთი ზომიდან თითოეულის 1,000 ცალის ოდენობით, 10 თვეში 20,000 ფე-ად.

შემდგომად საბურავები აღიარებული იქნება, როგორც მარაგი, რომელიც გამოყენებული იქნება ველოსიპედების წარმოებისას.

ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან იგი გაფორმდა საწარმოს მოსალოდნელი შესყიდვის/გამოყენების მოთხოვნების შესაბამისად. საწარმო გამოიყენებს საბურავებს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ველოსიპედების წარმოებისას.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

12.6 საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

შენიშვნები— თავდაპირველი აღიარება

დაგეგმილი მომავალი ოპერაციები, მიუხედავად იმისა, რამდენად არის მოსალოდნელი ამ ოპერაციების განხორციელება, არ წარმოადგენს აქტივებს და ვალდებულებებს, რადგან საწარმო არ ხდება ხელშეკრულების მხარე.

ფორვარდული ხელშეკრულება, რომელიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, მათ შორის 12.5 პუნქტში აღწერილი ფორვარდული ხელშეკრულებები როგორცაა, მაგალითად არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც შეიძლება დაიფაროს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, აღიარდება, როგორც აქტივი ან ვალდებულება გარიგების დადების თარიღისთვის. როდესაც მხარე ფორვარდული ხელშეკრულების მხარე ხდება, უფლებებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება ხშირად თანაბარია, შესაბამისად, ფორვარდული ხელშეკრულების წმინდა რეალური ღირებულება ამ მომენტისთვის ხშირად ნულის ტოლია. იმ შემთხვევაში, თუ

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

უფლებებისა და ვალდებულებების წმინდა რეალური ღირებულება არ არის ნულის ტოლი, ხელშეკრულება აღიარდება, როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება.

თავდაპირველი შეფასება

12.7 საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ოპერაციის (გარიგების) ფასს.

მაგალითები—თავდაპირველი აღიარება და თავდაპირველი შეფასება

მაგ. 12 ფაქტები იგივეა, რაც მე-2 მაგალითში. კერძოდ, A საწარმომ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, ახალი დანადგარის უცხოელი მომწოდებლისგან შესაძენად გააფორმა ხელშეკრულება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს. მოსალოდნელია, რომ დანადგარი მზად იქნება მისაწოდებლად 20X2 წლის 31 იანვარს, რა დროისთვისაც A საწარმოს ხელშეკრულებით მოეთხოვება გადაუხადოს მწარმოებელს დანადგარის სრული ფასი, 10,000 უფე. A საწარმო შიშობს მისი ფულადი სახსრების მოძრაობაზე ვალუტის კურსის რყევების გავლენაზე, შესაბამისად 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, A საწარმომ ასევე გააფორმა ფორვარდული ხელშეკრულება B ბანკთან 20X2 წლის 31 იანვარს 10,000 უფე-ის მიღებასთან დაკავშირებით 5,000 ფე-ის სანაცვლოდ.

რადგან დანადგარის შესყიდვის ხელშეკრულება არ განეკუთვნება 12.4 ან 12.5 პუნქტს, ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან იგი წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და იგი არც 11.8 პუნქტში არის მოცემული და არც 12.3 პუნქტით არის გათავისუფლებული. შესაბამისად, უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება აღიარდება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, როდესაც A საწარმო გახდება ფორვარდული ხელშეკრულების მხარე; და მისი თავდაპირველი შეფასება მოხდება რეალური ღირებულებით. თუ B ბანკი, მხარე, რომელთანაც A საწარმო აფორმებს უფე-ის შესყიდვის ფორვარდულ ხელშეკრულებას, დამოუკიდებელი მესამე მხარეა, A საწარმოს მიერ გადახდილი ფასი, სავარაუდოდ, უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება იქნება. აღნიშნულ ფორვარდულ ხელშეკრულებაში, გაცვლითი კურსი არის უფე2.00:ფე1.00 (A საწარმო გადაიხდის 5,000ფე-ს 10,000 უფე-ის მისაღებად) და თუ ეს შეფასდება, როგორც რეალური ღირებულება, ფორვარდული განაკვეთი დაეყრდნობა 20X1 წლის 1-ლი ნოემბრის სპოტ ფასს (მაგალითად, უფე1.98:ფე1.00) რომელიც კორექტირებულია აღნიშნულ ორ იურისდიქციაში 3 თვის მანძილზე არსებული საპროცენტო განაკვეთების ასახვის მიზნით. შესაბამისად, 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, სამ თვეში გადასახდელი 5,000 ფე სამ თვეში მისაღები 10,000 უფე-ის ტოლია. ამ მაგალითში დაშვებულია, რომ ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება ხელშეკრულების დასაწყისისთვის, შესაბამისად B ბანკისთვის გადახდილი ფასი ნულის ტოლი იყო. ხელშეკრულების მოქმედებისას ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების გამოთვლის საილუსტრაციოდ იხილეთ მე-17 მაგალითი.

მაგ. 13 A საწარმოს, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, ჰქონდა ნამეტი ფულადი სახსრები და გადაწყვიტა აღნიშნული სახსრების ველოსიპედების მწარმოებელი კოტირებული საწარმოს აქციებში ინვესტირება. 20X3 წლის 12 ივნისს მან შეიძინა 1,000 კოტირებული

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

კონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია 5,000 ფე-ად. აღნიშნულ შენაძენზე A საწარმომ გადაიხადა გარიგების საფასური და სახელმწიფო საგერბო მოსაკრებელი სულ 100ფე-ის ოდენობით.

A საწარმო აღიარებს აქციებს 20X3 წლის 12 ივნისს. ისინი თავდაპირველად უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. 12.12 პუნქტი განმარტავს, რომ გარიგების დანახარჯები არ ჩაირთვება ფინანსური აქტივების (და ფინანსური ვალდებულებების) თავდაპირველ შეფასებაში, რომელთა შემდგომი შეფასება მოხდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. შესაბამისად, A საწარმო შეაფასებს აქციებს აღიარებისას 20X3 წლის 12 ივნისს, 5,000 ფე-ად (და არა 5,100ფე-ად—იხ. 12.12 პუნქტი).

მაგ. 14 ფაქტები იგივეა, რაც პირველ მაგალითში. კერძოდ, 20X1 წლის 1-ელ იანვარს, A საწარმომ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, B ბანკისგან აიღო ხუთწლიანი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი 100,000 ფე-ის ოდენობით. სესხზე გადასახდელი პროცენტი LIBOR-ს პლუს 100 საბაზისო პუნქტს შეადგენს. LIBOR ორჯერ გაიზარდა 20X3 წლის განმავლობაში.

იმის გამო, რომ საწარმო უახლოეს მომავალში მოელის საპროცენტო განაკვეთების ზრდას, 20X4 წლის 1-ელ იანვარს A საწარმომ C ბანკისგან აიღო საპროცენტო განაკვეთის სვოპი სესხის ბოლო ორი წლის განმავლობაში; სვოპით და სესხით ერთობლივად მიიღება სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულ 4,5%-ს შეადგენს 20X4 და 20X5 წლებში. სვოპის შესაბამისად, რომელიც ძირ თანხას 100,000 ფე-ად მიიჩნევს, A საწარმო იხდის ფიქსირებულ პროცენტს 3,5%-ის ოდენობით და იღებს ცვალებად პროცენტს, რომელიც გამოითვლება LIBOR-ით. LIBOR გადაანგარიშდება კვარტალში ერთხელ როგორც სესხის, ასევე სვოპის შესაბამისად.

როგორც ეს განმარტებულია პირველ მაგალითში, სესხი განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს სრული ხუთწლიანი ვადის განმავლობაში, ხოლო სვოპი აღირიცხება მე-12 განყოფილების შესაბამისად.

სვოპის აღიარება მოხდება 20X4 წლის 1-ელ იანვარს და თავდაპირველად შეფასდება ამ დროისთვის არსებული რეალური ღირებულებით. თუ C ბანკი, მხარე, რომელთანაც A საწარმო აფორმებს სვოპს, დამოუკიდებელ მესამე მხარეს წარმოადგენს, A საწარმოს მიერ გადახდილი ფასი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სავარაუდოდ, წარმოადგენს სვოპის რეალურ ღირებულებას.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შემდგომი შეფასება

- 12.8 ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროში მოქცეული ყველა ფინანსური ინსტრუმენტი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულების ცვლილებები აღიაროს მოგებაში ან ზარალში, გარდა:
- (ა) საწარმოს მიერ კლასიფიცირებული ჰეჯირების ურთიერთობის შემადგენელი ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ზოგიერთი ცვლილებისა, რომლის აღიარებაც მოითხოვება სხვა სრულ შემოსავალში 12.23 პუნქტის შესაბამისად; და
 - (ბ) წილობრივი ინსტრუმენტებისა, რომლებიც არ იყიდება საჯაროდ და რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე, ასევე ხელშეკრულებებისა, რომლებიც ამგვარ ინსტრუმენტებთანაა დაკავშირებული და მათი შესრულება გამოიწვევს ამ ინსტრუმენტების მიწოდებას, რომლებიც უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

მაგალითები—შემდგომი შეფასება

- მაგ. 15 ფაქტები იგივეა, რაც მე-2 და მე-12 მაგალითებში. კერძოდ, A საწარმომ, კომპანიამ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, ახალი დანადგარის უცხოელი მომწოდებლისგან შესაძენად გააფორმა ხელშეკრულება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს. მოსალოდნელია, რომ დანადგარი მზად იქნება მისაწოდებლად 20X2 წლის 31 იანვარს, რა დროისთვისაც A საწარმოს ხელშეკრულებით მოთხოვება გადაუხადოს მწარმოებელს დანადგარის სრული ფასი, 10,000 უფე. A საწარმო უახლოეს მომავალში მოელის საპროცენტო განაკვეთის ზრდას, შესაბამისად 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, A საწარმომ ასევე გააფორმა ფორვარდული ხელშეკრულება B ბანკთან 20X2 წლის 31 იანვარს 10,000 უფე-ის მიღებასთან დაკავშირებით 5,000 ფე-ის სანაცვლოდ.

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება ჰქონდა ნულოვანი რეალური ღირებულება გაფორმებისას 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, მაგრამ ორი თვის შემდეგ, A საწარმოს საანგარიშგებო წლის ბოლოს (20X1 წლის 31 დეკემბერს), მას ჰქონდა უარყოფითი რეალური ღირებულება ფე(97)-ის ოდენობით.

A საწარმო არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება აღიარდება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, როდესაც A საწარმო ხდება ფორვარდული ხელშეკრულების მხარე. თუმცა, რადგან აღნიშნული თარიღისთვის ხელშეკრულების რეალური ღირებულება ნული იყო, იგი თავდაპირველად შეფასდა, როგორც ნული.

A საწარმო ფორვარდულ ხელშეკრულებას შემდგომში აფასებს, როგორც ფინანსურ ვალდებულებას 97ფე-ად და აღიარებს 97 ფე-ის ოდენობით ხარჯებს მოგებაში ან ზარალში.

შენიშვნები—შემდგომი შეფასება (წილობრივი ინსტრუმენტები)

მე-12 განყოფილების პრინციპია, რომ შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. ამ

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

პრინციპიდან გამონაკლისი ეხება წილობრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ იყიდება საჯაროდ და რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ასევე ხელშეკრულებებს, რომლებიც ამგვარ ინსტრუმენტებთანაა დაკავშირებული და მათი შესრულება გამოიწვევს ამ ინსტრუმენტების მიწოდებას—მაგალითად, ისეთი არაკოტირებული აქციების შესყიდვის ოფციონი, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. ეს გამონაკლისი ვრცელდება ხელშეკრულებებზე, რომლებიც იწვევს აღნიშნული აქციების მიწოდებას, რადგან იმ შემთხვევაში, თუ აქციების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, აღნიშნული აქციების წარმოებულის საიმედოდ შეფასებაც ასევე შეუძლებელი იქნება.

იმის დადგენა, რეალური ღირებულების შეფასებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, დამოკიდებულია საწარმოს კონკრეტულ გარემოებებზე, ასევე ხელმძღვანელობის განსჯასა და მსჯელობაზე, რომელიც ეხება ამ მოთხოვნის გამოყენებასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. ამგვარი მსჯელობისას აუცილებელია იმის განხილვა, რა გავლენას იქონიებს მოცემული ინფორმაციის არქონა იმ პირთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოიყენებენ ფინანსურ ანგარიშგებას. მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ მოთხოვნის გამოყენებას დასჭირდება მსს-ის მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, თუ დამატებითი დანახარჯი (მაგალითად, შემფასებლების მომსახურების საზღაური), ან დამატებითი ძალისხმევა (მაგალითად, დაქირავებულ პირთა მცდელობა) არსებითად აღემატება სარგებელს, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღებით მიიღებენ ის პირები, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოიყენებენ მსს-ის ფინანსურ ანგარიშგებებს. (იხ. 2.14ბ პუნქტი). თუ მსს-ს უკვე აქვს ან შეუძლია იოლად და იაფად მიიღოს მოთხოვნის შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება არ გამოიყენება. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ ამ ინფორმაციის მიღებით მიღებული სარგებელი, სავარაუდოდ, არსებითად აღემატება მსს-ის მიერ გაწეულ დამატებით დანახარჯებს და ძალისხმევას. იმისათვის, რომ საწარმომ შეაფასოს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად ოპერაციის თარიღისთვის, იგი უნდა დაეყრდნოს თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. თუ მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება შეეხება თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდსაც, მაგალითად მუხლის შემდგომ შეფასებას, მაშინ ამ შემდგომი თარიღისთვის ხელახლა უნდა შეფასდეს მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, მოცემული თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე (იხ. 2.14გ პუნქტი).

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო არ აფასებს ასეთ აქციებს რეალური ღირებულებით, 12.8 პუნქტი მოითხოვს, რომ აქციები შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ფინანსური აქტივები, რომლებიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება, არ განეკუთვნება 27-ე განყოფილების მოქმედების სფეროს, რომელიც ეხება აქტივების გაუფასურებას. გაუფასურების ტესტები უნდა ჩატარდეს 11.21–11.26 პუნქტების გამოყენებით (იხ. 12.13 პუნქტი). იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს არ მიუწვდება ხელი კომპანიის ბიუჯეტებზე,

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ხელმძღვანელობის ანგარიშებსა და სხვა შიდა ინფორმაციაზე, ინფორმაციის სხვა წყაროები, რომლებიც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს იმის დასადგენად, ადგილი აქვს თუ არა გაუფასურებას, მოიცავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. ამასთან, როგორც ეს 11.23 პუნქტში არის განმარტებული, საწარმოსთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას შესაძლოა იყოს გაუფასურების მაჩვენებელი.

12.9 თუ მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე შესაძლებელი აღარ არის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება ისეთი წილობრივი ინსტრუმენტის, რომელიც არ იყიდება საჯაროდ, მაგრამ შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან ხელშეკრულების, რომელიც ამ ინსტრუმენტთანაა დაკავშირებული და მისი შესრულება გამოიწვევს ამგვარი ინსტრუმენტების მიწოდებას, მაშინ მოცემული წილობრივი ინსტრუმენტის თვითღირებულებად მიიჩნევა იმ უკანასკნელი თარიღის რეალური ღირებულება, როდესაც შესაძლებელი იყო წილობრივი ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე. საწარმომ ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს ზემოაღნიშნული თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასების განსაზღვრა ისევ არ გახდება შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

შენიშვნები

12.8(ბ) პუნქტით განსაზღვრული თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით შეფასების მოთხოვნა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არაკოტირებული წილობრივი ინსტრუმენტის, ან ასეთი ინსტრუმენტის ოფციონის ან ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. როდესაც მსგავსი ინსტრუმენტი შეფასდა რეალური ღირებულებით წინა პერიოდებში, მაგრამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, 12.9 პუნქტი გასაზღვრავს, რომ ამ შემთხვევაში თვითღირებულებად მიიჩნევა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასების უკანასკნელი თარიღის რეალური ღირებულება.⁽²⁾ რეალური ღირებულების ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც აღნიშნული ინსტრუმენტისთვის წინა პერიოდებში აღიარებული იქნა მოგებაში ან ზარალში, არ უნდა იქნეს აღდგენილი (უკუგატარებით). თუ არსებობს ინსტრუმენტის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, უნდა ჩატარდეს გაუფასურების ტესტი 11.21-11.26 პუნქტების გამოყენებით.

რეალური ღირებულება

12.10 საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს 11.27–11.32 პუნქტებში მოცემული მითითებით, როდესაც რეალურ ღირებულებას აფასებს მე-11 და მე-12 განყოფილების შესაბამისად.

შენიშვნები

⁽²⁾ ეს არის გარემოების ცვლილება და არა საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

არაკოტირებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მითითებები მოცემულია სასწავლო მასალაში „ფასს 9-ის – „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოქმედების სფეროში შემავალი არაკოტირებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების“ შესახებ (იხ. ფასს ფონდის ვებგვერდი www.ifrs.org Home < Supporting implementation < Supporting materials for Standards < IFRS 13 < Education Materials). მართალია, საწარმოს, რომელიც იყენებს *მსს ფასს* სტანდარტს, არ აქვს უფლება გამოიყენოს ფასს 9 (იხ. 11.2(ა) პუნქტი), მაგრამ, ამის მიუხედავად, აღნიშნული მითითებები სასარგებლოა არაკოტირებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას მე-12 განყოფილების მიზნებისთვის, რადგან მასში მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების მეთოდების გამოყენების უფრო ზოგადი (მაღალი დონის) მაგალითები.

მაგალითი—რეალური ღირებულების განსაზღვრა

მაგ. 16 A საწარმომ, რომელიც აწარმოებს ველოსიპედებს, ახალი დანადგარის უცხოელი მომწოდებლისგან შესაძენად გააფორმა ხელშეკრულება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს (ფაქტები მე-2, მე-12 და მე-15 მაგალითების მსგავსია). მოსალოდნელია, რომ დანადგარი მზად იქნება მისაწოდებლად 20X2 წლის 31 იანვარს, რა დროისთვისაც A საწარმოს ხელშეკრულებით მოეთხოვება გადაუხადოს მწარმოებელს დანადგარის სრული ფასი, 10,000 უფე. A საწარმო წუხს მისი ფულადი სახსრების მოძრაობაზე ვალუტის კურსის რყევების გავლენასთან დაკავშირებით, შესაბამისად 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, მან გააფორმა ფორვარდული ხელშეკრულება B ბანკთან 20X2 წლის 31 იანვარს 10,000 უფე-ის მიღებასთან დაკავშირებით 5,000 ფე-ის სანაცვლოდ.

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების გაფორმების დროს, 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, ხელშეკრულების რეალური ღირებულება იყო ნული.

შემდეგ ცხრილში მოცემულია ძირითადი სავალუტო კურსები:

თარიღი	სპოტ-კურსი, უფე:ფე	ფორვარდული კურსი, უფე:ფე, 20X2 წლის 31 იანვარს
1 ნოემბერი, 20X1 წ.	1.98:1.00	2.00:1.00
31 დეკემბერი, 20X1 წ.	2.03:1.00	2.04:1.00

უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება აღიარდება 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს, როდესაც ხდება მისი შესყიდვა. თუმცა, რადგან აღნიშნული თარიღისთვის ხელშეკრულების რეალური ღირებულება ნული იყო, იგი თავდაპირველად შეფასდა, როგორც ნული.

ხელშეკრულების შესაბამისად, A საწარმო გადაიხდის 5,000ფე-ს 10,000 უფე-ის მისაღებად, რომელიც უნდა გადაუხადოს დანადგარის მწარმოებელს. თუმცა, 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს მას რომ არ გაეფორმებინა სამთვიანი ფორვარდული ხელშეკრულება და ამის ნაცვლად 20X1 წლის 31 დეკემბერს გაეფორმებინა მხოლოდ ერთთვიანი ფორვარდული ხელშეკრულება, დასჭირდებოდა მხოლოდ 4,902 ფე-ის გადახდა; რაც, A საწარმოს მიერ 20X1 წლის 1-ელ ნოემბერს შესყიდული ხელშეკრულებით გადასახდელ ოდენობაზე 98ფე-ით ნაკლებია.

11.27 პუნქტის თანახმად, რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მიმდინარე მყიდველის ფასი. ეს არის ყველაზე მაღალი ფასი, რომლის გადახდაც სურს

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მყიდველს A საწარმოს ფორვარდულ ხელშეკრულებაში. A საწარმოსგან ფორვარდულ ხელშეკრულებას მესამე მხარე რომ „ყიდულობდეს“, A საწარმოს მოუწევდა აღნიშნული მესამე მხარის ანაზღაურება ხელშეკრულების მიღებისთვის, იმის ნაცვლად, რომ მესამე მხარეს გადაეხადა A საწარმოსთვის. 20X1 წლის 31 დეკემბერს მესამე მხარეს A საწარმოსგან 98 ფე უნდა მიეღო, რათა იგივე მდგომარეობაში ყოფილიყო, ამ დროს ერთთვიანი ფორვარდული ხელშეკრულება რომ მიეღო.

თუ არ მოხდება სხვა რისკების ფასის განსაზღვრა, 20X1 წლის 31 დეკემბერს 1-ელ ნოემბრის უფე-ის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება (98)ფე-ს შეადგენს; ანუ, მას აქვს უარყოფითი რეალური ღირებულება, შესაბამისად იგი 98 ფე-ის ოდენობის ფინანსური ვალდებულებაა და არა ფინანსური აქტივი.

შესაბამისად, A საწარმო აღიარებს ფორვარდულ ხელშეკრულებას, როგორც 98 ფე-ის ოდენობის ვალდებულებას და აღიარებს ზარალს, 98 ფე-ის დებეტიტ, მოგებაში ან ზარალში.

12.11 მოთხოვნისთანავე გადასახდელი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ნაკლები მოთხოვნისას ფაქტობრივად გადასახდელ თანხაზე, რომელიც დისკონტირებული იქნება იმ თარიღით, როდესაც თანხის გადახდის მოთხოვნის წარმოშობა პირველად არის შესაძლებელი.

მაგალითი—მოთხოვნისთანავე გადასახდელი ფინანსური ვალდებულება

მაგ. 17 20X0 წლის 1-ელ იანვარს A საწარმომ ბანკისგან ისესხა 100,000 ფე მაქსიმალური 5 წლის ვადით და „საპროცენტო“ გადახდებით, რომლებიც ინდექსირებულია ნავთობის ფასზე. ბანკს შეუძლია A საწარმოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სავალო ინსტრუმენტის სრულად დაფარვა. რადგან საპროცენტო გადახდები ინდექსირებულია ნავთობის ფასზე და არ არის არც ფიქსირებული და არც მითითებული კოტირებული, ან ბაზარზე დაკვირვებადი (ემპირიული) საპროცენტო განაკვეთი, სავალო ინსტრუმენტი განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს და არა მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს.

20X0 წლის 31 დეკემბერს რეალური ღირებულება იდენტური ფინანსური ვალდებულებისა, რომლის საპროცენტო გადახდები ინდექსირებულია ნავთობის ფასზე, მაგრამ რომელსაც არ გააჩნია მოთხოვნის მახასიათებელი, 90,000 ფე-ს შეადგენს. ეს ასახავს ნავთობის ფასის მკვეთრ დაცემას, რამაც განაპირობა საპროცენტო გადახდები, რომლებიც ნაკლებია საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე.

ბანკს არ მიუთითებია, რომ დაუყოვნებლივ მოითხოვს ვალდებულების დაფარვას.

20X0 31 დეკემბერს A საწარმომ შეაფასა სავალო ინსტრუმენტი, როგორც 100,000 ფე, მოთხოვნის მახასიათებლის გამო. არ ხდება მისი დისკონტირება, რადგან მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ არის გადასახდელი მთლიანი თანხა - 100,000 ფე.

მაგ. 18 ფაქტები იგივეა, რაც მე-17 მაგალითში, მაგრამ სავალო ინსტრუმენტი სრულად გადასახდელია მოთხოვნისთანავე 20X2 წლის 31 დეკემბრის შემდეგ (და არა ნებისმიერ დროს).

20X0 31 დეკემბერს A საწარმომ შეაფასა სავალო ინსტრუმენტი 100,000 ფე დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია 2003 წლის 1-ლი იანვრით (უადრესი თარიღი, როდესაც ბანკს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების დაუყოვნებლივ დაფარვა) იმ შემთხვევაში, თუ ეს დაბრუნების მახასიათებლის არმქონე იდენტური

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებაზე მეტია. მაგალითად, თუ 100,000 ფე-ის დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია 20X3 წლის 1-ლი იანვრით, 91,000 ფე-ს შეადგენს, სავალო ინსტრუმენტი შეფასდება 91,000 ფე-ად, ხოლო თუ 100,000 ფე დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია 20X3 წლის 1-ლი იანვრით, 89,000 ფე-ს შეადგენს, სავალო ინსტრუმენტი შეფასდება 90,000 ფე-ად.

12.12 საწარმომ გარიგების დანახარჯები არ უნდა გაითვალისწინოს ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველ შეფასებაში, რომელთა შემდგომი შეფასება მოხდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ აქტივის შესაძენად გადასახდელი თანხა გადავადებულია, ან ფინანსდება არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით, საწარმომ ასეთი აქტივი თავდაპირველად უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

მაგალითი—გადავადებული გადახდა

მაგ. 19 „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ შესრულებულ ოპერაციაში X საწარმომ Z კომპანიისგან შეიძინა 10,000 არაკონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია 40,000 ფე-ის ოდენობის ფულადი სახსრების გადახდით, 25,000 ფე დაუყოვნებლივ არის გადასახდელი, ხოლო 15,000 ფე გადასახდელია ორი წლის შემდეგ.

წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ორწლიან სესხზე საწარმოსთვის 6%-ს შეადგენს.

კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების ფლობა განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს. რადგან 15,000 ფე-ის გადახდა გადავადებულია ორი წლით, აქციებში გადახდილი კომპენსაციის რეალური ღირებულება შეადგენს 25,000 ფე-ს პლუს 15,000 ფე-ის დღევანდელი ღირებულება.

15,000ფე-ის დღევანდელი ღირებულება არის 13,350ფე ($15,000 \div 1.06^2$).

X საწარმო თავდაპირველად აფასებს აქციებს, როგორც 38,350 ფე-ად შეძენილს (კერძოდ, 25,000ფე + 13,350ფე).

რადგან გარიგებას ადგილი ჰქონდა „გაშლილი ხელის მანძილზე“ პრინციპით, თავდაპირველი აღიარებისას ეს ითვლება რეალურ ღირებულებად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულება.

სხვაობა გადახდილ 40,000 ფე-სა და 38,350 ფე-ს შორის, კერძოდ, 1,650ფე, აღიარებული იქნება, როგორც საპროცენტო ხარჯი მოგებაში ან ზარალში ასახვით მომდევნო ორი წლის განმავლობაში.

თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

12.13 საწარმომ უნდა იხელმძღვანელოს 11.21–11.26 პუნქტებში მოცემული მითითებებით გაუფასურების შესახებ ისეთი ფინანსური აქტივების გაუფასურების აღრიცხვისას, რომლებიც წინამდებარე განყოფილების შესაბამისად თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით აისახება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შენიშვნები

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება და რომლებზეც ვრცელდება 12.13 პუნქტი, არის მხოლოდ ის წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც არ იყიდება საჯაროდ და რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე, ასევე ხელშეკრულებები, რომლებიც ამგვარ ინსტრუმენტებთანაა დაკავშირებული და მათი შესრულება გამოიწვევს ამ ინსტრუმენტების მიწოდებას.

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რომელიმე აღნიშნული ინსტრუმენტის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება; მაგალითად, ახალი კონკურენტის შემოსვლა ან კონკურენტული პროდუქტის დაწერვა შესაძლოა უარყოფითად აისახოს ინვესტირებული საწარმოს მომგებიანობაზე და, შესაბამისად, მისი აქციების ღირებულებაზე. იხ. მითითებები მე-11 განყოფილებაში და მე-11 მოდულში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

12.14 საწარმომ 11.33–11.38 პუნქტებში განსაზღვრული მოთხოვნები უნდა გამოიყენოს იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის, რომლებსაც ეხება წინამდებარე განყოფილება.

შენიშვნები

იხ. მე-11 განყოფილება.

მე-11 მოდულში მოცემულია განმარტებები და მაგალითები 11.33 და 11.38 პუნქტების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პუნქტები თანაბრად ეხება როგორც იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ განეკუთვნება მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს, ასევე იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს. სააღრიცხვო მიდგომა იდენტურია, მიუხედავად იმისა, *მსს ფასს* სტანდარტის რომელი განყოფილება გამოიყენება.

ქვემოთ მოცემული მაგალითები გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიყენება აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს.

მაგალითი—ფინანსური აქტივის აღიარების გაგრძელება

მაგ. 20 Z საწარმო ბანკს გადასცემს მის განკარგულებაში არსებულ C კომპანიის 1,000 კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციას 575ფე-ად. აქციები, რომლებიც არ არის კოტირებული და არ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, შეფასებულია რეალური ღირებულებით მე-12 განყოფილების შესაბამისად, რეალური ღირებულება გადაცემის თარიღისთვის შეადგენს 600 ფე-ის. Z საწარმომ 18 თვის წინ გადაიხადა 500 ფე აქციების შესაძენად. გადაცემის თარიღისათვის Z საწარმო ბანკს აძლევს ფუტ-ოფციონს, რომელსაც 60 დღეში გასდის ვადა. 60 დღის გასვლის შემდეგ ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს ფუტ-ოფციონი და უკან მიჰყიდოს აქციები Z საწარმოს 585ფე-ად. ამასთან ერთად, Z საწარმოს აქვს ქოლ-ოფციონი, რომელსაც ასევე 60 დღის შემდეგ გასდის ვადა; 60 დღის გასვლის შემდეგ Z საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ქოლ-ოფციონი და გამოისყიდოს აქციები ბანკისგან 585ფე-ად.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

თუ 60 დღის შემდეგ აქციების რეალური ღირებულება 585 ფე-ზე დაბალი იქნება, მოსალოდნელია, რომ ბანკი გამოიყენებს ფუთ ოფციონს და უკან მიჰყიდის აქციებს Z საწარმოს. მეორე მხრივ, თუ აქციების რეალური ღირებულება 585 ფე-ზე მაღალი იქნება, მოსალოდნელია, რომ Z საწარმო გამოიყენებს ქოლ ოფციონს და გამოისყიდის აქციებს ბანკისგან. ნებისმიერ შემთხვევაში, დასაწყისისთვის მოსალოდნელია, რომ 60 დღის შემდეგ აქციები ისევ Z საწარმოს საკუთრებაში იქნება. შესაბამისად, Z საწარმო იტოვებს აქციების საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. შესაბამისად, Z საწარმო არ აღიარებს აქციებს.

ამის ნაცვლად, ოპერაციის აღრიცხვა უნდა მოხდეს, როგორც 575 ფე-ის ოდენობის 60-დღიანი სესხის. სესხი უზრუნველყოფილია აქციებით. 10 ფე-ის პროცენტი (585ფე-575ფე) გადასახდელია 60-დღიანი პერიოდის განმავლობაში და ამორტიზებული უნდა იქნეს მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თუ სრული 60-დღიანი პერიოდი ერთ საანგარიშგებო პერიოდში ხვდება, 10 ფე-ის აღიარება სრულად მოხდება ამ პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითი—ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

მაგ. 21 ფაქტები იგივეა, რაც მე-20 მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, ბანკი იხდის 600 ფე-ს აქციებში, Z საწარმოს არ აქვს ქოლ ოფციონი და 60 დღის გასვლის შემდეგ ბანკმა შესაძლოა გამოიყენოს ფუთ ოფციონი და უკან მიჰყიდოს აქციები საწარმოს 600 ფე-ად.

დასაწყისისათვის, გაურკვეველია, გამოიყენებს თუ არა ბანკი ფუთ-ოფციონს; მისი ფასი განისაზღვრება, როგორც ოდენობა, რომელიც ტოლია გაყიდვის დღეს არსებული რეალური ღირებულების. ამასთან, Z საწარმო არ ფლობს ფუთ-ოფციონს. შესაბამისად, Z საწარმო იტოვებს საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ რისკსა და სარგებელს; იმ შემთხვევაში, თუ აქციების რეალური ღირებულება 600 ფე-ზე მეტად შემცირდება, ბანკმა შესაძლოა უკან მიჰყიდოს აქციები Z საწარმოს, მაგრამ ბანკმა ასევე შეიძლება აირჩიოს, რომ არ მიჰყიდოს აქციები უკან Z საწარმოს (მაგალითად, ბანკს შესაძლოა უკვე გაყიდული ჰქონდეს აქციები მესამე მხარეზე).

რადგან Z საწარმო იტოვებს საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, 11.33(გ) პუნქტი Z საწარმოსგან მოითხოვს, განიხილოს, გადასცა თუ არა ბანკს აქციების კონტროლის უფლება, იმის განსაზღვრით, გააჩნია თუ არა ბანკს ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და შეუძლია თუ არა ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე. ამ შემთხვევაში, ბანკს აქვს ასეთი სახის პრაქტიკული შესაძლებლობა; არ არსებობს ქოლ-ოფციონი, ამიტომ Z საწარმოს არ შეუძლია აიძულოს იგი უკან მიჰყიდოს აქციები Z საწარმოს და მისი ფუთ-ოფციონის ფასი ისე არ არის განსაზღვრული, რომ დიდი ალბათობით მოსალოდნელი იყოს, რომ ბანკი მას განახორციელებს, მაგალითად ფასი არ არის განსაზღვრული მაღალი პრემიით, რომელიც აღემატება ოპერაციის დღეს არსებულ რეალურ ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ოფციონის ფასი ისე არის განსაზღვრული, რომ ბანკისგან მოსალოდნელია მისი განხორციელება, მაშინ ბანკი ან არ გაყიდიდა აქციებს, ან გაყიდიდა მათ შეზღუდვების დაწესებით, რათა დარწმუნებულიყო, რომ დაიბრუნებდა აქციებს 60 დღის შემდეგ და შეძლებდა ფუთ-ოფციონის განხორციელებას აქციების უკან Z საწარმოსთვის მისაყიდად. არ არის მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ბანკმა შესაძლებელია აირჩიოს ან არ აირჩიოს აქციების გაყიდვა; მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა ბანკს ამის გაკეთების პრაქტიკული შესაძლებლობა.

მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ამ მაგალითში აღიარების შეწყვეტა მიზანშეწონილია, რადგან Z საწარმოს ბანკისთვის გადაცემული აქვს აქციების კონტროლი. შესაბამისად, Z საწარმომ უნდა შეწყვიტოს აქციების აღიარება და ცალკე აღიაროს წერილობითი ფუთ-ოფციონი, ანუ ბანკის ოფციონი დაუბრუნოს (მიჰყიდოს) Z საწარმოს აქციები 600 ფე-ად 60 დღის შემდეგ.

ჰეჯირების აღრიცხვა

12.15 იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, საწარმოს შეუძლია ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ურთიერთობა იმგვარად ჩამოაყალიბოს, რომ ჰეჯირების გარიგებამ დააკმაყოფილოს ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები. ჰეჯირების აღრიცხვის დროს ნებადართულია, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტთან და ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ერთდროულად აღირიცხოს მოგებაში ან ზარალში

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შენიშვნები

პერიოდულად საწარმოები აფორმებენ გარიგებებს კონკრეტული რისკის შესამცირებლად ან ფულადი სახსრების მოძრაობის ცვალებადობის შესამცირებლად. მაგალითად, საწარმოს შეიძლება ჰქონდეს ბანკის სესხი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, მაგრამ წუხდეს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ზრდასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში. შესაბამისად, იგი აფორმებს საპროცენტო განაკვეთის სვოპს სხვა ბანკთან, რომელშიც იხდის ფიქსირებულ პროცენტს და იღებს ცვალებად პროცენტს. თუ დავეუშვებთ, რომ ძირითადი თანხა იგივეა, წმინდა გავლენა იქნება, რომ საწარმო გადაიხდის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს—იხ. მაგალითები 1 და 14. როდესაც საწარმო აფორმებს გარიგებას მეორე მხარესთან კონკრეტული რისკის ან ფულადი სახსრების ცვალებადობის შემცირების, ან აღმოფხვრის მიზნით, აღნიშნული ტიპის გარიგება ცნობილია, როგორც ჰეჯირების გარიგება.

ჰეჯირების ზოგიერთ ოპერაციაში, მოგება ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლში ჰეჯირებულ რისკთან, აღირიცხება *მსს ფასს* სტანდარტის ჩვეულებრივი ბუღალტრული მოთხოვნების შესაბამისად, იმავე პერიოდში, რომელშიც აღირიცხება ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი. ასეთ შემთხვევებში არ არსებობს სპეციალური ბუღალტრული მიდგომის საჭიროება. მაგალითად, თუ წარმოებული გამოიყენება ისეთი სავალო ინსტრუმენტის ჰეჯირებისთვის, რომელიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება, როგორც წარმოებული, ასევე სავალო ინსტრუმენტი უნდა აღირიცხოს რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. შესაბამისად, თუ ჰეჯირება სრულად ეფექტურია, გავლენა ჰეჯირების ინსტრუმენტის მოგებაზე ან ზარალზე ტოლი და საწინააღმდეგოა ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირებული რისკის გავლენისა, და, შესაბამისად, „აუქმებს“ ჰეჯირებული რისკის გავლენას მოგებასა და ზარალზე.

ჰეჯირების სხვა ოპერაციებში რისკის ჰეჯირების მიზნით შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტი (ჰეჯირების ინსტრუმენტი) და შესაბამისი რისკი, რომლის ჰეჯირებაც ხდება (ჰეჯირებული მუხლი), ზემოქმედებას ახდენს მოგებაზე და ზარალზე სხვადასხვა პერიოდში *მსს ფასს* სტანდარტის შესაბამისად, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოებული გამოიყენება ისეთი სავალო ინსტრუმენტის ჰეჯირების მიზნით, რომელიც მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. ზოგიერთი მოსაზრებით ეს „სააღრიცხვო შეუსაბამობაა“, რადგან, მართალია, ადგილი აქვს ეკონომიკურ ჰეჯირებას, მაგრამ იგი არ ასახება ბუღალტრული აღრიცხვის დროს. შესაბამისად, მე-12 განყოფილება მოიცავს ჰეჯირების აღრიცხვის ზოგიერთ კონკრეტულ წესს, რომლებიც შემუშავებულია აღნიშნული დროში შეუსაბამობის „შესწორების“ მიზნით. ეს წესები ახდენს შემოსავლისა და ხარჯების აღიარების ჩვეულებრივი საფუძვლის კორექტირებას დაკავშირებულ ჰეჯირების ინსტრუმენტებზე ან/და ჰეჯირებულ მუხლებზე, ისეთი სახით, რომ ორივე მათგანის აღიარება ხდება ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში და ზარალში. ჰეჯირების აღრიცხვა არ ცვლის საწარმოს საქმიანობის შედეგებს/მოგებას; იგი მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების მოგებასა და ზარალში ასახვის დროზე ახდენს გავლენას.

მე-12 განყოფილებით იზღუდება ის გარემოებები, რომლებშიც შესაძლებელია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება და განისაზღვრება ოთხი პირობა. ერთ-ერთი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტი უნდა იყოს ოთხი კონკრეტული

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ინსტრუმენტიდან ერთ-ერთი და აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს. კიდევ ერთი პირობაა, რომ ჰეჯირებული რისკი უნდა იყოს ხუთი კონკრეტული რისკიდან ერთ-ერთი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული 12.17 პუნქტში მხოლოდ ოთხ პუნქტად არის მოცემული. შესაბამისად, საწარმოს შესაძლოა ჰქონდეს ჰეჯირება, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის პირობებს მე-12 განყოფილების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ჰეჯირების დასაბუთებული სტრატეგიაა.

თუ საწარმოს სურს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება ჰეჯირების ერთ ან ერთზე მეტ გარიგებაში, საწარმომ უნდა დააკმაყოფილოს 12.16 პუნქტით განსაზღვრული ოთხი კრიტერიუმი. საწარმოს არ მოეთხოვება ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება ჰეჯირების ყველა გარიგებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში აკმაყოფილებს 12.16 პუნქტის პირობებს; საწარმოს უფლება აქვთ აირჩიოს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება მხოლოდ ზოგიერთი აღნიშნული ოპერაციის შემთხვევაში, ან უფლება აქვს არ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა არცერთი ოპერაციისთვის. თუ საწარმო არ ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის ჩამოყალიბებას და დოკუმენტურად გაფორმებას კონკრეტული გარიგებისთვის 12.16(ა) პუნქტის გამოყენებით, ჰეჯირების აღრიცხვა არ არის დასაშვები აღნიშნული გარიგების შემთხვევაში. მეორე მხრივ, თუ საწარმო განახორციელებს ჰეჯირების ურთიერთობის ჩამოყალიბებას და დოკუმენტურად გაფორმებას 12.16(ა) პუნქტის გამოყენებით სხვა გარიგების შემთხვევაში, ჰეჯირების აღრიცხვა დასაშვები გახდება აღნიშნული გარიგებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ, რომ ყველა სხვა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია .

- 12.16 იმისათვის, რომ საწარმოს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება ჰქონდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს ყველა შემდეგი პირობა:
- (ა) ჰეჯირების გარიგების ჩამოყალიბება და დოკუმენტურად გაფორმება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ჰეჯირებული რისკი, ჰეჯირებული მუხლი და ჰეჯირების ინსტრუმენტი მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ხოლო ჰეჯირებული მუხლის რისკი იყოს ჰეჯირების ინსტრუმენტით ჰეჯირებულ რისკი;
 - (ბ) ჰეჯირებული რისკი არის ერთ-ერთი იმ რისკებიდან, რომლებიც განსაზღვრულია 12.17 პუნქტში;
 - (გ) ჰეჯირების ინსტრუმენტი აკმაყოფილებს 12.18 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;
 - (დ) საწარმო ვარაუდობს, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტი მაღალეფექტური იქნება ჰეჯირებული რისკის გასაწესებლად (დასაზღვევად). **ჰეჯირების ეფექტურობა** არის ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების, ან ფულადი ნაკადების ცვლილების (რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან) ხარისხი, რომლის გადაფარვაც ხდება ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებით.

შენიშვნები

ჰეჯირების დოკუმენტირება

მე-12 განყოფილებაში არ არის მოცემული 12.16(ა) პუნქტით განსაზღვრული

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ჰეჯირების დოკუმენტაციის კონკრეტული ფორმატი. მოთხოვნები მხოლოდ ეხება იმას, რომ უნდა იყოს დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრავს:

- ჰეჯირებულ რისკს;
- ჰეჯირებულ მუხლს; და
- ჰეჯირების ინსტრუმენტს.

აღნიშნული მუხლების დოკუმენტურად გაფორმებით დოკუმენტაციიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ჰეჯირებული მუხლის რისკი არის ჰეჯირების ინსტრუმენტით ჰეჯირებული რისკი.

მე-12 განყოფილებით იზღუდება რისკები, რომელთა ჰეჯირება შესაძლებელია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების შემთხვევაში. შესაბამისად, ჰეჯირებული რისკი უნდა იყოს 12.17 პუნქტით განსაზღვრული ხუთი რისკიდან ერთ-ერთი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რისკები 12.17 პუნქტში მხოლოდ ოთხ პუნქტად არის მოცემული. ერთ-ერთი რისკი, რომლის შემთხვევაშიც დასაშვებია ჰეჯირების აღრიცხვა არის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი. მაგალითად, თუ საწარმო იღებს სესხს და იხდის 7%-ს ფიქსირებული განაკვეთით, რაც მოიცავს საკრედიტო სპრედს - 2%-ის ოდენობით, მას უფლება აქვს აირჩიოს ფიქსირებული პროცენტის ჰეჯირება (საკრედიტო სპრედის გამოკლებით) საპროცენტო განაკვეთის სვოპის მეშვეობით და გადაცვალოს 5% ფიქსირებული განაკვეთი LIBOR-ის ტოლ ცვალებად განაკვეთზე. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება დოკუმენტურად გაფორმდეს, რომ ჰეჯირებული რისკი არის ფიქსირებული პროცენტი საკრედიტო სპრედის გამოკლებით.

ჰეჯირების ეფექტურობა

ჰეჯირების ეფექტურობა არის ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების, ან ფულადი ნაკადების ცვლილების (რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან) ხარისხი, რომლის გადაფარვაც ხდება ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებით. აღნიშნული შედარების მიზნით, განხილულია მხოლოდ ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების, ან ფულადი ნაკადების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან.

ჰეჯირების აღრიცხვის გამოსაყენებლად, საწარმომ უნდა შეაფასოს, ვარაუდობს თუ არა, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტი მაღალეფექტური იქნება ჰეჯირებული რისკის გასანეიტრალებლად მომავალში. მის ფასს სტანდარტი არ მოიცავს მითითებებს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება ჰეჯირების ურთიერთობა მაღალეფექტურად.

იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების გარიგება აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს, მაგრამ მომავალში აღარ დააკმაყოფილებს 12.16 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საწარმომ უნდა შეწყვიტოს ჰეჯირების აღრიცხვა (იხ. 12.21 და 12.25 პუნქტები). შესაბამისად, შეფასება, სავარაუდოა, თუ არა, რომ ჰეჯირების ურთიერთობა მაღალეფექტური იქნება, უნდა გადაიხედოს ჰეჯირებული ურთიერთობის არსებობის განმავლობაში. მაგალითად, ჰეჯირება, რომელიც მოიცავს კონტრაჰენტს, შეიძლება თავდაპირველად ვივარაუდოთ, რომ მაღალეფექტური იქნება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შემცირდება კონტრაჰენტის კრედიტუნარიანობა, ჰეჯირება შეიძლება არაეფექტური გახდეს, რადგან ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალურ ღირებულების ცვლილებაზე ძირითად გავლენას მოახდენს საკრედიტო რისკის

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ცვლილება, რაც შესაძლოა ვერ გადაფაროს ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებამ (რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან). ამ შემთხვევაში, საწარმომ უნდა შეაფასოს, თუ აღარ არის სავარაუდო, რომ აღნიშნული ჰეჯირება მაღალეფექტური იქნება.

რადგან ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების გაგრძელება დამოკიდებულია, იმაზე, გრძელდება თუ არა 12.16 პუნქტის პირობების დაკმაყოფილება, საწარმომ, როგორც მინიმუმ, უნდა შეაფასოს სავარაუდო ეფექტურობა ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მე-12 განყოფილება არ მოიცავს ჰეჯირების სავარაუდო ეფექტურობის შეფასების მოთხოვნებს. აღნიშნული შეფასების განხორციელებისას, საწარმომ შეიძლება გამოიყენოს შემდეგი მიდგომებიდან ერთ-ერთი:

(ა) ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ძირითადი პირობების შედარება. იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირებული ინსტრუმენტის ძირითადი პირობები შეესაბამება ჰეჯირებული მუხლის ძირითად პირობებს, როგორც წესი, სავარაუდოა მაღალეფექტურობა. ეს შესაძლოა ჰეჯირების ეფექტურობის შეფასების ყველაზე მარტივი გზა იყოს და მოსალოდნელია, რომ ყველაზე ხშირად იქნება გამოყენებული, რადგან ძირითადი პირობების შედარება არ მოითხოვს გამოთვლების შესრულებას.

უნდა მოხდეს ისეთი პირობების შედარება, როგორცაა, მაგალითად პირობითი (თეორიული) ღირებულება და ძირი თანხა, ვადა, გადახდების დრო, ხელახალი შეფასების თარიღები, ვალუტა და დაფარვის ვადა.

ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლების ძირითადი პირობები არის ის პირობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ჰეჯირების ეფექტურობის შესაფასებლად, ანუ ის პირობები, რომლებიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან. მაგალითად, თუ ჰეჯირებული მუხლი არის ცვალებადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტი უცხოურ ვალუტაში, ფულადი ნაკადების ცვლილების წარმოშობა შეიძლება მოხდეს სავალუტო კურსის ცვლილების, ასევე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტი არის საპროცენტო განაკვეთის სვოპი და მხოლოდ სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას ახდენს, არ იქნება გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ცვლილება, რომელსაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა; შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა არ გამოიწვევს ჰეჯირების ურთიერთობის არაეფექტურობას.

(ბ) შესაძლებელია მარტივი მათემატიკური მოდელების, მაგალითად კოეფიციენტების ანალიზის (რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ დოლარის გადაფარვის ტესტს) გამოყენება. კოეფიციენტების ანალიზი მოიცავს შემდეგი ცვლილებების შედარებას:

- ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილება; და
- ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილების, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან.

აღნიშნული მიდგომის გამოყენება შესაძლებელია ჰეჯირების ეფექტურობის შესაფასებლად პერსპექტიულად, განიხილავს რა შესაბამისი ჰეჯირებული რისკის ჰიპოთეტური ცვლილების გავლენას, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტზე, ასევე

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ჰეჯირებულ მუხლზე (მაგ. სავალუტო კურსის 5%-იანი ცვლილება სავალუტო რისკის ჰეჯირების შემთხვევაში ან 1%-იანი ცვლილება საბაზისო საპროცენტო ინდექსისა, როგორცაა, მაგალითად LIBOR, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას).

(გ) მაღალი სტატისტიკური კორელაციის დემონსტრირება ჰეჯირებული მუხლის ფულადი ნაკადების რეალურ ღირებულებასა (რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან) და ჰეჯირების ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების რეალურ ღირებულებას შორის. მსგავსი სტატისტიკური კორელაციის დემონსტრირების ერთ-ერთი მეთოდია რეგრესიული ანალიზი.

მოცემული მიდგომის მიზანშეწონილობა ჰეჯირების სავარაუდო ეფექტურობის შესაფასებლად დამოკიდებულია ჰეჯირებული რისკის ხასიათზე, გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტის ტიპზე და ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე. ჰეჯირების ეფექტურობის შეფასების დროს შერჩეული მიდგომა მიზანშეწონილი უნდა იყოს, გამოიყენებოდეს თანმიმდევრულად ჰეჯირების ურთიერთობის განმავლობაში და შეესაბამებოდეს სხვა მსგავს ჰეჯირებას, თუ პირდაპირ არ არის დასაბუთებული სხვა მეთოდები. იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა იქნება გამოყენებული, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს იმის შეფასება, ცვლის თუ არა საკრედიტო რისკი ჰეჯირების სავარაუდო ეფექტურობას.

12.17 წინამდებარე სტანდარტი ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა მხოლოდ შემდეგი რისკების ჰეჯირებისას:

- (ა) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი;
- (ბ) **მყარ ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან** დაკავშირებული სავალუტო რისკი, ან საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- (გ) საწარმოს მფლობელობაში არსებულ საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკი, ან საბირჟო საქონლის ყიდვის, ან გაყიდვის მყარ ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული საბირჟო საქონლის ფასის რისკი; და
- (დ) **უცხოურ ქვედანაყოფში** განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი შეტანილი არ არის ამ სიაში, რადგან, ამ შემთხვევაში, ჰეჯირების აღრიცხვას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა **ფინანსურ ანგარიშგებაზე**. ძირითადი ანგარიშები, თამასუქები, სასესხო მოთხოვნები და ვალდებულებები, ჩვეულებრივ, შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (იხ. პუნქტი 11.5(დ)), რომელიც ასევე მოიცავს უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ვალდებულებებსაც. 30.10 პუნქტის მიხედვით, ვალდებულების **საბალანსო ღირებულების** ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. აქედან გამომდინარე, ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულებისა (სავალუტო სვოპი) და ვალდებულების საბალანსო ღირებულების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში და მოხდეს მათი ურთიერთგადაფარვა, გარდა იმ თანხისა, რომელიც გამოწვეულია სპოტ კურსსა (რომლითაც შეფასებულია **ვალდებულება**) და ფორვარდულ კურსს (რომლითაც

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შეფასებულია სვოპი) შორის სხვაობით.

შენიშვნები

მე-12 განყოფილება ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა მხოლოდ ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილების შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია 12.17(ა) პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ რისკებთან. მაგალითად, 12.17(ა) პუნქტი ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკის შემთხვევაში. შესაბამისად, ჰეჯირების აღრიცხვა ნებადართულია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის ფულადი ნაკადების ისეთი ცვლილების ჰეჯირებისთვის, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით. ჰეჯირების აღრიცხვა ასევე ნებადართულია ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხის რეალური ღირებულების ცვლილებისთვის, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, მაგრამ არა რეალური ღირებულების ისეთი ცვლილებისთვის, რაც გამოწვეულია სხვა რისკებით, როგორცაა, მაგალითად საკრედიტო რისკი ან სავალუტო კურსის რისკი.

მყარი ვალდებულებები

მყარი ვალდებულება არის მბოჭავი ხელშეკრულება რესურსების დადგენილი რაოდენობის, დადგენილი ფასით, დადგენილ ვადებში (თარიღისთვის) გაცვლის შესახებ (იხ. *ლექსიკონი*). შესაბამისად, მყარ ვალდებულებას უნდა ჰქონდეს ფიქსირებული რაოდენობა, ფიქსირებული ფასი და ფიქსირებული ვადა. მაგალითად, თუ კომპანია გააფორმებს ხელშეკრულებას კლიენტისთვის დანადგარის მიყიდვასთან დაკავშირებით ფიქსირებული მომავალი თარიღისთვის 10,000 ფე-ად, როგორც კომპანიას, ასევე მომხმარებელს ექნება მყარი ვალდებულება. რადგან მყარი ვალდებულება მბოჭავი ხელშეკრულებაა, ის, როგორც წესი, სამართლებრივად გამყარებული ვალდებულებაა.

პროგნოზირებული გარიგებები

პროგნოზირებული გარიგება არის არშემდგარი (არასავალდებულო), მაგრამ მოსალოდნელი მომავალი გარიგება (იხ. *ლექსიკონი*). მაგალითად, თუ კომპანია გეგმავს სესხის აღებას ექვს თვეში თავისი ბიზნესის გაფართოების დასაფინანსებლად, მას აქვს პროგნოზირებული გარიგება. 12.17 პუნქტი ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა მხოლოდ მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებით. ტერმინი „მაღალი ალბათობით მოსალოდნელი“ განისაზღვრება, როგორც „გაცილებით მეტად არის მოსალოდნელი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა“ (იხ. *ლექსიკონი*) და აჩვენებს მოხდენის გაცილებით უფრო მეტ ალბათობას, ვიდრე ტერმინი „უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა“, რომელიც აღნიშნავს, რომ გარიგების მოხდენის ალბათობა მნიშვნელოვნად აღემატება 50%-ს.

ქვემოთ მოცემულია იმ გარემოებების მაგალითები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გარიგების მოხდენის ალბათობაზე:

- (ა) მსგავსი წარსული გარიგებების სიხშირე;
- (ბ) საწარმოს ფინანსური და საწარმოო შესაძლებლობა განახორციელოს გარიგება;

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- (გ) კონკრეტული საქმიანობისთვის არსებითი რესურსების გამოყოფა (მაგალითად, საწარმოო დანადგარი, რომლის გამოყენება შესაძლებელია მოკლე ვადით მხოლოდ კონკრეტული ტიპის საქონლის დასამუშავებლად);
- (დ) ისეთი ოპერაციების ჩაშლის ან დაკარგვის ხარისხი, რომლებიც შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება გარიგება;
- (ე) შესაძლებლობა, რომ არსებითად განსხვავებული მახასიათებლების მქონე გარიგებები იქნება გამოყენებული იგივე კომერციული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, საწარმომ, რომელიც გეგმავს ფულადი სახსრების მოპოვებას პროგნოზირებული გარიგებით, შესაძლებელია ეს რამდენიმე მეთოდით გააკეთოს, მოკლევადიანი საბანკო სესხიდან დაწყებული ჩვეულებრივი აქციების გაცემით დამთავრებული); და
- (ვ) საწარმოს ბიზნეს გეგმა

დროის პერიოდი იმ დრომდე, როდესაც იგეგმება პროგნოზირებული გარიგება, ასევე წარმოადგენს ფაქტორს ალბათობის დადგენის დროს. თუ სხვა ფაქტორები თანაბარია, რაც უფრო გვიან იგეგმება პროგნოზირებული გარიგება, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი ჩაითვალოს მაღალი ალბათობით მოსალოდნელად. მაგალითად, გარიგება, რომელიც პროგნოზირებულია, რომ მოხდება ხუთ წელიწადში უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოხდეს, ვიდრე გარიგება, რომელიც პროგნოზირებულია, რომ მოხდება ერთ წელიწადში. ამასთან, თუ სხვა ფაქტორები თანაბარია, რაც უფრო მეტია პროგნოზირებული გარიგების ფიზიკური რაოდენობა ან მომავალი ღირებულება საწარმოს იმავე ხასიათის გარიგებებთან შედარებით, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ გარიგება ჩაითვალოს მაღალი ალბათობით მოსალოდნელად. მაგალითად, ზოგადად, ნაკლები მტკიცებულებები იქნება საჭირო 100,000 ერთეული პროგნოზირებული გაყიდვების დასასაბუთებლად მომდევნო თვეში, ვიდრე 950,000 ერთეულისა იმავე თვეში, მაშინ, როდესაც გასული სამი თვის განმავლობაში გაყიდვების საშუალო მაჩვენებელი იყო 950,000 ერთეული თვეში.

ისტორია, როდესაც საწარმოს აქვს პროგნოზირებული გარიგებების კლასიფიცირებული ჰეჯირება და შემდეგ განსაზღვრული, რომ პროგნოზირებული გარიგებები აღარ არის სავარაუდო, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საწარმოს შესაძლებლობას ზუსტად მოახდინოს პროგნოზირებული გარიგებების პროგნოზირება და, შესაბამისად, ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების მიზანშეწონილობას მომავალში მსგავსი პროგნოზირებული გარიგებებისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირება, შესაძლებელი უნდა იყოს მისი განსაზღვრა და დოკუმენტურად გაფორმება ისეთი სახით, რომ როდესაც ხდება გარიგება, აშკარაა არის თუ არა იგი ჰეჯირებული გარიგება. მაგალითად, შესაძლებელია განსაზღვრული სამი თვის განმავლობაში პირველი 15,000 ერთეული კონკრეტული პროდუქტის გაყიდვის ჰეჯირება. თუმცა, შეუძლებელია განსაზღვრული სამი თვის განმავლობაში უკანასკნელი 15,000 კონკრეტული პროდუქტის გაყიდვის ჰეჯირება, რადგან შეუძლებელია გაყიდვის დროს განისაზღვროს, თუ რომელია უკანასკნელად გაყიდული 15,000 ერთეული.

საწარმოს არ ევალება მოახდინოს პროგნოზირება და დოკუმენტურად გაფორმება იმ ზუსტი თარიღისა, როდესაც მოსალოდნელია პროგნოზირებული გარიგების მოხდენა. თუმცა, უნდა განისაზღვროს და დოკუმენტურად გაფორმდეს დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია პროგნოზირებული გარიგების მოხდენა ყველაზე სავარაუდო თარიღიდან გონივრულად კონკრეტულ და შედარებით ვიწრო

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

დროში, რათა შეფასდეს არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ჰეჯირების ურთიერთობა მაღალეფექტური იქნება; იმისათვის, რომ შეფასდეს, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ჰეჯირების ურთიერთობა მაღალეფექტური იქნება, საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან, გადაიფაროს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებით. ამ ტესტის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფულადი ნაკადების დრო ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის.

უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიცია

საწარმოს ნეტო ინვესტიცია უცხოურ ქვედანაყოფში არის საწარმოს წილი აღნიშნული ოპერაციის წმინდა აქტივებში. უცხოური ქვედანაყოფი შეიძლება იყოს შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ერთობლივი საქმიანობა, ან ფილიალი (იხ. 30.5 პუნქტი). მე-12 განყოფილების შესაბამისად, ნებადართულია უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებული სავალუტო რისკის „ჰეჯირება“.

უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებული სავალუტო რისკის ჰეჯირების აღრიცხვა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაცია კონსოლიდირებულია ან ასახულია წილობრივი აღრიცხვის მეთოდის გამოყენებით; რადგან, ამ შემთხვევაში, საკურსო სხვაობების დაგროვილი თანხა, რაც წარმოიქმნება ოპერაციის წმინდა აქტივების გადაყვანის გამო, აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. ჰეჯირების აღრიცხვის გარეშე, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, და წარმოქმნის შესაბამისას, რადგან ერთის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო მეორის მოგებაში ან ზარალში. 30-ე განყოფილების სასწავლო მოდულში უფრო დეტალურად არის განხილული უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიცია. 12.23 პუნქტში განხილულია ნეტო ინვესტიციის ჰეჯირების აღრიცხვა.

მს ფასს სტანდარტის 30.12 პუნქტი განმარტავს, რომ როდესაც საწარმოს გააჩნია მისაღები ან გადასახდელი ფულადი მუხლები უცხოური ქვედანაყოფისთვის და ამ მუხლთან დაკავშირებით ანგარიშსწორება არც იგეგმება და არც მოსალოდნელი არ არის უახლოეს საპროგნოზო მომავალში, ამ შემთხვევაში, აღნიშნული მუხლი, თავისი არსით, წარმოადგენს საწარმოს მიერ უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ნაწილს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 30-ე მოდული. 30.13 პუნქტის შესაბამისად, ამგვარ ფულად მუხლებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები უნდა აღიარდეს სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, ამგვარი ფულადი მუხლები შეადგენს წმინდა ინვესტიციის ნაწილს, რომლის ჰეჯირებაც ნებადართულია.

12.17 პუნქტით ნებადართული ჰეჯირებული რისკების მაგალითები

მაგალითები 12.17 პუნქტით ნებადართული ჰეჯირებული რისკებისა, რომლებიც საწარმოსთვის წარმოქმნის მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილების რისკს, მოიცავს შემდეგს:

- **ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი (12.17(ა) პუნქტი).** ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, საწარმო ექვემდებარება მომავალი საპროცენტო გადახდების ცვლილების რისკს (ფულადი

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სახსრების გასვლა ან შემოსვლა) საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. მაგალითად:

- თუ საწარმოს აქვს სესხი, რომლის პროცენტი გადასახდელია განაკვეთით EURIBOR-ს პლუს 200 საბაზისო პუნქტი და EURIBOR გაიზრდება, საწარმოს დასჭირდება დამატებითი პროცენტის გადახდა;
- თუ საწარმოს განხორციელებული აქვს ინვესტიცია ცვალეზადგანაკვეთიან ობლიგაციაში, რომლის საპროცენტო გადახდები დაკავშირებულია LIBOR-თან და LIBOR დაიწევს, საწარმო მიიღებს ნაკლებს პროცენტს და შემოსავალს.
- **მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი (12.17(ბ) პუნქტი)**
გაყიდვების მყარი ვალდებულება საწარმოსთვის წარმოქმნის მისაღები ფულადი სახსრების ცვლილების რისკს, იმ შემთხვევაში თუ მისაღები ფულადი სახსრები ხელშეკრულებით არ არის ფიქსირებული ანგარიშვალდებულებული საწარმოს სამუშაო ვალუტაში. მაგალითად, საწარმომ შეიძლება გააფორმოს ხელშეკრულება საქონლის უცხოური კომპანიისთვის მიყიდვასთან დაკავშირებით სამი თვის განმავლობაში ფიქსირებული ოდენობის უცხოური ვალუტის ფასად. მომდევნო სამი თვის განმავლობაში საწარმო ექვემდებარება სავალუტო კურსის ცვლილების რისკს უცხოურ ვალუტასა და სამუშაო ვალუტას, ანუ იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას შორის, რომელშიც საქმიანობას ეწევა საწარმო. თუ უცხოური ვალუტა შესუსტდება საწარმოს სამუშაო ვალუტასთან მიმართებით, საწარმო გაყიდვისას მიიღებს უფრო ნაკლები ფულადი სახსრების შემოსვლას სამუშაო ვალუტაში გადაყვანის შემდეგ.
- **მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ შესყიდვასთან დაკავშირებული საბირჟო საქონლის ფასის რისკი (12.17(გ))**
მაღალი ალბათობით მოსალოდნელი ყიდვის გარიგება საწარმოს უქმნის მოსალოდნელი გადახდების ცვლილების რისკს. მაგალითად, თუ საწარმოს ესაჭიროება სპილენძის შესყიდვა საკუთარ საქმიანობაში გამოსაყენებლად და სამ თვეში გეგმავს მომდევნო შესყიდვის განხორციელებას, საწარმო ექვემდებარება რისკს, რომ სპილენძის ფასი მნიშვნელოვნად აიწევს მომდევნო სამი თვის განმავლობაში, რაც გამოიწვევს ფულადი სახსრების მეტ გასვლას შესყიდვასთან დაკავშირებით.

მაგალითები 12.17 პუნქტით ნებადართული ჰეჯირებული რისკებისა, რომლებიც საწარმოსთვის წარმოქმნის რეალური ღირებულებების ცვლილების რისკს, მოიცავს შემდეგს

- **ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი (12.17(ა) პუნქტი)** ინვესტიციის სახით ფლობილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტი საწარმოს უქმნის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულებების ცვლილების რისკს. მაგალითად, თუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთები აიწევს, ფიქსირებულგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება. იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტი საწარმოს მფლობელობაში იქნება დაფარვის ვადამდე, მასზე გავლენას არ მოახდენს სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებულვადიანი სავალო ინსტრუმენტი ღია

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ბაზარზე გაიყიდება, რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება გამოიწვევს გასაყიდი ფასის კლებას.

- **საწარმოს მიერ ფლობილ აქციებთან დაკავშირებული საბირჟო საქონლის ფასის რისკი (12.17(გ) პუნქტი)**
საბირჟო საქონლის ფლობა საწარმოს უქმნის საბირჟო საქონლის რეალური ღირებულების ცვლილების რისკს საბაზრო ფასის ცვლილების გამო. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ფლობს ოქროს დიდ მარაგებს და ოქროს ფასი დაეცემა, დაეცემა მარაგების ფასიც.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- 12.18 ეს სტანდარტი ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტი აკმაყოფილებს ყველა შემდეგ ვადასა და პირობას:
- (ა) იგი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის სვოპს, სავალუტო სვოპს, ვალუტის გაცვლის ფორვარდულ ხელშეკრულებას, ან საბირჟო საქონლის გაცვლის ფორვარდულ ხელშეკრულებას, რომელიც მოსალოდნელია, რომ მაღალეფექტური იქნება იმ რისკის გადაფარვის მხრივ, რომელიც აღწერილია 12.17 პუნქტში და კლასიფიცირებულია, როგორც ჰეჯირებული რისკი;
 - (ბ) ჰეჯირების გარიგებაში ჩართულია ანგარიშვალდებული საწარმოსთვის (ე.ი მისი **ჯგუფის**, სემენტის ან ინდივიდუალური საწარმოსთვის, რომელსაც ეხება ანგარიშგება) გარე მხარე;
 - (გ) მისი **პირობითი (თეორიული) ღირებულება** ტოლია ჰეჯირებული მუხლის ძირითადი თანხის ან პირობითი ღირებულების;
 - (დ) მას გააჩნია განსაზღვრული დაფარვის თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს უფრო გვიანი თარიღი, ვიდრე:
 - (i) ჰეჯირებული ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის თარიღი;
 - (ii) საბირჟო საქონლის ყიდვის ან გაყიდვის ვალდებულების მოსალოდნელი დაფარვის თარიღი; ან
 - (iii) უცხოური ვალუტის ან საბირჟო საქონლის შესახებ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგების წარმოშობის თარიღი, რომელიც ჰეჯირდება.
 - (ე) მას არ გააჩნია წინასწარგადახდის, ნაადრევად შეწყვეტის ან გახანგრძლივების უფლება

შენიშვნები

12.18(ა) პუნქტი

12.17 პუნქტით იზღუდება რისკები, რომელთა შემთხვევაში შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება *მის ფასს* სტანდარტის გამოყენებისას. ამის მსგავსად, 12.18(ა) პუნქტით იზღუდება ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტების, ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში. მაგალითად, ერთ-ერთი რისკი, რომლის ჰეჯირება ნებადართულია 12.17 პუნქტით, არის მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, აქვს დიდი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება უცხოურ ვალუტაში (უფე), როგორცაა, მაგალითად, საქონლის გაყიდვა, 12.18(ა) პუნქტის შესაბამისად საწარმოს შეუძლია უფე/ფე სვოპის ან ფორვარდული ხელშეკრულების გამოყენება გაყიდვის ჰეჯირების მიზნით, მაგრამ მას არ შეუძლია უფე-ში სესხის კლასიფიცირება ჰეჯირების ინსტრუმენტად, რადგან 12.18(ა) პუნქტით ეს არ არის ნებადართული.

12.18(ბ) პუნქტი

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, მხოლოდ ისეთი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად, რომლებიც გაფორმებულია ანგარიშვალდებული

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

საწარმოს გარე კონტრაქტთან, ე.ი. ჯგუფის ან იდივიდუალური საწარმოს, რომლის ანგარიშგებაც მზადდება გარე მხარესთან. საწარმოს, რომელიც კონსოლიდირებული ჯგუფის ნაწილია, უფლება აქვს გააფორმოს ინსტრუმენტი, რომლის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირებაც სურს, ჯგუფის სხვა საწარმოსთან. თუმცა, კონსოლიდირებისას ჰეჯირების აღნიშნული ინსტრუმენტი გამოირიცხება. შესაბამისად, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება არ არის შესაძლებელი. თუმცა, ამის მიუხედავად, ჰეჯირების აღრიცხვა შესაძლებელია პირველი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში, თუ მეორე საწარმო პირველი საწარმოსთვის გარე მხარეს წარმოადგენს.

12.18(გ) პუნქტი

პირობითი ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტების ხელშეკრულებაში მითითებული ფულადი ერთეულების, აქციების, ბუშელების, ფუნტების ან სხვა ერთეულების ოდენობა (იხ. *ლექსიკონი*). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირობითი ღირებულება არის ვალუტის ოდენობა; აქციების რაოდენობა; წონის ერთეულების რაოდენობა; მოცულობის ერთეულების ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ერთეულების რაოდენობა. საწარმოს შეუძლია გააფორმოს საპროცენტო განაკვეთის სვოპი 10,000 ფე-ის პირობით რაოდენობაზე, რაც საწარმოსგან მოითხოვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის, მაგალითად 7,5%-ის გადახდას და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის, მაგალითად სამი თვის LIBOR-ის მიღებას. სვოპის შესაბამისად, რეგულარული ნეტო ანგარიშსწორება გამოითვლება 10,000 ფე-ის ოდენობით პირობით ძირ თანხაზე 7,5%-ისა და სამი თვის LIBOR-ის სხვაობის გამოყენებით. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ LIBOR 7%-ია სამი თვის განმავლობაში, სვოპის შესაბამისად საჭირო იქნება საწარმოს მიერ 12.5 ფე-ის ნეტო გადახდა $(10,000 \times (7,5\% - \text{LIBOR}) \div 4)$ აღნიშნული სამ-თვიანი პერიოდისთვის.

12.18(დ) პუნქტი

ჰეჯირების ინსტრუმენტის დაფარვის თარიღი უნდა იყოს ჰეჯირებული მუხლის დაფარვის თარიღისთვის ან დაფარვის თარიღამდე; ჰეჯირების აღრიცხვა არ არის ნებადართული იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტის დაფარვის თარიღი ჰეჯირებული მუხლის დაფარვის თარიღზე უფრო გვიანაა, რადგან ამ შემთხვევაში საწარმო ექვემდებარება რისკს ჰეჯირებული მუხლების ვადის გასვლის შემდეგ. სამაგიეროდ, საწარმოს ჰეჯირების ინსტრუმენტის ჰეჯირებად კლასიფიცირების უფლება აქვს ჰეჯირებული მუხლის დაფარვის ვადამდე პერიოდის მხოლოდ ნაწილის განმავლობაში. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის სვოპის მიღება შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისთვის ორწლიანი სესხის მხოლოდ პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ ორწლიანი საპროცენტო განაკვეთის სვოპის პირველი ექვსი თვის გამოყენება არ არის შესაძლებელი სესხის ბოლო ექვსი თვის ჰეჯირებისთვის.

12.18(ე) პუნქტი

არ არის ნებადართული ჰეჯირების აღრიცხვა მე-12 განყოფილების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტს აქვს საავანსო გადახდების, ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ვადის გაგრძელების მახასიათებლები

საერთო მოსაზრება

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ჰეჯირების აღრიცხვა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვარაუდობს, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტი მაღალეფექტური იქნება ჰეჯირებულ რისკის გასაწესებლად (დასაზღვევად).

ჰეჯირების ინსტრუმენტი სავარაუდოდ ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ:

- (ა) ჰეჯირების ინსტრუმენტის პირობითი ღირებულება ჰეჯირებული მუხლის ძირითანხის ან პირობითი ღირებულების ტოლია (იხ. 12.18(გ) პუნქტი); და
- (ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ძირითადი პირობები მოძრაობს საპირისპირო მიმართულებით - ანუ ერთი იმატებს, როდესაც მეორე იკლებს.

ეს იმიტომ ხდება, რომ სავარაუდოდ, ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული რეალური ღირებულებისა და ფულადი ნაკადების ცვლილებამ ერთიმეორე სრულად უნდა გადაფაროს. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის სვოპი, სავარაუდოდ, ეფექტური ჰეჯირება იქნება სესხის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის იმ შემთხვევაში, თუ სვოპის დროს ხდება ფიქსირებული პროცენტის მიღება და ცვალებადი პროცენტის გადახდა და ერთნაირია სვოპისა და სესხის პირობითი და ძირითანხები; ვადა; ხელახალი შეფასების თარიღები; პროცენტისა და ძირის მიღებისა და გადახდის თარიღები და საპროცენტო განაკვეთის შეფასების საფუძველი. ასევე, როდესაც საბირჟო საქონლის მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ფასის რისკის ჰეჯირებისთვის გამოიყენება საბირჟო საქონლის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება, ჰეჯირების ინსტრუმენტის ეფექტურობა იზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც საბირჟო საქონლის რაოდენობა ერთი და იგივეა ფორვარდულ ხელშეკრულებასა და პროგნოზირებულ შესყიდვაში, ორივე ხელშეკრულება ეხება საბირჟო საქონლის ერთი და იგივე კლასს და ერთნაირია მიწოდების დრო და ადგილი.

ზოგჯერ ჰეჯირების ინსტრუმენტი მხოლოდ ნაწილობრივ გადაფარავს ჰეჯირებულ რისკს. მაგალითად, ჰეჯირება შეიძლება არ იყოს სრულად ეფექტური იმ შემთხვევაში, თუ სესხის საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად გადაანგარიშდება, მაგრამ გადაანგარიშების სიხშირე არ ემთხვევა სვოპის შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის ვადებს.

მაგალითები—ჰეჯირებული რისკები და ჰეჯირების ინსტრუმენტები

მაგ. 22 საწარმომ შეიძინა 10% ფიქსირებული განაკვეთის მქონე სახელმწიფო ობლიგაცია, რომლის დაფარვის ვადაა 10 წელი. ობლიგაციის რეალური ღირებულების რისკის ჰეჯირების მიზნით, რაც დაკავშირებულია მე-5 წლამდე პროცენტის გადახდებთან, საწარმომ შეიძინა ფიქსირებული პროცენტის გადახდისა და ცვალებადი პროცენტის მიღების საპროცენტო განაკვეთის ხუთწლიანი სვოპი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი 12.17 პუნქტით ჰეჯირებისთვის ნებადართული ერთ-ერთი რისკია. საპროცენტო განაკვეთის სვოპი დასაშვებია ჰეჯირების ინსტრუმენტია, იმ შემთხვევაში, თუ 12.18(ბ)-(დ) პუნქტებით გათვალისწინებული პირობები სრულდება. საწარმოს უფლება აქვს ჰეჯირების ინსტრუმენტის კლასიფიცირება მოახდინოს, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტისა, ჰეჯირებული მუხლის დაფარვის ვადამდე პერიოდის მხოლოდ ნაწილის განმავლობაში. თუ 12.18 პუნქტის სხვა პირობები სრულდება, სვოპის კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც სავალო ინსტრუმენტის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისა ხუთი წლის ვადით.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგ. 23 საწარმომ შეიძინა 10% ფიქსირებული განაკვეთის მქონე სახელმწიფო ობლიგაცია, რომლის დარჩენილი დაფარვის ვადაა ექვსი წელი. ობლიგაციის რეალური ღირებულების რისკის ჰეჯირების მიზნით, რაც დაკავშირებულია ექვსი წლის განმავლობაში პროცენტის გადახდებთან, საწარმომ შეიძინა ფიქსირებული პროცენტის გადახდისა და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მიღების ათწლიანი სვოპი.

საწარმოს არ აქვს უფლება გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა საპროცენტო განაკვეთის სვოპსა და სახელმწიფო ობლიგაციას შორის ჰეჯირების ურთიერთობისთვის. რადგან საპროცენტო განაკვეთის სვოპის დაფარვის ვადა უფრო გვიან არის, ვიდრე სამთავრობო ობლიგაციისა, საპროცენტო განაკვეთის სვოპი არ აკმაყოფილებს 12.18(დ) პუნქტის პირობას.

იმისათვის, რომ საწარმოს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება ჰქონდეს, ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა გააფორმოს ფიქსირებული პროცენტის გადახდისა და ცვალებადი პროცენტის მიღების ექვსწლიანი საპროცენტო განაკვეთის სვოპი და უზრუნველყოს, რომ ექვსწლიანი სვოპი აკმაყოფილებდეს 12.18 პუნქტის სხვა პირობებს.

მაგ. 24 საწარმომ, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, თავისი ბანკისგან მიიღო ხუთწლიანი ფიქსირებულგანაკვეთიანი უცხოურ ვალუტაში გამოსახული სესხი 10,000 უფე-ის ოდენობით. საწარმო ფლობს 10,000 უფე-ის ხუთწლიან ფიქსირებულგანაკვეთიან ობლიგაციას. როგორც სესხი, ასევე ობლიგაცია აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასების მოთხოვნებს მე-11 განყოფილების შესაბამისად. აქვს თუ არა საწარმოს უფლება მოახდინოს უფე-ში სესხის კლასიფიცირება ჰეჯირების ინსტრუმენტად უფე-ში ობლიგაციის სავალუტო რისკისთვის და გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა?

არა. სესხი უფე-ში არ არის ჰეჯირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც მოცემულია 12.18(ა) პუნქტში; *მის ფასს* სტანდარტის შესაბამისად, მხოლოდ კონკრეტული წარმოებულები წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტებს.

შესაბამისად, საწარმოს არ შეუძლია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებით. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვა არ მოახდენდა მნიშვნელოვან გავლენას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. როგორც უფე-ში სესხის, ასევე უფე-ში ობლიგაციის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია სავალუტო კურსის ცვლილებასთან, აღიარდებოდა მოგებაში ან ზარალში და ეფექტურად გადაფარავდა ერთიმეორეს ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდებში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგ. 25 A საწარმო, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, აფორმებს ხელშეკრულებას B საწარმოსთან, რომლის სამუშაო ვალუტა არის უფე, B საწარმოსთვის 10 დანადგარის მიყიდვასთან დაკავშირებით 10,000 უფე-ად, რომელიც გადასახდელია მიწოდებისას. მიწოდება განხორციელდება რვა თვეში. ამავე დროს, A საწარმო აფორმებს ვალუტის გაცვლის ფორვარდულ ხელშეკრულებას რვა თვეში 10,000 უფე-ის გაყიდვასა და 15,000 ფე-ის შექენასთან დაკავშირებით.

გაყიდვის ხელშეკრულება არის მყარი ვალდებულება A საწარმოსა და B საწარმოს შორის. მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოადგენს ერთ-ერთ რისკს, რომლის ჰეჯირება ნებადართულია 12.17 პუნქტით. ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება არის ჰეჯირების ინსტრუმენტი, რომელიც ნებადართულია 12.18(ა) პუნქტით. შესაბამისად, თუ დავუშვებთ, რომ ჰეჯირების აღრიცხვის სხვა კრიტერიუმები სრულდება, ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულების კლასიფიცირება შესაძლებელია მყარი ვალდებულების (ჰეჯირებული მუხლის) სავალუტო რისკის ჰეჯირების ინსტრუმენტად; შესაბამისად, შესაძლებელია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება.

მაგ. 26 საწარმომ, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, თავისი ბანკისგან მიიღო ხუთწლიანი ცვალებადგანაკვეთიანი (რომელიც დაკავშირებულია უფე-ის LIBOR-თან) უცხოურ ვალუტაში გამოსახული სესხი 10,000 უფე-ის ოდენობით, რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასების მოთხოვნებს მე-11 განყოფილების შესაბამისად. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების რისკის ჰეჯირების მიზნით საწარმო აფორმებს საპროცენტო განაკვეთის სვოპს, რათა მიიღოს (უფე-ის LIBOR-თან დაკავშირებული) ცვალებადი პროცენტი უფე-ში და გადაიხადოს ფიქსირებული პროცენტი უფე-ში 5%-ის ოდენობით. საწარმოს სურს მოახდინოს სვოპის კლასიფიცირება სესხის უფე-ში საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებად.

12.17 პუნქტი ჰეჯირების აღრიცხვის უფლებას იძლევა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალუტო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკისთვის. სვოპი არის ჰეჯირების ინსტრუმენტი, რომელიც დასაშვებია 12.18(ა) პუნქტით, შესაბამისად, თუ დავუშვებთ, რომ ჰეჯირების აღრიცხვის სხვა კრიტერიუმები სრულდება, ჰეჯირების აღრიცხვა დასაშვებია.

მაგ. 27 საწარმო რეგულარულად ყიდულობს ფოლადის ფურცლებს საკუთარ წარმოებაში ნედლეულის სახით გამოსაყენებლად. ფოლადის კომპანია თანხმდება საწარმოს ოთხ თვეში მიჰყიდოს ფოლადის ფურცლები აღნიშნული თარიღისთვის არსებულ საბაზრო ფასად და საწარმო ამას მიიჩნევს ფოლადის შესყიდვის მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებად. რადგან საწარმო წუხს, რომ ფოლადის ფურცლების ფასი გაიზრდება აღნიშნული ოთხთვიანი პერიოდის განმავლობაში, საწარმო აფორმებს ოთხთვიან ფორვარდულ ხელშეკრულებას, რომელიც ინდექსირებულია რკინის მადნის ფასზე, რაც ფოლადის ფასის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. საწარმო გეგმავს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებას. საწარმოს სურს ხელშეკრულების კლასიფიცირება, როგორც შესასყიდი ფოლადის ფურცლების ფასის რისკის ჰეჯირება.

ზოგადად, ფოლადის წარმოება რკინის მადნის მოხმარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, რკინის მადნის ფასის ცვლილება გავლენას მოახდენს ფოლადის ფასის ცვლილებაზე, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ფოლადის ფურცლების მთლიანი ფასის ცვლილებაზე იქონიოს გავლენა. თუ საწარმო შეძლებს იმის დემონსტრირებას, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტი, რკინის მადნის გაცვლის

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფორვარდული ხელშეკრულება, სავარაუდოდ იქნება მაღალეფექტური ფოლადის ფურცლების შესყიდვასთან დაკავშირებული ფასის რისკის ჰეჯირების საკითხში, იგი შეძლებს ფორვარდული ხელშეკრულების კლასიფიცირებას ჰეჯირების ინსტრუმენტად ჰეჯირების გარიგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების აღრიცხვის სხვა პირობები სრულდება, საწარმოს უფლება აქვს გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა მე-12 განყოფილების შესაბამისად.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგ. 28 საწარმო X-ს, რომლის სამუშაო ვალუტა არის ავX აქვს მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული შესყიდვა, რაც გამოსახულია Y ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაში (ავY). X საწარმო Z საწარმოს სრულ საკუთრებაშია და Z საწარმო ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს თავის სამუშაო ვალუტაში - ავZ-ში. Z საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის X საწარმო. Z საწარმო აფორმებს ფორვარდულ ხელშეკრულებას, რათა მოახდინოს ავY-ში ცვლილების ჰეჯირება ავX-თან შედარებით, რაც წარმოიქმნება X საწარმოს მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ შესყიდვასთან დაკავშირებით. დასაშვებია თუ არა აღნიშნული ჰეჯირების აღრიცხვა Z საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საჭიროა, რომ ჰეჯირების გარიგების მხარე იყოს X საწარმო, რომელიც ექვემდებარება სავალუტო რისკს, იმისათვის, რომ დასაშვები იყოს ჰეჯირების აღრიცხვა?

ჰეჯირების აღრიცხვა დასაშვებია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ 12.16-12.18 პუნქტებით განსაზღვრული სხვა პირობები სრულდება. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშვალდებული საწარმო არის ჯგუფი; ჯგუფი ექვემდებარება რისკს და ფლობს ჰეჯირების ინსტრუმენტს. X საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ჰეჯირების აღრიცხვა არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ჰეჯირების ინსტრუმენტს ფლობს Z საწარმო. Z საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ჰეჯირების აღრიცხვა არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან პროგნოზირებული გარიგება სავარაუდოა X საწარმოსთვის.

აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირება, ან საწარმოს მიერ ფლობილ საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირება

12.19 თუ 12.16 პუნქტის პირობები დაკმაყოფილებულია და ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკს, ან საწარმოს მიერ ფლობილ საბირჟო საქონელთან დაკავშირებულ ფასის რისკს, მაშინ საწარმომ:

- (ა) უნდა აღიაროს ჰეჯირების ინსტრუმენტი, როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება, ხოლო ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებები აღიაროს მოგებაში ან ზარალში; და
- (ბ) ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებები აღიაროს მოგებაში ან ზარალში და ასახოს, როგორც ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულების კორექტირება.

12.20 თუ ჰეჯირებული რისკი არის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკი, საწარმომ საპროცენტო განაკვეთის სვობთან (რომელიც წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტს) დაკავშირებული პერიოდული ანგარიშსწორებები წმინდა ფულადი სახსრებით, უნდა აღიაროს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც განხორციელდა ანგარიშსწორება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შენიშვნები

12.19 პუნქტი მოიცავს შემდეგი ორი სახის ჰეჯირების გარიგებას:

- (ა) საწარმო ფლობს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტს და აფორმებს საპროცენტო განაკვეთის სვოპს, რომელიც ახდენს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების გამო სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებების რისკის ჰეჯირებას.

საწარმომ შეიძლება გააფორმოს საპროცენტო განაკვეთის სვოპი სავალო ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომლის ფლობაც მოსალოდნელია დაფარვის ვადამდე (ანუ, საწარმოზე გავლენას არ მოახდენს ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება), თუ მას სურს ფიქსირებული საპროცენტო გადახდები შეცვალოს ცვალებადი საპროცენტო გადახდებით. მაგალითად, საწარმოს შესაძლოა სურდეს სვოპის ცვალებადი ფულადი ნაკადების გადაფარვა ფულადი სახსრების სხვა გადახდებით ან მიღებით ცვალებად განაკვეთებთან დაკავშირებულ სხვა ინსტრუმენტებზე.

იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებულგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტი ფინანსური ვალდებულებაა, მაგალითად ბანკის ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხია, გადახდილი იქნება პროცენტი ფიქსირებული განაკვეთით. შესაბამისად, საწარმო გააფორმებს ცვალებადი პროცენტის გადახდისა და ფიქსირებული პროცენტის მიღების საპროცენტო განაკვეთის სვოპს. სესხისა და სვოპის წმინდა გავლენა იქნება ის, რომ საწარმო გადაიხდის პროცენტს ცვალებადი განაკვეთით (ეს შეიძლება იყოს ცვალებად განაკვეთს პლუს რამდენიმე საბაზისო პუნქტი საწარმოს საკრედიტო რეიტინგის გასათვალისწინებლად).

იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირებულგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტი ფინანსური აქტივია, მაგალითად ინვესტიცია ფიქსირებულგანაკვეთიან ობლიგაციებში, მიღებული იქნება საპროცენტო შემოსავალი ფიქსირებული განაკვეთით. შესაბამისად, საწარმო გააფორმებს ფიქსირებული პროცენტის გადახდისა და ცვალებადი პროცენტის მიღების საპროცენტო განაკვეთის სვოპს. ობლიგაციებისა და სვოპის წმინდა გავლენა იქნება ის, რომ საწარმო მიიღებს საპროცენტო შემოსავალს ცვალებადი განაკვეთით.

- (ბ) საწარმო, რომელიც ფლობს გარკვეული ტიპის საბირჟო საქონელს, როგორც მარაგს, აფორმებს საბირჟო საქონლის (გაყიდვის) ფორვარდულ ხელშეკრულებას საბირჟო საქონლის რეალური ღირებულების შემცირების რისკის ჰეჯირების მიზნით ფორვარდული ხელშეკრულების ვადის განმავლობაში არსებული ფასის რისკის გამო. ფორვარდული ხელშეკრულების დაფარვის ვადის დადგომისას, თუ საწარმო დაფარავს ფორვარდულ ხელშეკრულებას, იგი იხდის მხოლოდ საბირჟო საქონლის დაფარვის ვადისთვის არსებულ სპოტ-ფასსა და ფორვარდული ხელშეკრულების შესაბამის ფიქსირებულ ფასს შორის სხვაობას. ფორვარდული ხელშეკრულება წარმოადგენს მარაგების ფასის რისკის ჰეჯირებას.

ქვემოთ მოცემულია (ა)–(ბ) პუნქტებით გათვალისწინებული ჰეჯირების აღრიცხვა:

ჰეჯირების ინსტრუმენტის აღრიცხვა

ჰეჯირების აღრიცხვა 12.19 პუნქტის შესაბამისად მხოლოდ ჰეჯირებულ მუხლს ეხება და არ ახდენს გავლენას ჰეჯირების ინსტრუმენტზე. ჰეჯირების ინსტრუმენტი აისახება იგივენაირად, იმის მიუხედავად შედის თუ არა აღნიშნული ინსტრუმენტი 12.19 პუნქტის გამოყენებით კლასიფიცირებულ ჰეჯირების ურთიერთობაში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

წარმოებული არის ჰეჯირების ინსტრუმენტი, რომლის გამოყენება ნებადართულია მე-12 განყოფილების შესაბამისად. ამის გამო, მისი აღრიცხვა მოხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ადგილი აქვს რეალური ღირებულების ცვლილებას.

ამასთან, როდესაც სავალო ინსტრუმენტის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკი ჰეჯირებულია, როგორც ეს მოცემულია (ა) პუნქტში, სვოპთან დაკავშირებულ პერიოდული ანგარიშსწორებები წმინდა ფულადი სახსრებით აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც განხორციელდა ანგარიშსწორება. იხ. საილუსტრაციო ჟურნალები; ეს შესაძლოა გაერთიანებული იყოს სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების აღიარებასთან ან აღიარებული იქნეს ცალკე, რა შემთხვევაშიც, შესაბამისად კორექტირდება ჟურნალში სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება.

ჰეჯირებული მუხლის აღრიცხვა

ჰეჯირების აღრიცხვა 12.19 პუნქტის შესაბამისად მოიცავს ჰეჯირებული მუხლის აღრიცხვის წესის ცვლილებას, ანუ, ჰეჯირების აღრიცხვა 12.19 პუნქტის შესაბამისად უფრო მნისვნელოვანია ვიდრე ჰეჯირებული მუხლის „ჩვეულებრივ“ აღრიცხვა. (ა)–(ბ) პუნქტებში, იმ შემთხვევაში, თუ საწარმო გამოიყენებს ჰეჯირების აღრიცხვას ჰეჯირების ურთიერთობასთან მიმართებით ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება, როგორც ჰეჯირებული მუხლის (სავალო ინსტრუმენტის ან საბირჟო საქონლის) საბალანსო ღირებულების კორექტირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

არაეფექტური ჰეჯირება

რადგან როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება, ასევე ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილება ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ნებისმიერი არაეფექტური ჰეჯირება (ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებების შეუსაბამობის ხარისხი) ავტომატურად აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მას ადგილი ექნება. ავტომატური აღიარება ხდება იმის მიუხედავად, ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებები ნაკლებია თუ მეტია ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებებზე.

მაგალითები—ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებლობის (მაგალითი 29) შედარება ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებასთან (მაგალითი 30)

- მაგ. 29** 20X0 წლის 1-ელ იანვარს A საწარმომ გამოიტანა 50,000ფე-ის ოდენობით ექვსწლიანი საბანკო სესხი ფიქსირებული განაკვეთით B ბანკიდან. რადგან ერთი წლის შემდეგ, 20X1 წლის 1-ელ იანვარს, წუხდა, რომ საპროცენტო განაკვეთები მალე დაეცემოდა, A საწარმომ სხვა გარე მხარესთან გააფორმა საპროცენტო განაკვეთის სვოპი ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხის ცვალებადგანაკვეთიან სესხად გადაყვანასთან დაკავშირებით, შესაბამისად, A საწარმოს ხარჯები, ამჟამად, ფაქტობრივად, ცვალებად

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

განაკვეთშია. დამატებითი დეტალები სესხისა და საპროცენტო განაკვეთის სვოპის შესახებ:

- A საწარმო ბანკის სესხზე პროცენტს იხდის 5% წლიურ განაკვეთს პერიოდის ბოლოს. 5% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი სესხზე 100 საბაზისო პუნქტით, ან 1%-ით უფრო მაღალია, ვიდრე 5-წლიანი სვოპის განაკვეთი A საწარმოს საკრედიტო რეიტინგის გამო.
- სვოპი არის ხუთწლიანი საპროცენტო განაკვეთის სვოპი, რომლის თანახმადაც, საწარმო იხდის LIBOR-ს და იღებს ფიქსირებულ 4%-ს 50,000 ფე-ის ნომინალურ ღირებულებაზე. სვოპის ცვალებადი ნაწილი გადაანგარიშდება ყოველწლიურად 31 დეკემბერს. საპროცენტო განაკვეთის სვოპი არის საბაზრო პირობებით და დასაწყისისათვის მისი რეალური ღირებულება ნულის ტოლია. სვოპს არ გააჩნია საავანსო გადახდების, ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ვადის გაგრძელების მახასიათებლები.

სესხისა და სვოპის ერთობლივი გავლენა არის ის, რომ სესხის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საწარმო 50,000 ფე-ის სესხზე პროცენტს იხდის ცვალებადი განაკვეთით, რაც ტოლია LIBOR-ს პლუს 1%.

A საწარმოს არ სურს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება აღნიშნულ ოპერაციაზე. შესაბამისად, A საწარმო არ ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირებას და დოკუმენტურად გაფორმებას. A საწარმოს წლის ბოლო არის 31 დეკემბერი. გარიგების საზღაური არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მაგალითში.

დამატებითი ინფორმაცია სვოპის შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 20X1	31 დეკემბერი 20X2
	ფე	ფე
რეალური ღირებულება წლის დასაწყისში	0	2,000
რეალური ღირებულების ცვლილება წლის განმავლობაში	2,500	(3,500)
ანგარიშსწორება ფულადი სახსრებით წლის განმავლობაში (მიღებული)/გადახდილი (საპროცენტო განაკვეთი არის 3% (20X0) და 5% (20X1))	(500)	500
საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება აქტივი/(ვალდებულება) წლის ბოლოს	2,000	(1,000)

შენიშვნა: ცხრილში მოცემული ციფრები არ არის სწორად გამოთვლილი და წარმოდგენილია მხოლოდ ილუსტრირების მიზნით.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

გარიგების თავდაპირველი აღიარებისას (20X0 წლის 1-ელ იანვარს) და შემდგომში ჟურნალში კეთდება შემდეგი ჩანაწერები⁽³⁾:

1-ლი იანვარი 20X0

სესხი

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	50,000ფე	
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი		50,000ფე
<i>სესხისა და ფულადი სახსრების მიღების აღიარება</i>		

31 დეკემბერი 20X0

სესხი - ამორტიზებული ღირებულება

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,500ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

20X0 წლის 31 დეკემბერს სესხის საბალანსო ღირებულებაა ვალდებულება 50,000 ფე-ის ოდენობით.

1-ლი იანვარი 20X1

სვოპი

რადგან სვოპის რეალური ღირებულება 20X1 წლის 1-ელ იანვარს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება

31 დეკემბერი 20X1

სესხი - ამორტიზებული ღირებულება

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,500ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი	2,500ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება		2,500ფე

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (LIBOR - 3%)

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		500ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა (50 000ფე x (4% (ფიქსირებული განაკვეთი) - 3% (LIBOR))

⁽³⁾ წინამდებარე სასწავლო მასალა მოიცავს საილუსტრაციო ჩანაწერებს ჟურნალში. გაითვალისწინეთ, რომ ჩანაწერების მიზანია ჟურნალში ჩანაწერების სტრუქტურირების ერთ-ერთი და არა ერთადერთი მეთოდის ილუსტრირება, რადგან მსს ფასს სტანდარტი არ არის შედგენილი ჟურნალში ჩანაწერების გაკეთების დონეზე.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

20X1 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 50,000 ფე-ის ვალდებულებას, ხოლო სვოპი არის 2,000 ფე-ის აქტივი (რეალური ღირებულებით).

20X1 წელს მოგებაზე ან ზარალზე წმინდა გავლენა ნულის ტოლია, რაც მიიღება 2,500 ფე-ის ფინანსური დანახარჯებისთვის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების - 2,500 ფე-ის გამოკლებით.

31 დეკემბერი 20X2

სესხი - ამორტიზებული ღირებულება

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,500ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება	3,500ფე	
კრ აქტივი/ვალდებულება: ფინანსური აქტივი/ვალდებულება - სვოპი		3,500ფე
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა</i>		

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (LIBOR - 5%)

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი	500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		500ფე
<i>სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა (50 000ფე x (4% (ფიქსირებული განაკვეთი) - 5% (LIBOR))</i>		

20X2 წლის 31 დეკემბრისთვის, სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 50,000 ფე-ს (ფინანსური ვალდებულება), ხოლო სვოპი არის 1,000 ფე-ის ფინანსური ვალდებულება (მოძრაობა 2,000 ფე აქტივიდან 20X1 წლის 31 დეკემბერს).

20X2 წელს მოგებაზე ან ზარალზე წმინდა გავლენა შეადგენს 6,000ფე-ის დებეტს, რაც მიიღება 2,500 ფე-ის ფინანსურ დანახარჯებს პლუს სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება - 3,500 ფე.

შენიშვნა: წინამდებარე მაგალითში წარმოდგენილია საჭურნალო გატარებები სესხის მხოლოდ პირველი სამი წლისთვის და სვოპის პირველი ორი წლისთვის. მასში ნაჩვენებია რომ იყოს საჭურნალო გატარებები სვოპის ხუთივე წლისთვის, მასში გამოჩნდებოდა, რომ სვოპის რეალური ღირებულება ხუთი წლის გასვლის შემდეგ ნულის ტოლია და რომ სვოპის დაგროვილი გავლენა ხუთი წლის მოგებაზე წმინდა ფულადი სახსრებით წლიური ანგარიშსწორებების ჯამის ტოლია.

ქვემოთ მოცემულია სამი წლის განმავლობაში მოგებაში ან ზარალში აღიარებული საჭურნალო გატარებები:

20X0	20X1	20X2
------	------	------

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სესხზე გადასახდელი პროცენტი	(2,500)	(2,500)	(2,500)
სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება*	-	2,500	(3,500)
	<u>(2,500)</u>	<u>(-)</u>	<u>(6,000)</u>

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

* რეალური ღირებულების ცვლილება არის მთლიანი ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისის შემდეგ. შესაბამისად, იგი შედგება ორი ელემენტისგან:

	20X1	20X2
მისაკუთვნიებული მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდზე (ასევე ტოლია საანგარიშგებო პერიოდისთვის დარიცხული წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებისა)	500	(500)
მისაკუთვნიებული მომავალ პერიოდებზე	2,000	(3,000)
	<u>2,500</u>	<u>(3,500)</u>

წინამდებარე მაგალითი გვიჩვენებს ფიქსირებულგანაკვეთიან ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთის რისკის ეკონომიკური ჰეჯირების მიზნით საწარმოს მიერ საპროცენტო განაკვეთის სვოპის გამოტანის შედეგებს. სვოპის გავლენა სესხზე არის ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხის გარდაქმნა ცვალებადგანაკვეთიან სესხად. თუმცა, იმის გამო, რომ სესხი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სვოპის აღიარება ყოველ წელს ხდება რეალური ღირებულებით, წარმოქმნილი მოგება ცვალებადია ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში.

მაგ. 30 ფაქტები იგივეა, რაც 29-ე მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, A საწარმოს სურს იმგვარად ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა საპროცენტო განაკვეთის სვოპსა და სესხის საპროცენტო განაკვეთის რისკს შორის, რომ ჰქონდეს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება. შესაბამისად, 20X1 წლის 1-ელ იანვარს A საწარმომ ჩამოაყალიბა და დოკუმენტურად გააფორმა ჰეჯირების ურთიერთობა 12.16(ა) პუნქტის გამოყენებით.

გარიგების თავდაპირველი აღიარებისას (20X0 წლის 1-ელ იანვარს) და შემდგომში კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

1 იანვარი 20X0

სესხი

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	50,000ფე	
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი		50,000ფე

სესხისა და ფულადი სახსრების მიღების აღიარება

31 დეკემბერი 20X0

სესხი - ამორტიზებული ღირებულება

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,500ფე

მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა

20X0 წლის 31 დეკემბერს სესხის საბალანსო ღირებულებაა ვალდებულება 50,000 ფე-ის ოდენობით.

1-ლი იანვარი 20X1

სვოპი

რადგან სვოპის რეალური ღირებულება 20X1 წლის 1-ელ იანვარს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

31 დეკემბერი 20X1

სესხი - ამორტიზებული ღირებულება

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები 2,500ფე

კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები 2,500ფე

მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ჰეჯირების აღრიცხვა: სესხი - რეალური ღირებულების ცვლილება საპროცენტო განაკვეთის რისკის გამო

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირებული მუხლი)	2,000ფე	
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი		2,000ფე

სესხის საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება (LIBOR - 3%)

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი	2,500ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—რეალური ღირებულების ცვლილება: დარიცხული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		500ფე
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		2,000ფე

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილებისა და წმინდა ფულადი სახსრებით დარიცხული ანგარიშსწორების ასახვა

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (LIBOR - 3%)

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		500ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა (50 000ფე x (4% (ფიქსირებული განაკვეთი) - 3% (LIBOR))

წმინდა გავლენა მოგებაზე ან ზარალზე არის ის, რომ საწარმოს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი; ის ბანკს უხდის ფიქსირებულ პროცენტს და საპროცენტო განაკვეთის სვოპის გავლენა არის პროცენტის კორექტირება ცვალებად განაკვეთში.

მოგებაზე ან ზარალზე წმინდა გავლენა 20X1 წელს, როდესაც LIBOR 3%-ია, არის დებიტი - 2,000ფე (რაც მოიცავს საპროცენტო ხარჯს - 2,500ფე-ს გამოკლებული სვოპზე წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების განხორციელება - 500ფე, ასევე 2,000ფე სვოპის რეალური ღირებულების სხვა ცვლილება და 2,000 ფე სესხის რეალური ღირებულების ცვლილება (რაც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის რისკთან), რაც ჯამში უდრის ნულს).

20X1 წლის 31 დეკემბრისთვის, სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 52,000 ფე-ის ვალდებულებას (= 50,000ფე + 2,000ფე), ხოლო სვოპი არის 2,000 ფე-ის ფინანსური აქტივი (= 2,500ფე მინუს 500ფე).

31 დეკემბერი 20X2

სესხი - ამორტიზებული ღირებულება

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,500ფე

მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

პროცენტის გადახდის ასახვა

ჰეჯირების აღრიცხვა: სესხი - რეალური ღირებულების ცვლილება საპროცენტო განაკვეთის რისკის გამო

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი	3,000ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი— ჰეჯირების აღრიცხვის გავლენა		3,000ფე

სესხის საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება (LIBOR is 5%)

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი რეალური ღირებულების ცვლილება: დარიცხული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	500ფე	
დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	3,000ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		2,000ფე
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი		1,500ფე

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილებისა და წმინდა ფულადი სახსრებით დარიცხული ანგარიშსწორების ასახვა. ჟურნალის ჩანაწერი გაყოფილია, რადგან სვოპი აქტივიდან ვალდებულებად იცვლება.

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (LIBOR - 5%)

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი	500ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		500ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა (50 000ფე x (4% (ფიქსირებული განაკვეთი) - 5% (LIBOR))

წმინდა გავლენა მოგებაზე ან ზარალზე არის ის, რომ საწარმოს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი; ის ბანკს უხდის ფიქსირებულ პროცენტს და საპროცენტო განაკვეთის სვოპის გავლენა არის პროცენტის კორექტირება ცვალებად განაკვეთში.

მოგებაზე ან ზარალზე წმინდა გავლენა 20X2 წელს, როდესაც LIBOR 5%-ია, არის კრედიტი - 3,000ფე (რაც მოიცავს საპროცენტო ხარჯს - 2,500ფე-ს პლუს სვოპზე წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების განხორციელება - 500ფე, ასევე 3,000ფე სვოპის რეალური ღირებულების სხვა ცვლილება და 3,000 ფე სესხის რეალური ღირებულების ცვლილება (რაც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის რისკთან), რაც ჯამში უდრის ნულს)

20X2 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 49,000 ფე-ის ვალდებულებას (= 50,000ფე-ს გამოკლებული 1,000ფე), ხოლო სვოპი არის 1,000 ფე-ის ფინანსური ვალდებულება (= 2,000ფე აქტივს პლუს 500 ფე მინუს 3,500ფე).

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ქვემოთ მოცემულია სამი წლის განმავლობაში მოგებაში ან ზარალში აღიარებული ჩანაწერების ილუსტრირება

	20X0	20X1	20X2
სესხზე გადასახდელი პროცენტი	(2,500)	(2,500)	(2,500)
სესხი—რეალური ღირებულების ცვლილება	n/a	(2,000)	3,000
სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება:			
წმინდა ფულადი სახსრებით პერიოდული ანგარიშსწორების განხორციელება და რეალური ღირებულების სხვა ცვლილება	n/a	500	(500)
რეალური ღირებულების სხვა ცვლილება	n/a	2,000	(3,000)
	(2,500)	(2,000)	(3,000)

სვოპის გამოტანა არ მოხდა 20X1 წლის 1-ელ იანვრამდე. 20X1 და 20X2 წლებში მოგებაზე ან ზარალზე წმინდა გავლენა ჯერ ისევ ცვალებადია (თუმცა, უფრო ნაკლებად ცვალებადია, ვიდრე 29-ე მაგალითში, როდესაც არ გამოიყენებოდა ჰეჯირების აღრიცხვა), მაგრამ ამის მიზეზი, არის ის, რომ სესხისა და სვოპის ერთობლივი გავლენით წარმოიქმნება სესხი, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და უდრის LIBOR-ს პლუს 1%.

- 12.21 საწარმომ 12.19 პუნქტით გათვალისწინებული ჰეჯირების აღრიცხვა უნდა შეწყვიტოს, თუ:
- (ა) ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან გარიგება შეწყდა, ან ინსტრუმენტი გაიყიდა;
 - (ბ) ჰეჯირება უკვე აღარ აკმაყოფილებს 12.16 პუნქტით გათვალისწინებულ ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს; ან
 - (გ) საწარმო აუქმებს ამ კლასიფიკაციას.
- 12.22 თუ შეწყდა ჰეჯირების აღრიცხვა და ჰეჯირებული მუხლი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ აქტივს ან ვალდებულებას, რომლის აღიარება ჯერ არ შეწყვეტილა, ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია, როგორც ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულების კორექტირება, უნდა ჩამოიწეროს მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ჰეჯირებული მუხლის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

შენიშვნები

ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან გარიგება შეწყდა,

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ან ინსტრუმენტი გაიყიდა:

ჰეჯირების ინსტრუმენტი აღარ არსებობს და უნდა შეწყდეს მისი აღიარება.

არ მომხდარა ჰეჯირებული მუხლის გაყიდვა, გარიგების შეწყვეტა ან შესრულება

იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების აღრიცხვა შეწყდება ისე, რომ არ მოხდება ჰეჯირებული მუხლის გაყიდვა ან შესრულება, წყდება ჰეჯირებული მუხლის კორექტირება რეალური ღირებულების მომავალ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია ჰეჯირებულ რისკთან. დაგროვილი კორექტირება ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია ჰეჯირების აღრიცხვის პერიოდში არსებულ ჰეჯირებულ რისკთან, ჰეჯირებული მუხლის აღიარების შეწყვეტამდე ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულების შემადგენლობაში რჩება. იგი აისახება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს საბირჟო საქონლის ფასის რისკს, დაგროვილი კორექტირება აქტივის საბალანსო ღირებულების შემადგენლობაში რჩება აქტივის გამოყენების, გაყიდვის ან გაუფასურების თარიღამდე.
- იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებულ რისკს, ხდება დაგროვილი კორექტირების ამორტიზება მოგებაში ან ზარალში ასახვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით სავალო ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

არ მომხდარა ჰეჯირების ინსტრუმენტის გაყიდვა, გარიგების შეწყვეტა ან შესრულება

იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირება აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის 12.21(ბ) პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არ მომხდარა ჰეჯირების ინსტრუმენტის ვადის გასვლა, ინსტრუმენტის გაყიდვა ან გარიგების შეწყვეტა (იხ. 12.21(ბ) პუნქტი), მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტი მაღალეფექტური იქნება, ან თუ საწარმო აუქმებს ჰეჯირების კლასიფიკაციას (იხ. 12.21(გ) პუნქტი), ჰეჯირების ინსტრუმენტი კვლავ საწარმოს მფლობელობაში რჩება. თუმცა, საწარმომ უნდა შეწყვიტოს ჰეჯირების აღრიცხვა. საწარმომ უნდა გააგრძელოს ჰეჯირების ინსტრუმენტის აღრიცხვა მე-12 განყოფილების გამოყენებით, ანუ, რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები ასახოს მოგებაში ან ზარალში. ამასთან, საწარმომ ჰეჯირებული მუხლი უნდა აღრიცხოს ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითები—ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა

მაგ. 31 ფაქტები იგივეა, რაც 29-ე მაგალითში, მაგრამ საწარმო იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას. 20X2 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 49,000 ფე-ს, ხოლო სვოპი არის 1,000 ფე-ის ვალდებულება (იხ. 30-ე მაგალითი) თუმცა, ამ მაგალითში, 20X3 წლის 1-ელ იანვარს საწარმომ გადაწყვიტა კლასიფიკაციის გაუქმება პერსპექტიულად, მაგრამ სვოპის შეწყვეტის გარეშე.

20X3 წლის 31 დეკემბერს სვოპის რეალური ღირებულებაა 600 ფე (ვალდებულება), ხოლო LIBOR იყო 4.5%.

20X3 წლის 31 დეკემბერს კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

31 დეკემბერი 20X3

სესხი - ამორტიზებული ღირებულება (იხ. ცხრილი ამ მაგალითის ბოლოს)

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,815ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,500ფე
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი		315ფე

მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი	150ფე ^(ა)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება		150ფე

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

(ა) სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება = რეალურ ღირებულებას 20X3 წლის 31 დეკემბერს ((600)ფე) გამოკლებული რეალური ღირებულება 20X2 წლის 31 დეკემბერს ((1,000)ფე) გამოკლებული დარიცხული წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება (250ფე) = 150ფე.

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (LIBOR - 4.5%)

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი	250ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		250ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა (50 000ფე x (4% (ფიქსირებული განაკვეთი) - 4,5% (LIBOR))

სესხის საბალანსო ღირებულება აღარ კორექტირდება რეალური ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით, რაც დაკავშირებულია საპროცენტო განაკვეთის რისკთან, რადგან შეწყდა ჰეჯირების აღრიცხვა.

20X3 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 49,315 ფე-ს, ხოლო სვოპი არის 600 ფე-ის ვალდებულება.

ქვემოთ მოცემულია შესწორებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა:

წელი	საბალანსო ღირებულება 1-ელ იანვარს	პროცენტი 5.7447% ^(ა)	ფულადი სახსრების მიღება	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს
20X3	49,000	2,815	(2,500)	49,315
20X4	49,315	2,833	(2,500)	49,648

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

20X5

49,648

2,852

(52,500)

-

ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 5.7447%, არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით სესხზე მოსალოდნელი მისაღები ფულადი სახსრები დისკონტირდება საბალანსო ღირებულებამდე - 49,000 ფე-მდე, 20X2 წლის 31 დეკემბერს.

აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირება, მყარ ვალდებულებასთან ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკის ან საბირჟო საქონლის ფასის რისკის ჰეჯირება, ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციების სავალუტო რისკის ჰეჯირება

- 12.23 თუ 12.16 პუნქტში აღწერილი პირობები დაკმაყოფილებულია და ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს:
- ა) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკს;
 - ბ) მყარ ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს;
 - გ) საბირჟო საქონლის ყიდვის, ან გაყიდვის მყარ ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული საბირჟო საქონლის ფასის რისკს; ან
 - დ) უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს,
- მაშინ საწარმომ სხვა სრულ შემოსავალში უნდა ასახოს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ამ მუხლიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილების გადაფარვაში. ყოველ საანგარიშგებო პერიოდში საწარმომ მოგებაში ან ზარალში უნდა ასახოს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილების ნებისმიერი მეტობა (აბსოლუტურ სიდიდეში), ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების მთლიან ცვლილებასთან მიმართებით, რაც დაფიქსირდა ჰეჯირების დაწყების შემდეგ (ზოგჯერ უწოდებენ არაეფექტურ ჰეჯირებას). ჰეჯირებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც სხვა სრულ შემოსავალშია აღიარებული, საწარმომ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც ჰეჯირებული მუხლი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ამას ითვალისწინებს 12.25 პუნქტი. თუმცა, დაუშვებელია სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული, უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციის ჰეჯირებასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობების დაგროვილი თანხის გადატანა მოგებაში ან ზარალში, უცხოური ქვედანაყოფის გასვლისას, ან ნაწილობრივ გასვლისას.
- 12.24 თუ ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკს, საწარმომ შემდგომში საპროცენტო განაკვეთის სვობთან (რომელიც წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტს) დაკავშირებული პერიოდული ანგარიშსწორებები წმინდა ფულადი

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სახსრებით, უნდა აღიაროს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც განხორციელდა ანგარიშსწორება.

შენიშვნები

12.23 პუნქტით მოცემული ჰეჯირების გარიგებების მაგალითები მოიცავს შემდეგს:

- საწარმოს აღიარებული აქვს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ცვალებადი განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტი და აფორმებს საპროცენტო განაკვეთის სვოპს, რომელიც ახდენს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო სავალო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების ცვლილებების რისკის ჰეჯირებას.

იმ შემთხვევაში, თუ ცვალებადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტი ფინანსური ვალდებულებაა (მაგალითად ბანკის ცვალებადგანაკვეთიანი სესხია, სადაც საპროცენტო განაკვეთი ეყრდნობა კოტირებულ საპროცენტო განაკვეთს, როგორცაა, მაგალითად LIBOR), გადახდილი იქნება პროცენტი ცვალებადი განაკვეთით. შესაბამისად, საწარმო გააფორმებს ფიქსირებული პროცენტის გადახდისა და ცვალებადი პროცენტის მიღების საპროცენტო განაკვეთის სვოპს, სადაც სვოპი უკავშირდება იმავე კოტირებულ დაკვირვებად განაკვეთს, რასაც სესხი (LIBOR). შედეგად, საწარმო გადაიხდის პროცენტს ფიქსირებული განაკვეთით.

- იმ შემთხვევაში, თუ ცვალებადგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტი ფინანსური აქტივია (მაგალითად ინვესტიცია ცვალებადგანაკვეთიან ობლიგაციებში, სადაც საპროცენტო განაკვეთი ეყრდნობა კოტირებულ საპროცენტო განაკვეთს, როგორცაა, მაგალითად EURIBOR) მიღებული იქნება პროცენტი ცვალებადი განაკვეთით. შესაბამისად, საწარმო გააფორმებს ცვალებადი პროცენტის გადახდისა და ფიქსირებული პროცენტის მიღების საპროცენტო განაკვეთის სვოპს, სადაც ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი უკავშირდება იმავე კოტირებულ საპროცენტო განაკვეთს, რასაც ობლიგაციები (EURIBOR). შედეგად, საწარმო მიიღებს საპროცენტო შემოსავალს ფიქსირებული განაკვეთით.
- საწარმოს აქვს მომავალში უცხოურ ვალუტაში საქონლის შესყიდვის (ან გაყიდვის) მყარი ვალდებულება, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება. საწარმომ შეიძლება გააფორმოს სავალუტო სვოპი ან ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება, რომლითაც ფიქსირებული იქნება კონკრეტული სავალუტო კურსი საწარმოს სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის, იმის ნაცვლად, რომ განხორციელოს შესყიდვა (გაყიდვა) გარიგების თარიღისთვის არსებული სპოტ კურსით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმომ წინასწარ იცის, თუ რა თანხას გადაიხდის (ან მიიღებს) საკუთარ სამუშაო ვალუტაში აღნიშნული მომავალი თარიღისთვის.
- საწარმოს აქვს მომავალში საბირჟო საქონლის შესყიდვის (ან გაყიდვის) მყარი ვალდებულება, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება. საწარმომ შეიძლება გააფორმოს საბირჟო საქონლის ფორვარდული ხელშეკრულება მესამე მხარესთან, რომელსაც, წმინდა ანგარიშსწორებით, ექნება საბირჟო საქონლის შესყიდვის (ან გაყიდვის) კონკრეტული ფასის ფიქსირების გავლენა გარიგების თარიღისთვის საბირჟო საქონლის სპოტ ფასად შესყიდვის (ან გაყიდვის) განხორციელებასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმომ წინასწარ იცის, თუ რა თანხას გადაიხდის (ან მიიღებს) აღნიშნული მომავალი

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

თარიღისთვის.

პუნქტით მოცემული ჰეჯირების გარიგებების მაგალითების აღრიცხვა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ჰეჯირებული მუხლის აღრიცხვა

ჰეჯირების აღრიცხვა 12.23 პუნქტის გამოყენებით არ ახდენს გავლენას ჰეჯირებული მუხლის „ჩვეულებრივ“⁽⁴⁾ აღრიცხვაზე. 12.23 პუნქტი მხოლოდ ჰეჯირების ინსტრუმენტის აღრიცხვაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, ჰეჯირებული მუხლი აღრიცხება წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, იმის მიუხედავად, მონაწილეობს თუ არა იგი კლასიფიცირებულ ჰეჯირების ურთიერთობაში.

ჰეჯირების ინსტრუმენტის აღრიცხვა

მე-12 განყოფილებით ნებადართული ჰეჯირების ინსტრუმენტი არის წარმოებული. ამის გამო, როგორც წესი, მე-12 განყოფილება მოითხოვს მისი რეალური ღირებულებით აღრიცხვას, ხოლო შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ადგილი აქვს რეალური ღირებულების ცვლილებას. როდესაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვა 12.23 პუნქტის გამოყენებით, ინსტრუმენტების აღრიცხვა კვლავ რეალური ღირებულებით ხდება, მაგრამ ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ორ ოდენობად იყოფა: (i) ოდენობა, რომელიც მონაწილეობდა ჰეჯირებული რისკის ჰეჯირებაში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ; ხოლო (ii) ნაშთი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჰეჯირების ეფექტურობა

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას 12.23 პუნქტის გამოყენებით ჰეჯირების ურთიერთობასთან დაკავშირებით, ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების ის ნაწილი, რომელიც განისაზღვრება, როგორც ეფექტური ჰეჯირება, აისახება სხვა სრულ შემოსავალში. ჰეჯირების ინსტრუმენტის ის ნაწილი, რომელიც ჩაითვლება არაეფექტურად, წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების მეტობას ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილებასთან მიმართებით.

ჰეჯირების შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია

12.23 პუნქტის შესაბამისად, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც სხვა სრულ შემოსავალშია აღიარებული საწარმომ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, მაშინ, როდესაც:

- ჰეჯირებული მუხლი აისახება მოგებაში ან ზარალში (მაგალითად, როდესაც მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება ან გარიგება მყარი ვალდებულების შესაბამისად გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე), ან
- ჰეჯირებული ურთიერთობა მთავრდება.

პროგნოზირებული გარიგება ან გარიგება მყარი ვალდებულების შესაბამისად ყოველთვის არ ახდენს გავლენას მოგებაზე ან ზარალზე გარიგების თარიღისთვის. მაგალითად, გარიგება, რომელიც მოიცავს ძირითადი საშუალების შეძენას გავლენას მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე ძირითადი საშუალების ცვეთის ან/და გაყიდვის

⁽⁴⁾ აღრიცხვა, რომელიც გამოიყენება *მის ფასს* სტანდარტის შესაბამისად, 12.23 პუნქტის გარდა.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, თუ გარიგება არის მარაგის გაყიდვა, გარიგება გავლენას მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე იმ თარიღისთვის, როდესაც გარიგება დააკმაყოფილებს 23-ე განყოფილებით - „ამონაგები“ აღიარების პირობებს (იხ.23.10 პუნქტი - საქონლის გაყიდვის პირობები).

თუ ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალლო ინსტრუმენტის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკს, შემოსულობის ან ზარალის თანხა საპროცენტო განაკვეთის სვოპზე, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ტოლია დარიცხული ანგარიშსწორებისა წმინდა ფულადი სახსრებით აღნიშნული საანგარიშგებო პერიოდისთვის. 12.24 პუნქტი აშკარად მოითხოვს, რომ აღნიშნული თანხა აღიარებული იქნეს მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიცია

უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება მცირედ განსხვავდება 12.23 პუნქტში მოცემული სხვა ჰეჯირებისგან. 12.23 (ა)-(გ) პუნქტებში მოცემული ჰეჯირება არის ჰეჯირებული მუხლის ფულადი ნაკადების ცვალებადობის (რაც გამოწვეულია კონკრეტული რისკით) ჰეჯირება. ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება (12.23(დ) პუნქტი) არ წარმოადგენს ფულადი ნაკადების ჰეჯირებას და ამის ნაცვლად არის უცხოური ქვედანაყოფის წმინდა აქტივებში ანგარიშვალდებული საწარმოს წილის ცვლილებების ჰეჯირება, რაც გამოწვეულია სავალუტო რისკით, რომელიც წარმოიქმნება აღნიშნული წმინდა აქტივების გადაყვანის შედეგად მშობლის სამუშაო ვალუტაში წმინდა აქტივების მშობლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით. თუმცა, უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება მოცემულია იმავე პუნქტებში, რაშიც 12.23(ა)-(გ) პუნქტებით განსაზღვრული ჰეჯირება საადრიცხო მდგომის მსგავსებების გამო.

შესაბამისად, წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება 12.23 პუნქტის შესაბამისად გამოიყენება შემდეგნაირად:

- საწარმომ სხვა სრულ შემოსავალში უნდა ასახოს ჰეჯირების ინსტრუმენტის, სავალუტო სვოპის ან ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულების, რეალური ღირებულების ცვლილების ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობდა საანგარიშგებო საწარმოს უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ცვლილების (რაც დაკავშირებულია სავალუტო რისკთან) გადაფარვაში; და
- საწარმო მოგებაში ან ზარალში აღიარებს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ნებისმიერ მეტობას სავალუტო რისკის გამო უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ცვლილებასთან მიმართებით.

12.23 პუნქტის გამოყენებისას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰეჯირების ურთიერთობა მთავრდება, არ ხდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ნებისმიერი დაგროვილი შემოსულობის ან ზარალის გადატანა მოგებაში ან ზარალში. შემოსულობის ან ზარალის აღიარება არ ხდება არც უცხოური ქვედანაყოფის გასვლის შემთხვევაში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითები - 12.23 პუნქტით მოცემული ჰეჯირების რისკები

მაგ. 32 20X0 წლის 1-ელ იანვარს საწარმომ ბანკიდან გამოიტანა სამწლიანი სესხი ცვალებადი განაკვეთით 50,000 ფე-ის ოდენობით. ფულადი სახსრების რეგულარული მიღების შესანარჩუნებლად, საწარმომ გადაწყვიტა გარე მხარესთან საპროცენტო განაკვეთის სვოპის გაფორმება იმავე თარიღისთვის, სესხის ცვალებადი განაკვეთიდან ფიქსირებულ განაკვეთში ეფექტური გადაყვანის მიზნით, რათა ყოველწლიურად გადასახდელი ყოფილიყო ერთი და იგივე რაოდენობის პროცენტი. ამასთან:

- ცვალებადი განაკვეთი სესხზე არის LIBOR-ს პლუს 100 საბაზისო პუნქტი, რომელიც გადაანგარიშდება ყოველწლიურად. სესხი გაცემულია საწარმოსთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. პროცენტის გადახდა ხდება ყოველწლიურად 31 დეკემბერს და ეყრდნობა LIBOR-ს წლის დასაწყისისთვის. თავდაპირველი LIBOR არის 3.25%.
- სვოპი არის სამწლიანი ფიქსირებული 3.25%-ის გადახდისა და LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთის მიღების საპროცენტო განაკვეთის სვოპი, რომლის ნომინალური ღირებულება 50,000ფე-ს შეადგენს. სვოპის ცვალებადი ნაწილის გადაანგარიშება ხდება ყოველწლიურად. პროცენტი გადასახდელია წლის ბოლოს წლის დასაწყისის LIBOR-ზე დაყრდნობით. დასაწყისისათვის, საპროცენტო განაკვეთის სვოპი გაცემულია საბაზრო პირობებით, მისი რეალური ღირებულება ნულის ტოლია და არ გააჩნია საავანსო გადახდები, ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ვადის გაგრძელების მახასიათებლები. საწარმოსა და გარე მხარის საკრედიტო რეიტინგი უცვლელია სამწლიანი პერიოდის მანძილზე, შესაბამისად, სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება მხოლოდ საპროცენტო რისკის ცვლილებებს უკავშირდება; ანუ, სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება სრულად ეფექტურია ჰეჯირებული მუხლის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ცვლილების გადასაფარად .

	1 იანვარი 20X0	31 დეკემბერი 20X0	31 დეკემბერი 20X1
	ფე	ფე	ფე
საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება (აქტივი/(ვალდებულება)) ⁽⁵⁾	0	250	(75)

საწარმოს არ სურს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება აღნიშნულ ოპერაციაზე. შესაბამისად, საწარმო არ ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირებას და დოკუმენტურად გაფორმებას.

დავუშვათ, LIBOR არის 3.5% 20X1 წლის 1-ელ იანვარს და 3.1% 20X2 წლის 1-ელ იანვარს.

1-ლი იანვარი 20X0

თავდაპირველი აღიარებისას საჟურნალო გატარებები არის:

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	50,000 ფე	
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება		50,000 ფე

⁽⁵⁾ ცხრილში მოცემული ციფრები არ არის სწორად გამოთვლილი და წარმოდგენილია მხოლოდ ილუსტრირების მიზნით. ფულის დროითი ღირებულების გავლენა არ არის გათვალისწინებული.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- სესხი

სესხისა და ფულადი სახსრების მიღების აღიარება

სესხი თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით - 50,000ფე-ად.

რადგან სვოპის რეალური ღირებულება 20X0 წლის 1-ელ იანვარს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება.

31 დეკემბერი 20X0

20X0 წლის 1-ელ იანვარს, როდესაც LIBOR 3.25%-ია, კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

სესხი- პროცენტი

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,125ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,125ფე

მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი	250ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება		250ფე

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი	0ფე ^(ბ)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		0ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა

(ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.25\% + 1\%) = 2,125\text{ფე}$.

(ბ) წმინდა გადახდა სვოპის შესაბამისად = $50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული LIBOR}) = 50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 0\text{ფე}$. სვოპის პირობების თანახმად, გადახდების გამოთვლა და გადახდა ხდება ყოველი წლის ბოლოს, მაგრამ წლის დასაწყისის LIBOR-ზე დაყრდნობით; შესაბამისად, გადახდა 20X0 წლის 31 დეკემბერს ყოველთვის ნულის ტოლი იქნება LIBOR-ის დონის მიუხედავად 20X0 წლის 31 დეკემბერს.

20X0 წლის 31 დეკემბერს სესხის საბალანსო ღირებულებაა ვალდებულება 50,000 ფე-ის ოდენობით, ხოლო სვოპი არის აქტივი - 250ფე. სესხის ასახვა გრძელდება 50,000ფე-ად ამორტიზებული ღირებულების მეთოდით (დამატებითი ახსნა-განმარტებები იხ. მე-11 მოდულში).

31 დეკემბერი 20X1

20X1 წლის 31 დეკემბერს, როდესაც LIBOR 3.5%-ია 20X1 წლის 1-ელ იანვარს, კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

სესხი- პროცენტი

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,250ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,250ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება	200	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		200 ^(ბ)
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა</i>		

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	125ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		50ფე
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი		75ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა. ჟურნალის ჩანაწერი გაყოფილია, რადგან სვოპი აქტივიდან ვალდებულებად იცვლება.

(ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.5\% + 1\%) = 2,250\text{ფე}$.

(ბ) $\text{სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება} = (75)\text{ფე გამოკლებული } (250\text{ფე გამოკლებული } 125\text{ფე}) = 200\text{ფე}$.

(გ) $\text{წმინდა ფულადი სახსრების მიღება სვოპის შესაბამისად} = 50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR გამოკლებული } 3.25\%) = 50,000\text{ფე} \times (3.5\% \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 125\text{ფე}$.

20X1 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 50,000 ფე-ის ვალდებულებას, ხოლო სვოპი არის 75 ფე-ის ვალდებულება.

31 დეკემბერი 20X2

20X2 წლის 31 დეკემბერს, როდესაც LIBOR 3.1%-ია 20X2 წლის 1-ელ იანვარს, კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

სესხი- პროცენტი

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,050ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,050ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება	0ფე ^(ბ)	
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება -		0ფე

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სვოპი

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი	75ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		75ფე
სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა		

სესხი - ანგარიშსწორება

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი	50,000ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		50,000ფე
სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად ძირითადი თანხის დაფარვის ასახვა		

- (ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.1\% + 1\%) = 2,050\text{ფე}$.
- (ბ) სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება = 0 ფე გამოკლებული ((75) ფე პლუს 75 ფე) = 0ფე.
- (გ) წმინდა გადახდა სვოპის შესაბამისად = $50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული LIBOR}) = 50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული } 3.1\%) = 75\text{ფე}$.

20X2 წლის 31 დეკემბერს დადგა როგორც სესხის, ასევე სვოპის დაფარვის ვადა; შესაბამისად, სესხის დაფარვის შემდეგ, როგორც სესხის, ასევე სვოპის საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია.

წინამდებარე მაგალითი გვიჩვენებს საწარმოს სესხზე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკის ეკონომიკური ჰეჯირების მიზნით საპროცენტო განაკვეთის სვოპის გამოტანის შედეგებს, ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების გარეშე.

საქურნალო გატარებები აჩვენებს, რომ სვოპის გავლენა სესხის ფიქსირებულგანაკვეთიან სესხად გარდაქმნა. ყოველწლიურად საწარმო ეფექტურად იხდის წლიურ პროცენტს 2,125ფე-ის ოდენობით — იგი ეფექტურად იხდის პროცენტს ფიქსირებული განაკვეთით, რაც ძირითადი თანხის 4.25%-ს შეადგენს —სულ სესხზე გადასახდელი პროცენტი პლუს (ან მინუს) ფულადი სახსრების გადახდა (ან მიღება) სვოპის შესაბამისად. საწარმო სესხზე იხდის პროცენტს LIBOR-ს პლუს 1%-ის ოდენობით, ხოლო სვოპზე იხდის პროცენტს 3.25%-ის ოდენობით. სვოპიდან საწარმოს მიერ მიღებული პროცენტია სვოპის LIBOR (= LIBOR + 1% + 3.25% მინუს LIBOR = 4.25%).

რეზიუმე—ჩანაწერების აღიარება მოგებაში ან ზარალში, როდესაც არ ხდება ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება

	20X0	20X1	20X2	Total
სესხზე გადასახდელი პროცენტი	(2,125)	(2,250)	(2,050)	(6,425)
სვოპი—გადახდა	0	125	(75)	50
სვოპი—რეალური ღირებულების ნარჩენი ცვლილება	250	(325)	75	-
	(1,875)	(2,450)	(2,050)	(6,375)

სვოპის საერთო გავლენა მოგებაზე ან ზარალზე არის 50 ფე-ის შემოსულობა, რომელიც ტოლია სამი წლიდან თითოეული წლის წმინდა ფულადი სახსრებით

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ანგარიშსწორებების ჯამისა. თუმცა, სვოპი იწვევს მოგების ცვალებადობას თითოეული წელს სამწლიანი პერიოდის განმავლობაში რეალური ღირებულების ცვალებადობის გამო.

მაგ. 33 ფაქტები იგივეა, რაც 32-ე მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, საწარმოს სურს იმგვარად ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა საპროცენტო განაკვეთის სვოპსა და სესხის საპროცენტო განაკვეთის (LIBOR) რისკს შორის, რომ ჰქონდეს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება. შესაბამისად, 20X0 წლის 1-ელ იანვარს A საწარმომ ჩამოაყალიბა და დოკუმენტურად გააფორმა ჰეჯირების ურთიერთობა 12.16(ა) პუნქტის გამოყენებით.

მოსალოდნელია, რომ საპროცენტო განაკვეთის სვოპი მაღალეფექტური იქნება, რადგან სესხისა და სვოპის ძირითადი პირობები ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, საწარმოს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა საპროცენტო განაკვეთის სვოპსა და სესხის საპროცენტო განაკვეთის (LIBOR) რისკს შორის და, რადგან საწარმო აკმაყოფილებს 12.16 პუნქტის ყველა პირობას, გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა.

1-ელი იანვარი 20X0

თავდაპირველი აღიარებისას საჭურნალო გატარებები არის:

დბ	აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	50,000ფე	
კრ	ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი		50,000ფე

სესხისა და ფულადი სახსრების მიღების აღიარება

სესხი თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით - 50,000ფე-ად. რადგან სვოპის რეალური ღირებულება 20X0 წლის 1-ელ იანვარს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

31 დეკემბერი 20X0

20X0 წლის 31 დეკემბერს ჟურნალში კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები (LIBOR = 3.25% 20X0 წლის 1-ელ იანვარს):

სესხი-პროცენტი

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,125ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,125 ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		
დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი	250ფე	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		250ფე
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა</i>		
სვოპი - წმინდა ფულადი სახსრებით პერიოდული ანგარიშსწორების განხორციელება		
დბ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	0ფე ^(ბ)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—რეალური ღირებულების ცვლილება: დარიცხული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		0ფე
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების დარიცხვის ასახვა</i>		
სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით		
დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	0ფე ^(ბ)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		0ფე
<i>სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა</i>		

(ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.25\% + 1\%) = 2,125\text{ფე}$.

(ბ) წმინდა გადახდა სვოპის შესაბამისად = $50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული LIBOR}) = 50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 0\text{ფე}$. სვოპის პირობების თანახმად, გადახდების გამოთვლა და გადახდა ხდება ყოველი წლის ბოლოს, მაგრამ წლის დასაწყისის LIBOR-ზე დაყრდნობით; შესაბამისად, გადახდა 20X0 წლის 31 დეკემბერს ყოველთვის ნულის ტოლი იქნება LIBOR-ის დონის მიუხედავად 20X0 წლის 31 დეკემბერს.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

20X0 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 50,000 ფე-ის ვალდებულებას, ხოლო სვოპი არის 250 ფე-ის აქტივი.

31 დეკემბერი 20X1

20X1 წლის 31 დეკემბერს, როდესაც LIBOR 3.5%-ია 20X1 წლის 1-ელ იანვარს, კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

სესხი - პროცენტი

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,250ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,250ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ხარჯი: სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	200ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		200ფე ^(ბ)
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა</i>		

სვოპი - წმინდა ფულადი სახსრებით პერიოდული ანგარიშსწორების განხორციელება

დბ ხარჯი: სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	125ფე ^(გ)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—რეალური ღირებულების ცვლილება: დარიცხული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		125ფე
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების დარიცხვის ასახვა</i>		

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	125ფე ^(გ)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		50ფე
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი		75ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა

(ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.5\% + 1\%) = 2,250\text{ფე}$.

(ბ) სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება = (75)ფე გამოკლებული (250ფე გამოკლებული 125ფე) = 200ფე.

(გ) წმინდა ფულადი სახსრების მიღება სვოპის შესაბამისად = $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 50,000\text{ფე} \times (3.5\% \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 125\text{ფე}$.

20X1 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 50,000 ფე-ის ვალდებულებას; სვოპი არის 75 ფე-ის ვალდებულება.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

31 დეკემბერი 20X2

20X2 წლის 31 დეკემბერს, როდესაც LIBOR 3.1%-ია 20X2 წლის 1-ელ იანვარს, კეთდება შემდეგი საჟურნალო გატარებები:

სესხი - პროცენტი

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,050ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,050ფე
<i>მოცემული პერიოდის ფინანსური დანახარჯებისა და კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი	0ფე ^(ბ)	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		0ფე
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა</i>		

სვოპი - წმინდა ფულადი სახსრებით პერიოდული ანგარიშსწორების განხორციელება

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - რეალური ღირებულების ცვლილება: დარიცხული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	75ფე ^(გ)	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		75ფე
<i>საპროცენტო განაკვეთის სვოპის წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების დარიცხვის ასახვა</i>		

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სვოპი	75ფე ^(გ)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		75ფე
<i>სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა</i>		

სესხი - ანგარიშსწორება

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი	50,000ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		50,000ფე
<i>სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად ძირითადი თანხის დაფარვის ასახვა</i>		

(ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.1\% + 1\%) = 2,050\text{ფე}$.

(ბ) სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება = 0ფე გამოკლებული ((75)ფე პლუს 75ფე) = 0ფე.

(გ) წმინდა გადახდა სვოპის შესაბამისად = $50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული LIBOR}) = 50,000\text{ფე} \times (3.25\% \text{ გამოკლებული } 3.1\%) = 75\text{ფე}$.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

20X2 წლის 31 დეკემბერს დადგა როგორც სესხის, ასევე სვოპის დაფარვის ვადა; შესაბამისად, სესხის დაფარვის შემდეგ, როგორც სესხის, ასევე სვოპის საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია.

წინამდებარე მაგალითი გვიჩვენებს საწარმოს სესხზე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების მიზნით საპროცენტო განაკვეთის სვოპის გამოტანის შედეგებს, ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების შემთხვევაში.

საპროცენტო განაკვეთის სვოპის გაფორმების გამო, საწარმო ყოველწლიურად ეფექტურად იხდის ძირის პროცენტის თანხას 4.25%-ის ოდენობით.

რეზიუმე: მოგებაში ან ზარალში აღიარებული ჩანაწერები ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისას

	20X0	20X1	20X2	სულ
სესხზე გადასახდელი პროცენტი	(2,125)	(2,250)	(2,050)	(6,425)
სვოპი— რეკლასიფიკაცია *	-	125	(75)	50
	(2,125)	(2,125)	(2,125)	6,375

* ტოლია წმინდა ფულადი სახსრების (გადახდის)/მიღების დარიცხვისა.

სვოპის რეალური ღირებულების ცვლილებების 12.23 და 12.24 პუნქტების გამოყენებით მოგებაში ან ზარალში აღიარების ნაცვლად, როდესაც ეს ცვლილებები მოხდება, ჰეჯირების აღრიცხვა რეალური ღირებულების აღნიშნული ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში აღიარებას იწვევს. შესაბამისად, ჰეჯირების აღრიცხვის გავლენა არის ყოველწლიური მოგებისა და ზარალის ცვალებადობის შემცირება ჰეჯირების ურთიერთობის განმავლობაში. თუ LIBOR ცვალებადია, სესხის სამი წლის ვადის განმავლობაში სვოპის რეალური ღირებულება მნიშვნელოვან რყევას შეიძლება განიცდიდეს და ერთი პერიოდში აქტივიდან სხვა პერიოდში ვალდებულად გარდაიქმნებოდეს. ამ შემთხვევაში, რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება სხვა სრულ შემოსავალში თავიდან აგვაცილებს მნიშვნელოვანი დებეტისა და კრედიტის აღიარებას მოგებაში ან ზარალში სამწლიანი პერიოდის განმავლობაში. ამის ნაცვლად, ცვალებადობა მხოლოდ სრული შემოსავლის ციფრზე მოახდენს გავლენას. რადგან საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება ნულის ტოლია თავდაპირველი აღიარებისას და დაფარვის ვადისთვის, სხვა სრულ შემოსავალზე საერთო გავლენა ნულის ტოლია.

რეზიუმე: სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჩანაწერები ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებისას

	20X0	20X1	20X2	სულ
სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება	(250)	200	-	(50)
სვოპი—რეკლასიფიკაცია *	-	125	(75)	50
	(250)	325	(75)	-

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

* ტოლია წმინდა ფულადი სახსრების (გადახდის)/მიღების დარიცხვისა.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფაქტობრივად, ხდება ჰეჯირების შემოსულობის სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში გადატანა ყოველ წელს, რომელიც შეესაბამება იმ პერიოდს, როდესაც ჰეჯირებული რისკის გავლენა აღიარებული იქნა მოგებაში ან ზარალში. სვოპის შესაბამისი ყოველწლიური გადახდები 31 დეკემბრის ნაცვლად ერთი დღით გვიან, ანუ 1-ელ იანვარს რომ განხორციელებულიყო, სვოპის რეალური ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

	1 იანვარი 20X0	31 დეკემბერი 20X0	31 დეკემბერი 20X1	31 დეკემბერი 20X2
	ფე	ფე	ფე	ფე
საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება (ბრუტო ღირებულება)	0	250	50	(75)

თუ დავუშვებთ, რომ წლიური გადახდები სვოპის შესაბამისად და წლიური პროცენტისა და კაპიტალის გადახდები სესხის შესაბამისად განხორციელდა 1-ელ იანვარს და არა 31 დეკემბერს, 20X1 წლის 31 დეკემბერს და 20X2 წლის 1-ელ იანვარს, გაკეთდება შემდეგი საჭურნალო გატარებები:

31 დეკემბერი 20X1 (LIBOR = 3.5% 20X1 წლის 1-ელ იანვარს)

სესხი - პროცენტი

დბ ხარჯები: მოგება ან ზარალი - ფინანსური დანახარჯები	2,250ფე ^(ა)	
კრ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი		2,250ფე

პერიოდის ფინანსური დანახარჯების ასახვა

სვოპი - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ ხარჯი: სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	200ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - სვოპი		200ფე ^(ბ)

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

სვოპი - წმინდა ფულადი სახსრებით პერიოდული ანგარიშსწორების განხორციელება

დბ ხარჯი: სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	125ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—რეალური ღირებულების ცვლილება: დარიცხული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		125ფე ^(ა)

საპროცენტო განაკვეთის სვოპის წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების დარიცხვის ასახვა

(ა) $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} + 1\%) = 50,000\text{ფე} \times (3.5\% + 1\%) = 2,250\text{ფე}$.

(ბ) სვოპის რეალური ღირებულების ცვლილება = 50ფე გამოკლებული 250ფე = (200)ფე.

(ა) დარიცხვა სვოპის შესაბამისად წმინდა ფულადი სახსრების მიღებისთვის = $50,000\text{ფე} \times (\text{LIBOR} \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 50,000\text{ფე} \times (3.5\% \text{ გამოკლებული } 3.25\%) = 125\text{ფე}$.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

20X1 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის საბალანსო ღირებულება შეადგენს 52,250 ფე-ის ვალდებულებას, ხოლო სვოპი არის 50 ფე-ის.

1 იანვარი 20X2

სესხი—პროცენტის ფულადი სახსრების გადახდა

დბ ვალდებულება: ფინანსური ვალდებულება - სესხი	2,250ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		2,250ფე
<i>კუპონური პროცენტის გადახდის ასახვა</i>		

სვოპი - პერიოდული ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	125ფე	
კრ აქტივი/ვალდებულება: ფინანსური აქტივი/ვალდებულება - სვოპი		125ფე

სვოპის ხელშეკრულების შესაბამისი ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა

მაგ. 34 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს კალის მომპოვებელი კომპანია, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, აკეთებს პროგნოზს, რომ მიჰყიდის 500 ტონა კალას ყველაზე მსხვილ კლიენტს 20X1 წლის თებერვლის დასაწყისში სპოტ-ფასად იმ თარიღისთვის, როდესაც გარიგება შედგება. გაყიდვა მაღალი ალბათობით მოსალოდნელად ჩაითვალა.

საწარმოს ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ კალის ფასი დაეცემა 20X1 წლის თებერვლის დასაწყისში. შესაბამისად, მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებაში კალის ფასის რისკის ჰეჯირების მიზნით საწარმო გარე მხარესთან აფორმებს ფორვარდულ ხელშეკრულებას 20X1 წლის 1-ელ თებერვალს 500 ტონა კალის გაყიდვასთან დაკავშირებით 11,440,000 ფე-ად. ფორვარდული ხელშეკრულება საწარმოს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების უფლებას აძლევს ხელშეკრულებაში მითითებული ფასისა და კალის რეალური ღირებულების საფუძველზე, რაც გამოითვლება ხელშეკრულების დასრულებისას არსებული სპოტ-ფასის შესაბამისად. საწარმო გეგმავს ფორვარდულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებას.

რადგან ხელშეკრულების შესაბამისად უნდა მოხდეს ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით, იგი მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. ფორვარდულ ხელშეკრულებას არ გააჩნია საავანსო გადახდების, ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ვადის გაგრძელების მახასიათებლები. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი სრულდება 31 დეკემბერს.

ჰეჯირების დასაწყისისთვის ფორვარდული ხელშეკრულება საბაზრო საპროცენტო განაკვეთით არის დადებული და მისი საწყისი რეალური ღირებულება არის ნული. საწარმო მოელის, რომ ფორვარდული ხელშეკრულება მაღალეფექტური იქნება კალის სპოტ-ფასის ცვლილებების გადასაფარად.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია კალის რეალურ ღირებულებისა და ფორვარდული ხელშეკრულების შესახებ:

	1 ნოემბერი 20X0	31 დეკემბერი 20X0	1 თებერვალი 20X1
	ფე	ფე	ფე
1 ტ კალის საბაზრო ღირებულება	22,500	21,000	20,000

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

500 ტ კალის რეალური ღირებულება	11,250,000	10,500,000	10,000,000
გაყიდვიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება თუ დავუშვებთ, რომ სპოტ-ფასი არ შეიცვლება ხელშეკრულების დარჩენილი ვადის განმავლობაში (ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინების გარეშე)	-	(750,000)	(500,000)
ფორვარდული ხელშეკრულების (ან პირობითი ფორვარდული ხელშეკრულების) ფასი 20X0 წლის 31 დეკემბერს განხორციელების შემთხვევაში 20X1 წლის 1-ელ თებერვალს 500 ტონა კალის მისაწოდებლად		10,558,000	არ ეხება
ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება (ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინების გარეშე)	-	882,000	1,440,000
ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება		882,000	558,000

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

საწარმომ 20X1 წლის 1-ელ თებერვალს მომხმარებელს მიჰყიდა 500 ტონა კალა 10,000,000ფე-ად.

ხელმძღვანელობას არ სურს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება აღნიშნულ ოპერაციაზე. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირებას და დოკუმენტურად გაფორმებას.

საქურნალო გატარებები არის:

20X0 წლის 1-ელ ნოემბერი

რადგან ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ქურნალოში ჩანაწერების გაკეთება.

20X0 წლის 31 დეკემბერი

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	882,000ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება		882,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

წლის 1-ლი თებერვალი

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	558,000ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება		558,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

ფორვარდული ხელშეკრულება - წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	1,440,000ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება		1,440,000ფე

ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა ფორვარდული ხელშეკრულების შეწყვეტისას

კალის გაყიდვა

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	10,000,000ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ამონაგები		10,000,000ფე

კალის მომხმარებელზე გაყიდვისა და ფულადი სახსრების მიღების ასახვა

(ა) ფულადი სახსრების გადახდა 1,440,000ფე-ის ოდენობით უდრის 11,440,000ფე-ს, როგორც ეს მითითებულია ვალუტის გაცვლის ფორვარდულ ხელშეკრულებაში, გამოკლებული 10,000,000ფე - კალის რეალური ღირებულება ფორვარდული ხელშეკრულების დასრულებისას.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგ. 35 ფაქტები იგივეა, რაც 34-ე მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, საწარმოს სურს იმგვარად ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა საბირჟო საქონელზე დაფუძნებულ ფორვარდულ ხელშეკრულებასა და მაღალი ალბათობით მოსალოდნელ გაყიდვის გარიგებასთან დაკავშირებულ კალის ფასის რისკს შორის, რომ ჰქონდეს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება. შესაბამისად, 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს A საწარმომ ჩამოაყალიბა და დოკუმენტურად გააფორმა ჰეჯირების ურთიერთობა 12.16(ა) პუნქტის გამოყენებით.

სავარაუდოა, რომ ჰეჯირების ურთიერთობა მაღალეფექტური იქნება, რადგან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგებისა და ფორვარდული ხელშეკრულების ძირითადი პირობები ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად, საწარმოს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა ფორვარდულ ხელშეკრულებასა და მაღალი ალბათობით მოსალოდნელ გაყიდვის გარიგებასთან დაკავშირებულ კალის ფასის რისკს შორის და გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა, რადგან საწარმო აკმაყოფილებს 12.16 პუნქტის ყველა პირობას.

საქურნალო გატარებები არის:

20X0 წლის 1-ლი ნოემბერი

რადგან ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო საქურნალო გატარებების გაკეთება.

31 დეკემბერი 20X0

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	882,000ფე	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი) ⁽⁶⁾		750,000ფე
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ჰეჯირების ინსტრუმენტის არაეფექტური ნაწილი ^(ა)		132,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

20X1 წლის 1-ლი თებერვალი

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	558,000ფე	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		500,000ფე
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ჰეჯირების ინსტრუმენტის არაეფექტური ნაწილი ^(ა)		58,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

⁽⁶⁾ ეს არის საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირება მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებაში და არა მარაგების საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირება. შესაბამისად, მისი აღრიცხვა ხდება 12.23 პუნქტის შესაბამისად და არა 12.19 პუნქტის შესაბამისად.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფორვარდული ხელშეკრულება - წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	1,440,000ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება		1,440,000ფე

ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა ფორვარდული ხელშეკრულების შეწყვეტისას

კალის გაყიდვა

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	10,000,000ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ამონაგები		10,000,000ფე

კალის მომხმარებელზე გაყიდვისა და ფულადი სახსრების მიღების ასახვა

სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაცია ⁽⁷⁾

დბ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	1,250,000ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - რეალური ღირებულების შემოსავალი (ჰეჯირების ინსტრუმენტი – კალის გაყიდვასთან დაკავშირებით)		1,250,000ფე

ჰეჯირების შემოსულობის სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაცია

(ა) 12. 23 პუნქტის თანახმად, ჰეჯირების ინსტრუმენტის არაფექტური ნაწილი არის ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების მეტობა (882,000ფე 20X0 წლის 31 დეკემბერს) ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილებასთან (750,000ფე 20X0 წლის 31 დეკემბერს) მიმართებით

(ბ) ფულადი სახსრების გადახდა 1,440,000ფე-ს ოდენობით უდრის 1,440,000ფე, როგორც ეს მითითებულია ვალუტის გაცვლის ფორვარდულ ხელშეკრულებაში, გამოკლებული 10,000,000ფე - კალის რეალური ღირებულება ფორვარდული ხელშეკრულების დასრულებისას.

სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჰეჯირებულ ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსავალი სხვა სრული შემოსავლიდან გადატანილი უნდა იქნეს მოგებაში ან ზარალში 20X1 წლის 1-ელ თებერვალს (ანუ იმ დროს, როდესაც ჰეჯირებული მუხლი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა დასრულდება - ამ შემთხვევაში, ეს ორივე მოვლენა ერთსა და იმავე დროს ხდება).

ჰეჯირების აღრიცხვის გავლენა არ ცვლის მთლიან მოგებას დროთა განმავლობაში, მაგრამ იგი ამცირებს წარდგენილი წლიური მოგების ცვალებადობას ჰეჯირების ურთიერთობის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ფასების რისკის ჰეჯირება მოხდა ხანგრძლივი ვადით, მაგალითად 10 წლით და აღნიშნულ პერიოდში ფასები ცვალებადი იყო, ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება მნიშვნელოვან რყევას განიცდის და შესაძლოა ერთ პერიოდში აქტივი იყოს, ხოლო მეორე პერიოდში ვალდებულებად იქცეს. შემოსულობისა და ზარალის ეფექტური ნაწილის სხვა სრულ შემოსავალში აღიარება, ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებით საწარმოს თავიდან აცილებს ცვალებადობის მოგებაში ან ზარალში ასახვას ჰეჯირების ურთიერთობის დასრულებამდე.

⁽⁷⁾ კონცეპტუალურად, არ არის არც შემოსავალი და არც ხარჯი, რადგან ადგილი არ აქვს საწარმოს აქტივების ან ვალდებულებების ცვლილებას (იხ. 2.23 პუნქტი). წინამდებარე ჟურნალის ჩანაწერი სხვა სრული შემოსავლიდან გადადის მოგებაში ან ზარალში, ადრე აღიარებულ შემოსავალში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- 12.25 საწარმომ 12.23 პუნქტით გათვალისწინებული ჰეჯირების აღრიცხვა უნდა შეწყვიტოს პერსპექტიულად, თუ:
- (ა) ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან გარიგება შეწყდა, ან ინსტრუმენტი გაიყიდა;
 - (ბ) ჰეჯირება უკვე აღარ აკმაყოფილებს 12.16 პუნქტით გათვალისწინებულ ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს;
 - (გ) პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირებისას, მაღალი ალბათობით უკვე აღარ არის მოსალოდნელი, რომ პროგნოზირებული გარიგება შედგება; ან
 - (დ) საწარმო აუქმებს ამ კლასიფიკაციას.
- თუ აღარ არის მოსალოდნელი, რომ პროგნოზირებული გარიგება შედგება, ან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ჰეჯირებული სავალო ინსტრუმენტის აღიარება შეწყდა, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში, საწარმომ უნდა გადაიტანოს მოგებაში, ან ზარალში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითები—ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა

მაგ. 36 ფაქტები იგივეა, რაც 35-ე მაგალითში. თუმცა, ამ მაგალითში, იმის გამო, რომ მარაგები დაზიანდა საწყობში მომხდარი ხანძარში შედეგად 20X1 წლის 8 იანვარს, ადგილი არ აქვს მომხმარებელთან პროგნოზირებულ გარიგებას. საწარმომ არ იცის, თუ როდის იქნება კალა გასაყიდად ვარგის მგომარეობაში.

20X1 წლის 8 იანვარს, ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება 985,000ფე-ს შეადგენს, ხოლო 500 ტონა კალის რეალური ღირებულება არის 10,400,000ფე.

20X1 წლის 1-ელ იანვარს ფორვარდული გარიგება მაღალი ალბათობით მოსალოდნელად მიიჩნევა. თუმცა, ხანძრის (გარემოებების ცვლილების) გამო, აღნიშნული შეფასება უნდა განმეორდეს 20X1 წლის 8 იანვარს. ხელახალი შეფასებისას, პროგნოზირებული გარიგება აღარ მიიჩნევა მაღალი ალბათობით მოსალოდნელად, მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლოს შესაძლებელია გაწმენდილი კალის ნაწილის გაყიდვა.

აქედან გამომდინარე, 20X1 8 იანვარს უნდა შეწყდეს ჰეჯირების აღრიცხვა, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ საჭურნალო გატარებებში.

31 დეკემბერი 20X0 (იგივეა, რაც 35-ე მაგალითი)

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	882,000ფე
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	750,000ფე
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ჰეჯირების ინსტრუმენტის არაეფექტური ნაწილი	132,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

20X1 წლის 8 იანვარი

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება იმ პერიოდში, როდესაც ჰეჯირება ეფექტური იყო (20X1 წლის 1-ლი იანვრიდან 20X1 წლის 8 იანვრამდე)

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	103,000ფე ^(ა)
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	100,000ფე ^(ბ)
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ჰეჯირების ინსტრუმენტის არაეფექტური ნაწილი	3,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში გადატანა 20X1 წლის 8 იანვარს

დბ შემოსავალი: სხვა სრული შემოსავალი—რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	850,000ფე
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - რეალური	850,000ფე

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ღირებულების შემოსავალი (ჰეჯირების ინსტრუმენტი – კალის მოსალოდნელ გაყიდვასთან დაკავშირებით)

ჰეჯირების შემოსულობის სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაცია ჰეჯირების ურთიერთობის დასრულებისას

20X1 წლის 1-ლი თებერვალი

ფორვარდული ხელშეკრულება - რეალური ღირებულების ცვლილება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	455,000ფე ^(ა)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი— ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება		455,000ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა

ფორვარდული ხელშეკრულება - წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	1,440,000ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება		1,440,000ფე

ფულადი სახსრების მოძრაობის ასახვა ფორვარდული ხელშეკრულების შეწყვეტისას

(ა) 985,000ფე მინუს 882,000ფე = 103,000ფე.

(ბ) 10,500,000ფე მინუს 10,400,000ფე = 100,000ფე.

(გ) 558,000ფე რეალური ღირებულების ცვლილებას 1-ლი იანვრიდან 1-ელ თებერვალამდე მინუს 103,000ფე რეალური ღირებულების 1-ლი იანვრიდან 8 იანვრამდე, აღიარებული 8 იანვარს = 455,000ფე რეალური ღირებულების ცვლილება 9 იანვრიდან 1-ელ თებერვალამდე. რადგან 20X1 წლის 8 იანვრიდან შეწყდა ჰეჯირების აღრიცხვა, რეალური ღირებულების ყველა ცვლილება პირდაპირ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

განმარტებითი შენიშვნები

12.26 საწარმომ, რომელიც წინამდებარე განყოფილების მოთხოვნებს იყენებს, განმარტებით შენიშვნებში სრულად უნდა გაამჟღავნოს მე-11 განყოფილებაში განსაზღვრული ინფორმაცია და ამ ინფორმაციაში გაითვალისწინოს ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიეკუთვნება როგორც მე-12 განყოფილების, ასევე მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროებს. ამასთან, თუ საწარმო იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას, მან დამატებით უნდა წარმოადგინოს 12.27-12.29 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციაც.

შენიშვნები

მე-11 განყოფილება განიხილავს განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც მოითხოვება მე-11 განყოფილებით. მე-11 მოდულის მაგალითები და შენიშვნები ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მე-11 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. 12.26 პუნქტი მოითხოვს მე-11 განყოფილებით მოთხოვნილი გასამჟღავნებელი ინფორმაციის გამოყენებას იმ ფინანსურ ინსტრუმენტებთან

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

დაკავშირებით, რომლებიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. 37-ე და 38-ე მაგალითები ეხება 11.40 პუნქტს (ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა) და 11.43 პუნქტს (რეალური ღირებულების განსაზღვრის საფუძვლის გამჟღავნება) განმარტებებს ორი შედარებით გავრცელებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლებიც მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება. მე-11 განყოფილებით მოთხოვნილი ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნის მაგალითებთან ერთად, 38-ე მაგალითში წარმოდგენილია მე-12 განყოფილებით მოთხოვნილი ზოგიერთი განმარტებითი შენიშვნა.

37-ე მაგალითი მხოლოდ გაცნობითი ხასიათისაა და არ უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოების მიერ შაბლონის სახით. საწარმოებმა უნდა განმარტონ კონკრეტულად მათი ფაქტები და გარემოებები და წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც შესაფერისია მომხმარებლებისთვის. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ საწარმო იყენებს შეფასების მეთოდს რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებისას, მან უნდა გაამჟღავნოს გამოყენებული შეფასების მეთოდი და მნიშვნელოვანი დაშვებები (პუნქტი 11.43). ასეთი განმარტებითი შენიშვნები კონკრეტულად საწარმოს და შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტს ეხება; მათი მეშვეობით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები მიიღებენ ინფორმაციას, თუ რამდენად იქნა გამოყენებული განსჯა შეფასების განხორციელებისას. წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები საკმარისი უნდა იყოს მომხმარებლებისთვის, რათა შეფასდეს გამოყენებული სუბიექტურობის დონე და შეფასდეს, შესაბამისია თუ არა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითი—ზოგადი ხასიათის ინფორმაცია

მაგ. 37 ამონარიდი A საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის⁸

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (ამონარიდი)

ფორვარდული ხელშეკრულებები და საპროცენტო განაკვეთის სვოპები

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებები და საპროცენტო განაკვეთის სვოპები გამოიყენება სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით. ფორვარდული ხელშეკრულებები და საპროცენტო განაკვეთის სვოპები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც ნულია იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ფორმდება საბაზრო ფასებით და განაკვეთებით. გარიგების ნებისმიერი დანახარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. შემდგომში, ასეთი ხელშეკრულებების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინსტრუმენტი კლასიფიცირებულია როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი და სავარაუდოა, რომ ეფექტური იქნება, რა შემთხვევაშიც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის პოლიტიკა.

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებების რეალური ღირებულება გამოითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული კურსის შედარებით ვალუტის გაცვლის მიმდინარე კურსთან მსგავსი დაფარვის ვადის მქონე ხელშეკრულებებში და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის დისკონტირებით, ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად. საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება განისაზღვრება მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების საფუძველზე და კონტრაქტების მიერ განხორციელებული კონკრეტული შეფასებებით ბალანსის შედგენის თარიღისთვის.

შენიშვნა 20: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ამონარიდი)

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებები

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებების რეალური ღირებულება გამოითვლება მსგავსი დაფარვის ვადის მქონე ხელშეკრულებებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული კურსის შედარებით ვალუტის გაცვლის მიმდინარე კურსთან და LIBOR-ის გამოყენებით მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის დისკონტირებით, ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

საპროცენტო განაკვეთის სვოპები

საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება საპროცენტო განაკვეთის სვოპის რეალური ღირებულება განისაზღვრება მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების საფუძველზე და კონტრაქტების მიერ განხორციელებული კონკრეტული შეფასებებით ბალანსის შედგენის თარიღისთვის.

⁸ ხელმძღვანელობამ განმარტებითი შენიშვნები უნდა მოარგოს თავად საწარმოს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რათა გააუმჯობესოს გამყვანებული ინფორმაცია. A საწარმოს პოლიტიკა ჰეჯირების აღრიცხვისთვის მოცემულია 38-ე მაგალითში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

12.27 საწარმომ 12.17 პუნქტში აღწერილი ოთხი ტიპის რისკის ჰეჯირებასთან დაკავშირებით, თითოეულისთვის ცალ-ცალკე უნდა გაამჟღავნოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- (ა) ჰეჯირების აღწერა;
- (ბ) ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების აღწერა, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, ასევე მათი რეალური ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის; და
- (გ) ჰეჯირებული რისკების ხასიათის, მათ შორის, ჰეჯირებული მუხლის აღწერა.

შენიშვნები

მსს ფასს სტანდარტით დასაშვები ჰეჯირების აღრიცხვის არარსებობისას, ჰეჯირების ინსტრუმენტებთან ან ჰეჯირებულ მუხლებთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდებში.

ჰეჯირების აღრიცხვის განმარტებითი შენიშვნები საჭიროა, რათა მომხმარებელმა გაიგოს საწარმოს ჰეჯირების ურთიერთობების ხასიათი ან აღნიშნული ჰეჯირების ურთიერთობების გავლენა საწარმოს საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე მიმდინარე და წინა პერიოდის განმავლობაში; განმარტებითი შენიშვნები ასევე გვიჩვენებს იმ შედეგებს, რასაც საწარმო მოელის მომავალ პერიოდებში.

მაგალითი—განმარტებითი შენიშვნები ჰეჯირების აღრიცხვისთვის

მაგ. 38 ამონარიდი A საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (ამონარიდი)
<p><i>ჰეჯირების აღრიცხვა</i></p> <p>ფორვარდული ხელშეკრულებები და საპროცენტო განაკვეთის სვოპები გამოიყენება სავალუტო რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის შესამცირებლად. როდესაც მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულება ან სვოპი მაღალეფექტური იქნება კლასიფიცირებული რისკის გადასაფარად, გარიგებასთან დაკავშირებით გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვა. ჰეჯირების აღრიცხვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ანგარიშგების სხვა მოთხოვნები და უფლებას იძლევა ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, საჭიროების შემთხვევაში, ერთდროულად იქნეს აღიარებული მოგებაში ან ზარალში.</p> <p>საწარმო იყენებს შემდეგი სახის ჰეჯირების ინსტრუმენტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საპროცენტო განაკვეთის სვოპი. სვოპი გამოიყენება ბანკის სესხზე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკის გადასაფარად ცვალებადგანაკვეთიანი პროცენტის ფიქსირებულგანაკვეთიანი პროცენტით შეცვლის მეშვეობით. როდესაც ნებადართულია სვოპზე და სესხზე ჰეჯირების აღრიცხვა, სვოპის რეალური ღირებულების ცვლილების ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო პროცენტის გადახდების ცვლილებების გადაფარვაში, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. სვოპის

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

რეალური ღირებულების ცვლილების ნაშთი, თუკი არის ნაშთი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თანხა, რომელიც ტოლია მოცემული ფინანსური პერიოდის წმინდა ფულადი სახსრებით განხორციელებული პერიოდული ანგარიშსწორებისა, სვოპთან დაკავშირებით, საწარმომ უნდა გადაიტანოს აღნიშნული ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში. სესხზე გადასახდელი ჰეჯირებული ცვლებადი პროცენტი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. შედეგად, ფიქსირებული პროცენტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში თითოეულ იმ პერიოდში, როდესაც ჰეჯირება ეფექტურია. როდესაც ხდება სესხის აღიარების შეწყვეტა, მაგალითად, ვადამდე დაფარვის შემთხვევაში, ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით ნებისმიერი დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, საწარმომ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში.

- ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება. აღნიშნული ფორვარდული ხელშეკრულებები გამოიყენება სავალუტო რისკის ურთიერთგადასაფარად სპეციალიზებული POS კომპიუტერული სისტემებისა და კომპიუტერული ტექნიკის უცხოელი მომწოდებლებისგან შეძენის მყარ ვალდებულებებში, როდესაც შესყიდვის ფასი გამოსახულია უცხოურ ვალუტაში. ასეთი სახის ფორვარდული ხელშეკრულება ფასდება რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობს შესყიდვის ფასის ვალუტის კურსის ცვლებადობით გამოწვეული ცვლილების ურთიერთგადაფარვაში, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების ნებისმიერი მეტობა, შესყიდვის ფასის ცვლილებასთან მიმართებით, სავალუტო კურსის ცვლილებების გამო, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. ჰეჯირებიდან მიღებული მთლიანი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც სხვა სრულ შემოსავალშია აღიარებული, გადადის მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც კომპიუტერული სისტემა აღიარდება ხარჯებში, როგორც წესი ცვეთისას.

შენიშვნა 20: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ამონარიდი)

	20X2	20X1
	ფი	ფი
ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირებული და ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების რეალური ღირებულებები:		
საპროცენტო განაკვეთის სვოპები	9,500	(5,000)
ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებები	7,050	3,200

12.28 თუ საწარმო ჰეჯირების აღრიცხვას იყენებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის, ან თავისი საბირჟო საქონლის ფასის რისკის (12.19-12.22 პუნქტები) ჰეჯირებისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც აღიარებულია პერიოდის მოგებაში ან ზარალში; და
- ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც აღიარებულია პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითები—განმარტებითი შენიშვნები ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებით (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკის, ან თავისი საბირჟო საქონლის ფასის რისკი)

მაგ. 39 ამონარიდი A საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 10: მოგება წლის განმავლობაში (ამონარიდი)		
	20X2	20X1
	ფი	ფი
მოგება წლის განმავლობაში ასახულია მას შემდეგ, რაც აღიარდება შემდეგი:		
შემოსულობა/(ზარალი), რომელიც წარმოიქმნება ხორბლის ფორვარდული ხელშეკრულებების შედეგად, ჰეჯირების აღრიცხვის კლასიფიცირებულ ურთიერთობაში	35,000	(28,000)
შემოსულობა/(ზარალი), რომელიც წარმოიქმნება ხორბლის მარაგების კორექტირების შედეგად ჰეჯირების აღრიცხვის კლასიფიცირებულ ურთიერთობაში	(36,000)	28,000

12.29 თუ საწარმო ჰეჯირების აღრიცხვას იყენებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკის, სავალუტო რისკის, ან საბირჟო საქონლის ფასის რისკისთვის მყარი ვალდებულების ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგების ფარგლებში, ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციებისთვის (12.23–12.25 პუნქტები), მან უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) პერიოდები, როდესაც მოსალოდნელია ფულადი ნაკადების წარმოშობა და პერიოდები, როდესაც მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენას იქონიებს მოგებაზე ან ზარალზე;
- (ბ) ნებისმიერი პროგნოზირებული გარიგების აღწერა, რომლისთვისაც საწარმო ადრე იყენებდა ჰეჯირების აღრიცხვას, მაგრამ მისი წარმოშობა აღარ არის მოსალოდნელი;
- (გ) იმ ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების თანხა, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში პერიოდის განმავლობაში (პუნქტი 12.23);
- (დ) თანხა, რომლის რეკლასიფიკაციაც საწარმომ განახორციელა პერიოდის მოგებაში ან ზარალში (პუნქტები 12.23 და 12.25);
- (ე) ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილების ნებისმიერი მეტობა, ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების მთლიან ცვლილებასთან მიმართებით, რომელიც აღიარებული იყო პერიოდის მოგებაში ან ზარალში (პუნქტი 12.23).

შენიშვნები

12.23-12.25 პუნქტების გამოყენებით ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებით მოითხოვება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება; ანუ, ეს მოითხოვება ე. წ. ფულადი

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ნაკადების ჰეჯირებასთან დაკავშირებით.

მე-40 მაგალითში 12.29(გ)-(ე) პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და არა მე-20 შენიშვნაში. აქტუარული მოგება ან ზარალი მოცემულია ნაცრისფერ ფონზე, რადგან საწარმოს კონკრეტულად არ მოეთხოვება მისი გამჟღავნება მე-12 განყოფილების გამოყენებისას. მოგება ან ზარალი მოცემულია, რათა აჩვენოს, თუ რა შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვა სრულ შემოსავალში ჰეჯირების ჩანაწერებთან ერთად (იხ. 28-ე განყოფილება - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“).

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მაგალითი—განმარტებითი შენიშვნები იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების აღრიცხვა გამოიყენება მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან დაკავშირებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკის, სავალუტო რისკის ან/და საბირჟო საქონლის ფასის რისკის ჰეჯირებისთვის

მაგ. 40 ამონარიდი A საწარმოს სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	
	20X2	20X1
	ფი	ფი
მოგება წლის განმავლობაში	1,121,250	865,500
სხვა სრული შემოსავალი:		
მუხლები, რომელთა გადატანა არ მოხდება მოგებაში ან ზარალში:		
აქტუარული მოგება (ზარალი) დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამებთან დაკავშირებით	(67)	13
შემდგომში, ამ მუხლების გადატანა შეიძლება მოხდეს მოგებაში ან ზარალში:	(67)	13
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილება რეკლასიფიკაციის გამოკლებით ⁹	20	(1,506)
	(2,319)	(1,506)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	(2,386)	(1,493)
სხვა სრული შემოსავლის მუხლებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	597	373
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	1,119,461	864,380

⁹ მაგალითში ნაჩვენებია აგრეგირებული წარდგენა, ხოლო მიმდინარე წლის შემოსულობა ან ზარალი და რეკლასიფიკაციის კორექტირება ასახულია შენიშვნებში. ამის ნაცვლად, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ჯამური წარდგენა.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ამონარიდი A საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებიდან 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 20: წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (ამონარიდი)		
<p>საწარმოს გაფორმებული აქვს რამდენიმე საპროცენტო განაკვეთის სვოპი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მისაღებად ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკზე, რომელიც წარმოიქმნება საბანკო სესხზე. ერთ-ერთი სვოპის დარჩენილი ვადა სამი წელია, ხოლო ყველა დანარჩენი სვოპის დარჩენილი ვადა 2 წელია.</p> <p>საწარმოს აქვს ვალუტის გაცვლის რამდენიმე ფორვარდული ხელშეკრულება სპეციალიზებული POS კომპიუტერული სისტემებისა და კომპიუტერული ტექნიკის ფასის ცვლილებების (რაც გამოწვეულია ვალუტის კურსის ცვლილებებით) ჰეჯირების მიზნით. მაღალი ალბათობით მოსალოდნელია, რომ საწარმო 20X3 წლის ივლისში უცხოელი მომწოდებლებისგან შეიძენს ტექნიკას. POS კომპიუტერული სისტემები და კომპიუტერული ტექნიკა გაუფასურდება ხუთი წლის სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.</p> <p>20X2 წელს საწარმომ უარი თქვა კომპიუტერული ტექნიკის მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ შესყიდვაზე, რომელიც ჯერ არ იყო წარმოებული, მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა მომწოდებლის ლიკვიდაციას, როდესაც მისი ქარხანა ცუნამმა გაანადგურა. შესაბამისად, არ შედგა შესყიდვის გარიგება და ფორვარდულ ხელშეკრულებაზე დაგროვილი ჰეჯირების შემოსულობა რეკლასიფიცირებული იქნა მოგებაში ან ზარალში 20X2 წელს.</p> <p>საწარმო ირჩევს ჰეჯირების ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობისა და ზარალის აგრეგირებულ წარდგენას. რეკლასიფიკაციის კორექტირებისა და მიმდინარე წლის შემოსულობის (ზარალის) თანხები მოცემულია ქვემოთ:</p>		
	20X2	20X1
	<i>შე</i>	<i>შე</i>
წლის განმავლობაში წარმოქმნილი შემოსულობა/(ზარალი)	251	(4,510)
მოგებაში ან ზარალში გადატანა ჰეჯირებასთან დაკავშირებული (შემოსულობისა)/ზარალისა, რომელიც ადრე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში	(1,840)	3,004
მოგებაში ან ზარალში გადატანა ფორვარდულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შემოსულობისა, რომელიც ადრე გამოიყენება, როგორც ჰეჯირება	(730)	-
ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილება რეკლასიფიკაციის გამოკლებით	(2,319)	(1,506)

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები

ოპერაციებისა და მოვლენების მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების დაცვით აღრიცხვა ხშირად საჭიროებს მსჯელობას, მათ შორის შეფასებების გაკეთებას. ინფორმაცია მნიშვნელოვანი მსჯელობებისა და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროების შესახებ სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასების პროცესში. შესაბამისად, 8.6 პუნქტის თანახმად, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ მსჯელობების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. გარდა ამისა, 8.7 პუნქტის შესაბამისად, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია მომავალთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი დაშვებებისა და აგრეთვე საანგარიშგებო თარიღისათვის განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, რომელთა გამოც არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი მომდევნო ფინანსურ წელს.

მსს ფასს სტანდარტის სხვა განყოფილებები მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას კონკრეტული მსჯელობებისა და განუსაზღვრელობების შეფასების შესახებ. წინამდებარე განყოფილებაში მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები და სხვა მსჯელობები ფინანსური ინსტრუმენტების მე-12 განყოფილების გამოყენებით აღრიცხვასთან დაკავშირებით.

მე-12 განყოფილების მოქმედების სფერო

მსჯელობა საჭიროა 12.3(დ), 12.3(ვ) და 12.4 პუნქტებში გამოყენებული ფრაზის - „დაკავშირებული არ არის“ ინტერპრეტაციის დროს. კერძოდ, იმის შეფასებას, არაფინანსური მუხლების ყიდვის, გაყიდვის, იჯარისა და დაზღვევის ზოგიერთი ხელშეკრულება განეკუთვნება თუ არა მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, საჭიროებს მსჯელობას, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს რისკებს, რომლებიც ნაწილობრივ, (თუმცა არა სრულად) დაკავშირებულია ისეთ გავრცელებულ რისკებთან, როგორცაა, მაგალითად, ვალუტის გაცვლის რისკი ან ფასის რისკი. მაგალითად, არაფინანსური მუხლის ყიდვის, გაყიდვის, იჯარის ან დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს რისკს, რომელიც დაკავშირებულია სხვა არაფინანსური მუხლის ფასის რისკთან, მაგრამ საჭიროა მსჯელობა თუ, ამის მიუხედავად, აღნიშნული არაფინანსური მუხლის ფასი კორელაციაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებული არაფინანსური მუხლის ფასთან.

თავდაპირველი შეფასება

იმის დადგენა, გარიგებას ადგილი აქვს თუ არა „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპის გამოყენებით, შესაძლოა საჭიროებდეს მსჯელობას, იმ შემთხვევაში, თუ გარიგებას ადგილი არ აქვს აქტიური ბაზრის პირობებში ან დაკავშირებულ მხარეებს შორის. თუ გარიგებას ადგილი არ აქვს „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპის გამოყენებით, საჭიროა მსჯელობა თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების განსაზღვრის დროს, მაგალითად, რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით შეფასების მეთოდების გამოყენების შემთხვევაში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შემდგომი შეფასება

მსჯელობა საჭიროა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრისას, თუ აღნიშნული ინსტრუმენტებისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. კერძოდ, შეფასების მეთოდების არჩევა და გამოყენება ხშირად მოიცავს მნიშვნელოვან მსჯელობას. ხშირად, შეფასების მოდელში გამოყენებული მონაცემები და სხვა დაშვებები მოიცავს მსჯელობას. მაგალითად, დღევანდელი ღირებულების გამოთვლისას საჭიროა მსჯელობა, რათა დადგინდეს, რომელი ფულადი ნაკადების გამოყენება უნდა მოხდეს (მაგალითად, თუ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ფულად ნაკადებთან დაკავშირებით ან არის წინასწარ დაფარვის მახასიათებელი), რა სახის კორექტირება უნდა იქნეს გამოყენებული ინვესტირების მიერ მოთხოვნილ რისკის პრემიებთან დაკავშირებით და რა არის შესაბამისი დისკონტირების კოეფიციენტი. თუ გამოიყენება გარე შემფასებელი, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს გარე შეფასების დასაბუთებულობა და შეამოწმოს, რომ შემფასებელმა გამოიყენა ის მეთოდები, რომლებსაც, როგორც წესი, იყენებენ და ბაზრის მონაწილეები ასეთი სახის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით და რომ აღნიშნული მეთოდები შეესაბამება *მსს ფასს* სტანდარტს. ის ფაქტი, რომ შესაძლებელია რეალური ღირებულების შეფასების სპექტრის არსებობა, ასახავს იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა საწარმო შესაძლებელია სხვადასხვა მსჯელობას იყენებდეს კონკრეტულ სიტუაციებში. თუმცა, რეალური ღირებულების შეფასებისას, ერთმა საწარმომ თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოს მსჯელობა (დროში და ინსტრუმენტის ტიპებთან მიმართებით).

მსჯელობა შესაძლებელია ასევე საჭირო იყოს იმის შეფასებისას, აქტიურია თუ არა ბაზარი (თუ ოპერაციები არ ხდება ხშირად) და ასევე იმის შეფასებისას არის თუ არა აღნიშნული ოპერაციები იძულებითი. აქტიურია ბაზარი, სადაც ოპერაციები რეგულარულად და „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით სრულდება. იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს „რეგულარულად“ მსჯელობის საკითხია და დამოკიდებულია ბაზრის ფაქტებსა და გარემოებებზე რეალური ღირებულებით შესაფასებელი ინსტრუმენტისთვის.

მსგავს ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ბოლო ოპერაციებიდან შესაძლებელია რეალური ღირებულების შესახებ მტკიცებულებების მიღება. რა წარმოადგენს „მსგავს ინსტრუმენტს“ მსჯელობის საგანია და მოითხოვს ინსტრუმენტების პირობების მკაფიო გაგებას. დამატებითი მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს, მსგავსი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების რა სახის კორექტირება უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოს მიერ ფლობილი ინსტრუმენტის რეალური ღირებულების შესაფასებლად.

საჭიროა მსჯელობა დასკვნის გამოტანამდე, რომ ზოგიერთი წილობრივი ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე. ასეთი ინსტრუმენტები ფასდება თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

თვითღირებულებით შეფასებული წილობრივი ინსტრუმენტების გაუფასურების ტესტის ჩატარება მნიშვნელოვან მსჯელობას მოითხოვს. საწარმო ინსტრუმენტს თვითღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში აფასებს, თუ რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; შესაბამისად, ძირითადად, საუკეთესო შეფასება იმ თანხისა, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში, ასევე რთული დასადგენია. სტანდარტით არ არის დასაშვები გაუფასურების არ ჩატარება იქიდან გამომდინარე, რომ შეფასება რთულია; შესაბამისად, საწარმომ უნდა გამოიყენოს მსჯელობა გაუფასურების შეფასებისას.

ჰეჯირება

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს მსჯელობა იმის შეფასებისას, ვარაუდობს, თუ არა, რომ კონკრეტული ჰეჯირების ინსტრუმენტი მაღალეფექტური იქნება კონკრეტული კლასიფიცირებული რისკის გადასაფარად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტისა და კონკრეტულ რისკთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ძირითადი პირობები ერთმანეთს კარგად არ შეესაბამება.

მე-12 განყოფილებით ნებადართულია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება პროგნოზირებულ გარიგებებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარიგებების განხორციელების ალბათობა მაღალია. საჭიროა მსჯელობის გამოყენება იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად სავარაუდოა აღნიშნული გარიგების განხორციელება.

აღიარების შეწყვეტა

ზოგჯერ საჭიროა მსჯელობა, რათა შეფასდეს ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაცემულია თუ არა სხვა მხარეზე, რათა დადგინდეს უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა.

შედარება ფასს სტანდარტების სრულ ვერსიასთან

როდესაც 2009 წლის ივლისში გამოიცა მსს ფასს სტანდარტი, მე-12 განყოფილება ეფუძნებოდა ბასს 39-ს - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 7-ს - „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“. ამ დროს ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“ ჯერ არ იყო მოცემული. მას შემდეგ გამოიცა ფასს 9-ის დასრულებული ფორმა და იგი ძალაშია 2018 წლის 1-ელ იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან მსს ფასს სტანდარტის 11.2(ბ) პუნქტით დასაშვებია, რომ მომზადებლებმა გამოიყენონ ბასს 39-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები მე-12 განყოფილების ნაცვლად, შედარება გაგრძელდება ბასს 39-თან. ასევე მოცემულია ბასს 9-თან შედარება

შედარება ბასს 39-თან/ფასს 7-თან

ბასს 39-ს/ფასს 7-ს და მსს ფასს სტანდარტს (იხ. მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“ და მე-12 განყოფილება - „სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები“) ზოგიერთი მსგავსი პრინციპი აქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების, შეფასების, გამჟღავნებისა და აღიარების შეწყვეტისთვის. თუმცა, ფასს სტანდარტების სრულ ვერსიას და მსს ფასს სტანდარტს შორის ასევე არის რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვაობაც.

მსს ფასს სტანდარტში ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვა უფრო რთულ ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვისგან განცალკევებით არის განხილული და მოთხოვნები დაწერილია გამარტივებული ენით. ამასთან, ადგილი აქვს რამდენიმე ცვლილებას დეტალებში.

მსს ფასს სტანდარტის გამოყენებისას, თავისი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის საწარმომ უნდა აირჩიოს:

- (ა) მე-11 და მე-12 განყოფილებების დებულებების შესრულება სრულად; ან
- (ბ) აღიარებისა და შეფასების დებულებების გამოყენება ბასს 39-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მიხედვით, ხოლო განმარტებითი შენიშვნებში

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

გასამჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ მოთხოვნების შესრულება - მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით.

თუ საწარმო აირჩევს აღიარებისა და შეფასების დებულებების გამოყენებას ბასს 39-ის მიხედვით, ხოლო განმარტებითი შენიშვნებში გასამჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ მოთხოვნების შესრულებას - მე-11 და მე-12 განყოფილებების მიხედვით

სხვაობა ბასს 39-ისა და მე-11 და მე-12 განყოფილებების გამოყენებასა და ფასს სტანდარტების სრული ვერსიის გამოყენებას შორის (ფასს 9 -ის თავდაპირველ გამოყენებამდე) მდგომარეობს გასამჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ მოთხოვნებში. ფასს 7-ის განმარტებითი შენიშვნები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობა, რისკი და ფინანსური აქტივების გადაცემა. მე-11 განყოფილება მოიცავს ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელობის კატეგორიის განმარტებით შენიშვნებს. თუმცა *მსს ფასს* სტანდარტი არ მოიცავს ფასს 7-ის „რისკის“ კატეგორიის განმარტებით შენიშვნებს. ერთადერთი გამჟღავნება ფასს 7-დან, ფინანსური აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც შეტანილია *მსს ფასს* სტანდარტში, უკავშირდება ფინანსური აქტივების გადაცემას, რაც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს.

მიზეზები, რატომაც *მსს ფასს* სტანდარტში არ არის შეტანილი ბევრი განმარტებითი შენიშვნა ფასს 7-დან მოიცავს შემდეგს:

- ფასს 7-ის განმარტებითი შენიშვნების უმრავლესობა შემუშავებულია ფინანსური ინსტიტუტებისთვის (რომლებსაც არ აქვთ *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენების უფლება);
- ფასს 7-ის განმარტებითი შენიშვნების უმრავლესობა შემუშავებულია იმ საწარმოებისთვის, რომელთა ფასიანი ქაღალდები იყიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე (რომელთაც ასევე არ აქვთ *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენების უფლება); ან
- ისეთი ინფორმაციის, როგორცაა, მაგალითად, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების გამჟღავნების მოთხოვნა მცირე და საშუალო საწარმოსთვის გადაიქცევა ტვირთად და ეწინააღმდეგება მე-11 განყოფილების მიზანს, რომელიც ამორტიზებული ღირებულების განყოფილებას წარმოადგენს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ინფორმაციის გამჟღავნების ერთადერთი დამატებითი მოთხოვნა, რომელსაც მე-12 მოდული მე-11 მოდულისგან განსხვავებით ითვალისწინებს, ეხება იმ საწარმოების მიერ გასამჟღავნებელ ინფორმაციას, რომლებიც იყენებენ ჰეჯირების აღრიცხვას. ერთადერთი სხვაობა ფასს 7-ის ჰეჯირების აღრიცხვის გამჟღავნებისგან (რაც „მნიშვნელობის“ კატეგორიის ნაწილია), მდგომარეობს იმაში, რომ მე-12 განყოფილება არ მოითხოვს ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობისა და ზარალის იმ თანხის ცალკე გამჟღავნებას, რომელიც ჩართულია არაფინანსური აქტივის ან ვალდებულების თვითღირებულებაში; *მსს ფასს* სტანდარტით არ არის ნებადართული აღნიშნული სააღრიცხვო მიდგომა, შესაბამისად, არ არის შესაფერისი გასამჟღავნებელი ინფორმაციის მოთხოვნა.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აირჩევს მე-11 და მე-12 განყოფილებების დებულებების შესრულებას სრულად

მე-11 განყოფილებისა და ფასს სტანდარტების სრული ვერსიის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნებს შორის რიგი სხვაობები განხილულია მე-11 მოდულში. მე-11 და მე-12 მოდულებისა და ფასს სტანდარტების სრული ვერსიის გამჟღავნების მოთხოვნებს შორის სხვაობა განხილულია ზემოთ. სხვა ძირითადი სხვაობები მე-12 განყოფილებასა და ფასს სტანდარტების სრულ ვერსიას შორის, იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება ფასს 9, მოიცავს შემდეგს:

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- კლასიფიკაცია და შეფასება. თუ ფინანსური ინსტრუმენტი მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს განეკუთვნება, საწარმოს მოეთხოვება მისი რეალური ღირებულებით შეფასება, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ წილობრივი ინსტრუმენტების გამოკლებით, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ამისგან განსხვავებით, ბასს 39 მოითხოვს, რომ საწარმომ მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიებად კლასიფიცირება, რაც შემდგომში განსაზღვრავს შეფასების მოთხოვნებს. ბასს 39-ის გამოყენებისას, ავტომატურად მხოლოდ სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირება და შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. მე-11 განყოფილება საწარმოსგან მოითხოვს საკუთარი ფინანსური ინსტრუმენტების უმრავლესობის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებას. შესაბამისად, კომპანიებს, რომლებიც იყენებენ მე-12 განყოფილებას, არ მოუწევთ ბასს 39-ის მოთხოვნის გამოყენება, რომ ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირებისთვის შეაფასონ ხელმძღვანელობის მიზნები აღნიშნულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით.
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ბასს 39-გან განსხვავებით, მე-12 განყოფილება არ მოითხოვს ცალკე აღრიცხვას „ჩართული წარმოებულებისთვის“. თუმცა, ზოგადად, არაფინანსური ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს რისკის კომპონენტს ეკონომიკური მახასიათებლებით, რაც ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად არ მიიჩნევა, განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს და მათი აღრიცხვა სრულად რეალური ღირებულებით ხორციელდება. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი ხელშეკრულების შემთხვევაში, მე-12 განყოფილება მოითხოვს, რომ მთლიანი ხელშეკრულება აისახოს რეალური ღირებულებით, ხოლო ბასს 39 მხოლოდ რისკის კომპონენტის მქონე ჩართული ხელშეკრულების შემთხვევაში მოითხოვს რეალური ღირებულებით აღიარებას.
- ჰეჯირების აღრიცხვა. მე-12 განყოფილებაში ყურადღებას გამახვილებულია იმ სახის ჰეჯირებაზე, რასაც, სავარაუდოდ, იყენებენ მსს-ები და ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული რისკების ჰეჯირების აღრიცხვა.
- ბასს 39 ამდენად არ ზღუდავს იმ რისკებს, რომელთა შემთხვევაში ნებადართულია ჰეჯირების აღრიცხვა.
- მე-12 განყოფილება მოითხოვს ჰეჯირების არაეფექტურობის პერიოდულ აღიარებას და შეფასებას, მაგრამ ბასს 39-თან შედარებით ნაკლებად მკაცრი პირობებით.
- მე-12 განყოფილებით ჰეჯირების აღრიცხვა ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტი წარმოადგენს 12.18 პუნქტში ჩამოთვლილი ოთხი ინსტრუმენტიდან ერთ-ერთს. ბასს 39 ნაკლებად ზღუდავს ჰეჯირების ინსტრუმენტების პირობებს. აქედან გამომდინარე, ჰეჯირების აღრიცხვა არ არის შესაძლებელი მე-12 განყოფილების შესაბამისად ისეთი სავალო ინსტრუმენტების ჰეჯირების ინსტრუმენტებად გამოყენების შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, სესხი უცხოურ ვალუტაში, მაშინ, როდესაც, ბასს 39-ით აღნიშნული დასაშვებია სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით. ჰეჯირების აღრიცხვა მე-12 განყოფილების შესაბამისად ასევე არ არის ნებადართული ჰეჯირების ოფციონის სტრატეგიის შემთხვევაში.
- პორტფელის ჰეჯირების აღრიცხვა არ არის ნებადართული მე-12 განყოფილების შესაბამისად.
- აღიარების შეწყვეტა: სხვაობები განმარტებულია მე-11 მოდულში.

შედარება ფასს 9-თან

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

2014 წლის ივლისში საბჭომ დაასრულა ფასს 9-ის - ფინანსურ ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის შემუშავება და გამოაქვეყნა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ დასრულებული ვერსია, რომლის ძალაში შესვლის თარიღია 2018 წლის 1-ლი იანვარი ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდები.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების ახალ მოდელს და გაუფასურების ახალ მოდელს. ფინანსური ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის, ასევე კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად უცვლელია ბასს 39- ში და ფასს 9-ში.

ფასს 9-ს აქვს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების 3 კატეგორია: რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის მიხედვით არ არის შესაძლებელი რომელიმე ინსტრუმენტის შეფასება თვითღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება ფასს 9-ის გამოყენებით ეყრდნობა აქტივის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს და ასევე იმ ბიზნესმოდელს, რომელშიც ხდება ინსტრუმენტის ფლობა. აღნიშნული კრიტერიუმები განსხვავდება იმ კრიტერიუმებისგან, რომელთა გამოყენება ხდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისთვის მე-12 განყოფილების შესაბამისად

ფასს 9-ის მოთხოვნები ფინანსური ვალდებულებებისთვის მე-12 განყოფილების მსგავსია.

ფასს 9-ით ჰეჯირებისთვის ნებადართულია უფრო მეტი ჰეჯირების ურთიერთობა, ვიდრე მე-12 განყოფილებით. მაგალითად, ფასს 9-ის გამოყენებისას, საწარმოს უფლება აქვს არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირება მოახდინოს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით არიან კლასიფიცირებული, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასევე, ჰეჯირებული მუხლები შეიძლება იყოს ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფები და მოიცავდეს ნულოვან პოზიციებს ან აგრეგირებულ წარმოებულ და არაწარმოებულ ინსტრუმენტებსაც კი.

ფასს 9-ის შესაბამისად, საწარმოს არ აქვს უფლება გააუქმოს ჰეჯირების კლასიფიცირება. მსგავსი კლასიფიცირების გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ნებადართული, თუ იცვლება აღნიშნული კლასიფიცირებული ჰეჯირების ურთიერთობის რისკის მართვის მიზანი.

მე-11 განყოფილება და ფასს სტანდარტების სრული ვერსია სხვა საკითხებშიც განსხვავდება, რაც არ არის განხილული წინამდებარე მოდულში.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნებთან დაკავშირებით.

თქვენ უნდა ივარაუდოთ, რომ ქვემოთ მოცემული ყველა თანხა არსებითია.

ტესტის დასრულების შემდეგ, თქვენი პასუხები შეამოწმეთ ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

მონიშნეთ უჯრა ყველაზე სწორი პასუხის გვერდით.

კითხვა 1

ქვემოთ მოცემული საწარმოს მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტებიდან რომელი განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს?

- (ა) ბანკის სესხი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ტოლია რომელიმე ერთი მითითებული კოტირებული საპროცენტო განაკვეთისა
- (ბ) ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის ჰეჯირების აღრიცხვა ნებადართულია და რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი *მსს ფასს* სტანდარტის გამოყენებით.
- (გ) კოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაცია.
- (დ) ვალდებულება გადაუხადოს დაქირავებულებს, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ საწარმოს მიერ იმავე წლის განმავლობაში მიღებული მოგების პროპორციული ნაწილი. გადახდას ადგილი ექნება წლის დასრულებიდან ცხრა თვის განმავლობაში.
- (ე) ფინანსური იჯარის შესაბამისად მეიჯარისთვის თანხების ნაკადების გადახდის ვალდებულება. იჯარა არ მოიცავს რაიმე სახის უჩვეულო ჩართულ რისკებს.

კითხვა 2

ქვემოთ მოცემული საწარმოს მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტებიდან რომელი განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს?

- (ა) სავაჭრო მოთხოვნები.
- (ბ) სხვა საწარმოს (ინვესტირებული საწარმო) არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციების 5%-ის ფლობა.
- (გ) სხვა საწარმოს (ინვესტირებული საწარმო) არადაბრუნებადი ჩვეულებრივი აქციების 30%-ის ფლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტირებული საწარმო კლასიფიცირებულია, როგორც საწარმოს მეკავშირე საწარმო.
- (დ) ოთხ თვეში 10,000ფე-ის 500ფე-ად შესყიდვის ხელშეკრულება.

კითხვა 3

ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშეკრულებებიდან რომელი განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს?

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

- (ა) ექვს თვეში ქონების შეძენის ხელშეკრულება, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს შესყიდვის ფასის 10%-ის დამატებით გადახდა იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი ქონების იურისდიქციაში 1%-ით აიწევს ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში.
- (ბ) ექვს თვეში ქონების შეძენის ხელშეკრულება, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს შესყიდვის ფასის 1%-ის დამატებით გადახდა იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი ქონების იურისდიქციაში 1%-ით აიწევს ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში.
- (გ) ექვს თვეში ქონების გაყიდვის ხელშეკრულება, რამაც, შესაძლოა, ზარალი მოუტანოს გამყიდველს იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ვალდებულებას არ შეასრულებს ფინანსური სიძნელეების გამო.
- (დ) ექვს თვეში უცხოელ მყიდველზე ქონების გაყიდვის ხელშეკრულება 1,000,000ფე-ად, რამაც, შესაძლოა, ზარალი მოუტანოს მყიდველს, იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის იურისდიქციაში მოხდება ვალუტის გაუფასურება ფე-თან მიმართებით ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში.

კითხვა 4

საწარმო აფორმებს ფიუჩერულ ხელშეკრულებას ექვს თვეში 20,000 ბუშელი ხორბლის შესყიდვასთან დაკავშირებით ფიქსირებულ ფასად მოხმარების მოსალოდნელი მოთხოვნების შესაბამისად (ფიუჩერსი ფიქსირებული ფასით). ხელშეკრულებით საწარმოს უფლება აქვს ექვსი თვის დასრულების შემდგომ აირჩიოს ხორბლის ფიზიკური მიღება ან ექვსი თვის დასრულების შემდგომ მიიღოს ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით.

ქვემოთ მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

- (ა) ხელშეკრულება განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან შესაძლებელია ანგარიშსწორება წმინდა ფულადი სახსრებით.
- (ბ) ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან წარმოადგენს არაფინანსური აქტივის შესყიდვის ხელშეკრულებას
- (გ) ხელშეკრულება არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო გეგმავს აირჩიოს ხორბლის მიღება.
- (დ) ხელშეკრულება განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან ის წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტს.

კითხვა 5

20X0 წლის 1-ელ იანვარს, საწარმომ ბანკისგან შეისყიდა 100 აქციის ოფციონი 2,000ფე-ის ფულადი სახსრების სანაცვლოდ „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ შესრულებულ გარიგებაში. აქციის ოფციონები საწარმოს უფლებას აძლევს ბანკისგან შეისყიდოს კოტირებული საწარმოს - XYZ-ის აქციები, თითოეული აქცია 50ფე-ად ნებისმიერ დროს მომდევნო ორი წლის განმავლობაში. XYZ-ის აქციების ფასი ამჟამად კოტირებულია, როგორც თითოეული აქცია - 44ფე.

20X0 წლის 1-ელ იანვარს საწარმომ გასწია (და გადაუხადა ბანკს) გარიგების საზღაური - 20 ფე აქციების შესყიდვასთან დაკავშირებით.

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ თავდაპირველი აღიარებისას შეძენილი 100 აქციის ოფციონი?

- (ა) 1,380ფე-ად.
- (ბ) 1,980ფე-ად.
- (გ) 2,000ფე-ად.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

(დ) 2,020ფე-ად.

(ე) 4,040ფე-ად.

კითხვა 6

ფაქტები იგივეა, რაც მე-5 კითხვაში. 20X0 წლის 31 დეკემბერს ოფციონი ჯერ არ იყო განხორციელებული და ხდებოდა აქციებით ვაჭრობა, თითოეული აქცია 47ფე-ად. ოფციონის რეალური ღირებულება გაიზარდა 2,500 ფე-მდე.

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ 100 აქციის ოფციონი 20X0 წლის 31 დეკემბერს?

(ა) 1,980ფე-ად.

(ბ) 2,000ფე-ად.

(გ) 2,020ფე-ად.

(დ) 2,500ფე-ად.

(ე) 4,700ფე-ად.

კითხვა 7

ქვემოთ მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია სწორი საწარმოსთვის, რომელიც არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას?

(ა) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა შეაფასოს ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულების ცვლილებები ასახოს მოგებაში ან ზარალში.

(ბ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ რეალური ღირებულებით უნდა შეაფასოს ყველა ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც იყიდება საჯაროდ და განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს და რეალური ღირებულების ცვლილებები ასახოს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ იყიდება საჯაროდ ფასდება თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

(გ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა შეაფასოს ყველა ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულების ცვლილებები ასახოს მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ წილობრივი ინსტრუმენტებისა, რომლებიც არ იყიდება საჯაროდ და რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე (ასევე ხელშეკრულებებისა, რომლებიც ამგვარ ინსტრუმენტებთანაა დაკავშირებული და მათი შესრულება გამოიწვევს ამ ინსტრუმენტების მიწოდებას), რომლებიც ფასდება თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

(დ) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა შეაფასოს ყველა ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კითხვა 8

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მე-12 განყოფილებით ნებადართულია ჰეჯირების აღრიცხვა განსაზღვრული რისკების შემთხვევაში. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი რისკის ჰეჯირების აღრიცხვა არ არის ნებადართული მე-12 განყოფილების შესაბამისად?

- (ა) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი.
- (ბ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი.
- (გ) მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი.
- (დ) უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებულ ნეტო ინვესტიციასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი.

კითხვა 9

საიუველირო საწარმო ფლობს მცირე ოქროს ზოდების მარაგს სამკაულებში გამოსაყენებლად, რომლებიც დაახლოებით სამ თვეში იქნება მზად. საწარმო წუხს, რომ ოქროს ფასი შეიძლება შემცირდეს მომდევნო სამი თვის განმავლობაში და აღნიშნული რისკის ჰეჯირების მიზნით, საწარმო აფორმებს საბირჟო საქონლის ფორვარდულ ხელშეკრულებას, რომლის დაფარვა შესაძლებელია წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე მის მიერ ფლობილი საბირჟო საქონლის ფასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირების მიზნით. აღნიშნული ურთიერთობა აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის პირობებს; საწარმო დოკუმენტურად ასახავს ჰეჯირებას და არჩევს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენებას. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შესაბამისი სააღრიცხვო მიდგომა?

- (ა) აღიაროს საბირჟო საქონლის ფორვარდული ხელშეკრულება, როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება რეალური ღირებულებით, ხოლო ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში. ოქროს მარაგის რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში და ასახოს, როგორც ოქროს მარაგის საბალანსო ღირებულების კორექტირება.
- (ბ) აღიაროს საბირჟო საქონლის ფორვარდული ხელშეკრულება, როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება რეალური ღირებულებით, ხოლო ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში. ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ოქროს მარაგის რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს მოგებაში ან ზარალში და ასახოს, როგორც ოქროს მარაგის საბალანსო ღირებულების კორექტირება.
- (გ) აღიაროს საბირჟო საქონლის ფორვარდული ხელშეკრულება, როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება რეალური ღირებულებით, ხოლო ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს სხვა სრულ შემოსავალში. ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ოქროს მარაგის რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს სხვა სრულ შემოსავალში და ასახოს, როგორც ოქროს მარაგის საბალანსო ღირებულების კორექტირება.
- (დ) აღიაროს საბირჟო საქონლის ფორვარდული ხელშეკრულება, როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება რეალური ღირებულებით, ხოლო ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება აღიაროს სხვა სრულ შემოსავალში. არ აღიაროს ოქროს მარაგის რეალური ღირებულების ცვლილება, რადგან მარაგები

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფასდება თვითღირებულებით.

კითხვა 10

რა გარემოებებში უნდა შეწყვიტოს საწარმომ ჰეჯირების აღრიცხვა ჰეჯირების ურთიერთობისთვის, რომელიც ადრე აკმაყოფილებდა ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებს 12.16 პუნქტის შესაბამისად?

- (ა) ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან გარიგება შეწყდა, ან ინსტრუმენტი გაიყიდა
- (ბ) ჰეჯირება უკვე აღარ აკმაყოფილებს 12.16 პუნქტით გათვალისწინებულ ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს.
- (გ) საწარმო აუქმებს ამ კლასიფიკაციას.
- (დ) პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირებისას, მაღალი ალბათობით უკვე აღარ არის მოსალოდნელი, რომ პროგნოზირებული გარიგება შედგება.
- (ე) (ა)–(დ) პუნქტებიდან ნებისმიერი.

პასუხები

კითხვა 1	(ბ) იხ. პუნქტები 12.3, 11.8 და 11.9
კითხვა 2	(დ) იხ. პუნქტები 12.3 და 11.8
კითხვა 3	(ა) იხ. პუნქტი 12.4
კითხვა 4	(გ) იხ. პუნქტი 12.5
კითხვა 5	(გ) იხ. პუნქტები 12.7 და 12.12
კითხვა 6	(დ) იხ. პუნქტი 12.8
კითხვა 7	(გ) იხ. პუნქტი 12.8
კითხვა 8	(ბ) იხ. პუნქტი 12.17
კითხვა 9	(ბ) იხ. პუნქტი 12.19
კითხვა 10	(ე) იხ. პუნქტები 12.21 და 12.25

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

გამოიყენეთ ცოდნა

გამოიყენეთ მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტების (გარდა მე-11 განყოფილების სფეროში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისა) აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნების ცოდნა და ამოხსენით ქვემოთ მოცემული ცალკეული სიტუაციური მაგალითები.

სიტუაციური მაგალითების ამოხსნის დასრულების შემდგომ, შეამოწმეთ თქვენი პასუხები ქვემოთ მოცემული პასუხების მიხედვით.

სიტუაციური მაგალითი 1

20X0 წლის 1-ელ ნოემბერს A მსს, რომლის სამუშაო ვალუტა არის ფე, აფორმებს მყარ ვალდებულებას B მსს-თან, რომლის სამუშაო ვალუტა არის უფე, სპეციალიზებული მოწყობილობის შესაძენად 750,000 უფე-ად A მსს-ის საქმიანობაში გაყიდვების ფუნქციით გამოსაყენებლად. როგორც მიწოდება, ასევე გადახდა დაგეგმილია 20X1 წლის 1-ელ ივლისს.

ასევე 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს, A მსს აფორმებს 20X1 წლის 1-ელ ივლისს 750,000 უფე-ის შეძენისა და 500,000 ფე-ის გაყიდვის ვალუტის გაცვლის ფორვარდულ ხელშეკრულებას (ფორვარდული ხელშეკრულება) გარე მხარესთან. A მსს აფორმებს ფორვარდულ ხელშეკრულებას უფე-თან დაკავშირებული მომავალი რისკის ჰეჯირების მიზნით, რომელიც წარმოიქმნება B მსს-თან გაფორმებულ მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების შესაბამისად, A მსს მიიღებს და გადაიხდის 750,000 უფე-ს ერთი თარიღისთვის, შესაბამისად, თუ განვიხილავთ ნეტო პოზიციიდან, მას არ გააჩნია რისკი უფე/ფე-ის სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით. ფორვარდული ხელშეკრულება ეფექტურად ახდენს სავალუტო კურსის ფიქსირებას უფე1,5/ფე1 კურსით 750,000 უფე-ის მისაღებად. დასაწყისისთვის (20X0 წლის 1-ელ ნოემბერს), ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება ნულის ტოლია. ფორვარდულ ხელშეკრულებას არ გააჩნია საავანსო გადახდების, ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ვადის გაგრძელების მახასიათებლები.

სპოტ-კურსი:

- 20X0 წლის 1-ლი ნოემბერი = უფე1.55/ფე1
- 31 დეკემბერი 20X0 = უფე1.47/ფე1
- 1 ივლისი 20X1 = უფე1.2/ფე1.

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ყველა ცვლილებას იწვევს უფე/ფე-ის სპოტ და ფორვარდული გაცვლის კურსების ცვლილებები.

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება სხვადასხვა თარიღისთვის მოცემულია ცხრილში:

	20X0 წლის 1-ლი ნოემბერი	31 დეკემბერი, 20X0	1-ლი ივლისი, 20X1
ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება	0ფე	24,475ფე	125,000ფე

20X1 წლის 1-ლი ივლისიდან A საწარმო მე-17 განყოფილების გამოყენებით მოახდენს მოწყობილობაზე ცვეთის დარიცხვას წრფივი მეთოდით შეფასებული სასარგებლო

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მომსახურების ვადის - 15 წლის განმავლობაში 25,000ფე ნარჩენ ღირებულებამდე (შეფასებული წმინდა შემოსულობა, რომელიც მიღებული იქნება 20X1 წლის 1-ელ ივლისს მოწყობილობის გასვლის შედეგად, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოწყობილობა უკვე 15 წლის იქნება და სასარგებლო ექსპლუატაციის მოსალოდნელი დასრულებისას).

A მსს-ის ფინანსური წლის დასასრულია 31 დეკემბერი.

A მსს არ აღიარებს დაუმთავრებელ ხელშეკრულებებს⁽¹⁰⁾ გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას მკაფიოდ არ ითხოვს მსს ფასს სტანდარტი (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც დაუმთავრებელი ხელშეკრულებები წაგებიანია, 21-ე განყოფილების გამოყენებით უნდა მოხდეს ანარიცხის აღიარება). 20X1 წლის 1-ელ ივლისს მოსალოდნელია, რომ სპეციალიზებული მოწყობილობის ანაზღაურებადი ღირებულება მინიმუმ 625,000 ფე იქნება.

A ნაწილი:

A მსს ირჩევს არ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა მე-12 განყოფილების შესაბამისად.

მომზადეთ ჟურნალის ჩანაწერები, რომლებიც საჭიროა გარიგებების ასახვის მიზნით 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

B ნაწილი:

A მსს-ს სურს იმგვარად ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა ფორვარდულ ხელშეკრულებასა და მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს შორის, რომ ჰქონდეს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება.

შეუძლია A საწარმოს ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება ჰეჯირების ურთიერთობისთვის ფორვარდულ ხელშეკრულებასა და ვალუტის გაცვლის რისკს შორის მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებით? თუ ეს ასეა, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ხელმძღვანელობამ ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენების მიზნით?

C ნაწილი:

A ნაწილისგან განსხვავებით, ამ ნაწილში (C ნაწილი) A მსს არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მე-12 განყოფილების გამოყენებით.

მომზადეთ ჟურნალის ჩანაწერები, გარიგებების ასახვისთვის 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის და 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. არ გაითვალისწინოთ ფულის დროითი ღირებულება.

D ნაწილი:

ფაქტები იგივეა, რაც C ნაწილში. 20X2 წლის 31 დეკემბერს მოწყობილობის ანაზღაურებადი ღირებულებაა 400,00 ფე 20X2 წლის ბოლოსათვის უამინდობით დაზიანების გამო.

მომზადეთ ჟურნალის ჩანაწერები, გარიგებების ასახვის მიზნით 20X2 წლის 31 დეკემბრით

⁽¹⁰⁾ დაუმთავრებელი ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის მონაწილე არც ერთ მხარეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ან ორივე მხარეს ერთნაირად აქვს შესრულებული ვალდებულებები ნაწილობრივ (იხ. მსს ფასს სტანდარტის პუნქტი 21.2)

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

დასრულებული წლისთვის
31 დეკემბერი, 20X2წ.

E ნაწილი:

ფაქტები იგივეა, რაც D ნაწილში. 20X3 წლის 1-ელ იანვარს ხელმძღვანელობა აფასებს, რომ მოწყობილობის ნარჩენი ღირებულება 20,000 ფე-ს შეადგენს. შეფასებული სასარგებლო ექსპლუატაციის ვადაა შეძენის თავდაპირველი თარიღიდან 15 წელი რჩება. 20X3 წლის 31 მაისს მოწყობილობა გაიყიდა 390,500ფე-ად საქმიანობის გეგმების ცვლილების გამო.

მომზადეთ ჟურნალის ჩანაწერები, გარიგებების ასახვის მიზნით 20X3 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
31 დეკემბერი, 20X3წ.

პირველი სიტუაციური მაგალითის პასუხი

A ნაწილი:

20X0 წლის 1-ლი ნოემბერი

რადგან ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება.

მოწყობილობის შეძენის მყარი ვალდებულება, რომელიც გაფორმდა 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს, არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან ის ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული და ისევ შენარჩუნებულია, არაფინანსური მუხლის მიღების მიზნით საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს მე-12 განყოფილების მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება შეიძლება დაიფაროს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე; იხ. 12.5 პუნქტი. რადგან ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, A მს-ის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ კეთდება ჩანაწერები მოწყობილობის შეძენის 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს გაფორმებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

31 დეკემბერი, 20X0წ.

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	24,475ფე	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება ¹¹		24,475ფე

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება 20X0 წლის 1-ლი ნოემბრიდან 20X0 წლის 31 დეკემბრამდე

20X0 წლის 31 დეკემბერს არ არის საჭირო ჩანაწერების გაკეთება მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდა 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს მოწყობილობის შესაძენად (იმავე მიზეზების გამო, რაც იყო 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს).

1 ივლისი, 20X1 წ.

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	100,525ფე ^(ა)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი—ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება		100,525ფე

¹¹ რეალური ღირებულებების ცვლილებები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, რადგან ფორვარდული ხელშეკრულება არ არის კლასიფიცირებული, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება 20X1 წლის 1-ლი იანვრიდან 20X1 წლის 1-ელ ივლისამდე.

შენიშვნა: რეალური ღირებულებების ცვლილებები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, რადგან ფორვარდული ხელშეკრულება არ არის კლასიფიცირებული, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები 125,000ფე
 კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება 125,00ფე
ფორვარდული ხელშეკრულების შესაბამისი ანგარიშსწორების აღიარება ვადის გასვლისას (500,000ფე-ს გადახდა და 750,000ფე-ს მიღება (= 625,000ფე)).

დბ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა დანახარჯები 625,000ფე^(ბ)
 კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები 625,000ფე
მოწყობილობის შეძენის აღიარება 20X1 წლის 1-ელ ივლის 750,000 უფე-ის სანაცვლოდ (= 625,000ფე).

31 დეკემბერი, 20X1წ.

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - ცვეთა 20,000ფე^(ა)
 კრ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა დაგროვილი ცვეთა 20,000ფე
მოწყობილობის ცვეთის აღიარება ექვსი თვის განმავლობაში 20X1 წლის 1-ლი ივლისიდან 20X1 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

შენიშვნა: 20X1 წლის 31 დეკემბერს მოწყობილობის საბალანსო ღირებულებაა 605,000ფე^(ბ).

ხსენი:

A მსს-ს შეუძლია ჩამოაყალიბოს ჰეჯირების ურთიერთობა ფორვარდულ ხელშეკრულებასა და მყარ გარიგებასთან დაკავშირებულ ვალუტის გაცვლის რისკს შორის და გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა 12.23 პუნქტის გამოყენებით, იმ შემთხვევაში, თუ A მსს სათანადოდ ჩამოაყალიბებს და დოკუმენტურად გააფორმებს ჰეჯირების ურთიერთობას; დაკმაყოფილდება 12.16 პუნქტის სხვა პირობები, კერძოდ

- ჰეჯირებული რისკი—მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკი— არის ერთ-ერთი რისკი, რომელიც განსაზღვრულია 12.17 პუნქტით.
- ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება არის 12.18 პუნქტით განსაზღვრული ოთხი ჰეჯირების ინსტრუმენტიდან ერთ-ერთი. ფორვარდული ხელშეკრულება ასევე აკმაყოფილებს 12.18 პუნქტის ყველა სხვა პირობას: ფორვარდული ხელშეკრულება გაფორმებულია A მსს-ის გარე მხარესთან; ფორვარდული ხელშეკრულების თანხა უცხოურ ვალუტაში ტოლია შესყიდვის ფასის - 750,000 ფე-ის; ხელშეკრულების დაფარვის თარიღი ემთხვევა მყარი ვალდებულების თარიღს და ფორვარდულ ხელშეკრულებას არ გააჩნია საავანსო გადახდების, ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ვადის გაგრძელების მახასიათებლები.
- ფორვარდული ხელშეკრულებისა და მყარი ვალდებულების ძირითადი პირობები, სავალუტო რისკთან დაკავშირებით, შეესაბამება ერთმანეთს, ამიტომ, ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილებები, სავარაუდოდ, როგორც დაწყებისას, ასევე შემდგომში, მაღალეფექტური იქნება მყარი ვალდებულებიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი ნაკადის ვალუტის გაცვლის რისკთან დაკავშირებული ცვლილებების გადასაფარად. ძირითადი პირობები მოიცავს ვალდებულებისა და ფორვარდული ხელშეკრულების დაფარვის ვადებს (8 თვე), უცხოურ ვალუტას (უფე) და თითოეულის ოდენობას (750,000 უფე). ამასთან, ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება დასაწყისისათვის ნულის ტოლია.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

თუმცა, არაეფექტურობის პოტენციური წყაროები მოიცავს შემდგომში შეთანხმებულ ცვლილებებს მოწყობილობის გაყიდვის თარიღთან, ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით და ცვლილებებს ფორვარდული ხელშეკრულების კონტრაქტის კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით.

ც ნაწილი:

20X0 წლის 1-ლი ნოემბერი

რადგან ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს ნულის ტოლია, თავდაპირველი აღიარებისას არ არის საჭირო ჟურნალში ჩანაწერების გაკეთება.

მოწყობილობის შეძენის მყარი ვალდებულება, რომელიც გაფორმდა 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს, არ განეკუთვნება მე-12 განყოფილების მოქმედების სფეროს, რადგან ის ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული და ისევ შენარჩუნებულია, არაფინანსური მუხლის მიღების მიზნით საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს მე-12 განყოფილების მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება შეიძლება დაიფაროს წმინდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების საფუძველზე; იხ. 12.5 პუნქტი. რადგან ხელშეკრულება არ არის წაგებიანი, A მს-ის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ კეთდება ჩანაწერები მოწყობილობის შეძენის 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს გაფორმებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

20X0 წლის 31 დეკემბერი

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	24,475ფე	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		24,475ფე ^(ა)

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება 20X0 წლის 1-ლი ნოემბრიდან 20X0 წლის 31 დეკემბრამდე 12.23 პუნქტის გამოყენებით.

20X0 წლის 31 დეკემბერს არ არის საჭირო ჩანაწერების გაკეთება მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც გაფორმდა 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს მოწყობილობის შესაძენად (იმავე მიზეზების გამო, რაც იყო 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს)

1-ლი ივლისი, 20X1 წ.

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება	100,525ფე ^(ა)	
კრ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)		100,525ფე ^(ა)

ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება 20X1 წლის 1-ლი იანვრიდან 20X1 წლის 1-ელ ივლისამდე 12.23 პუნქტის გამოყენებით.

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	125,000ფე	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფორვარდული ხელშეკრულება		125,000ფე

ანგარიშსწორების აღიარება ფორვარდული ხელშეკრულების შესაბამისად ვადის გასვლისას (20X1 წლის 1-ლი ივლისი).

დბ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა	625,000ფე ^(ბ)	
კრ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები		625,000ფე

მოწყობილობის შეძენის აღიარება 20X1 წლის 1-ელ ივლისს

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

31 დეკემბერი 20X1

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - ცვეთა	20,000ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა დაგროვილი ცვეთა		20,000ფე

მოწყობილობის ცვეთის აღიარება ექვსი თვის განმავლობაში 20X1 წლის 1-ლი ივლისიდან 20X1 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

დბ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	4,167ფე ^(ა)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ჰეჯირების შემოსულობის რეკლასიფიკაცია		4,167ფე

მოწყობილობის ცვეთისას ჰეჯირებიდან მიღებული დაგროვილი შემოსულობის შესაბამისი ნაწილის რეკლასიფიკაცია სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში.

20X1 წლის 31 დეკემბერს მოწყობილობის საბალანსო ღირებულებაა 605,000ფე^(ა) და აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით ჯერ არ მომხდარა სხვა სრულ შემოსავალში ასახული ჰეჯირებიდან მიღებული დაგროვილი შემოსულობის - 120,833ფე^(ა)-ის გადატანა

D ნაწილი:

31 დეკემბერი 20X2

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - ცვეთა	40,000ფე ^(ა)	
კრ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა დაგროვილი ცვეთა		40,000ფე

მოწყობილობის ცვეთის აღიარება 20X2 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - ცვეთა	165,000ფე ^(ბ)	
კრ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა (დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება)		165,000ფე

მოწყობილობის გაუფასურების აღიარება 20X2 წლის 31 დეკემბერს.

დბ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	42,708ფე ^(თ)	
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი - ჰეჯირების შემოსულობის რეკლასიფიკაცია		42,708ფე

ჰეჯირებიდან მიღებული დაგროვილი შემოსულობის შესაბამისი ნაწილის გადატანა სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში მოწყობილობის ცვეთისას და გაუფასურებისთვის ჩამოწერისას.

20X2 წლის 31 დეკემბერს მოწყობილობის საბალანსო ღირებულებაა 400,000ფე და აღნიშნულ აქტივთან დაკავშირებით ჯერ არ მომხდარა სხვა სრულ შემოსავალში ასახული ჰეჯირებიდან მიღებული დაგროვილი შემოსულობის - 78,125^(თ) ფე-ის გადატანა.

E ნაწილი:

31 მაის, 20X3წ.

დბ ხარჯი: მოგება ან ზარალი - ცვეთა	11,728ფე ^(თ)	
აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა (დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურება)		11,728ფე

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მოწყობილობის ცვეთის აღიარება ხუთი თვის - 20X3 წლის 1-ლი იანვრიდან 20X3 წლის 31 მაისამდე პერიოდის განმავლობაში.

დბ აქტივი: ფინანსური აქტივი - ფულადი სახსრები	390,500ფე	
დბ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა (დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება)	236,728ფ ^(ლ)	
კრ აქტივი: ძირითადი საშუალებები - მოწყობილობა (დანახარჯები)		625,000ფე
კრ შემოსავალი: მოგება ან ზარალი: შემოსულობა მოწყობილობის გასვლასთან დაკავშირებით		2,228ფ ^(ლ)

მოწყობილობის გაყიდვის აღიარება 20X3 წლის 31 მაისს.

დბ შემოსავალი - სხვა სრული შემოსავალი - რეალური ღირებულების ცვლილება (ჰეჯირების ინსტრუმენტი)	78,125ფ ^(ა)	
კრ მოგება ან ზარალი		78,125ფე

ჰეჯირებიდან მიღებული დაგროვილი შემოსულობის შესაბამისი ნაწილის გადატანა სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში მოწყობილობის ცვეთისას და ანგარიშზე დარჩენილი ნაშთის გადატანა მოწყობილობის გაყიდვისას.

გამოთვლები და ახსნა-განმარტებები:

- (ა) რეალური ღირებულების ცვლილება 20X0 წლის 1-ლი იანვრიდან 20X1 წლის 1-ელ ივლისამდე: 125,000ფე მინუს 24,475ფე = 100,525ფე.
- (ბ) მოწყობილობის ღირებულება: 750,000ფე ÷ 1.2 (სპოტ კურსი 20X1 წლის 1-ელ ივლისს) = 625,000ფე.
- (გ) ცვეთადი ღირებულება: 625,000ფე მინუს 25,000ფე = 600,000ფე.
წლიური ცვეთის ხარჯი: 600,000ფე ÷ 15 = 40,000ფე.
ცვეთის ხარჯი ექვსი თვის განმავლობაში 20X1 წლის 1-ლი ივლისიდან 20X1 წლის 31 დეკემბრამდე: 20,000ფე.
მოწყობილობის საბალანსო ღირებულება 20X1 წლის 31 დეკემბერს: 625,000 მინუს 20,000ფე = 605,000ფე.
- (დ) ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება სრულად აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ჰეჯირება სრულად ეფექტურია:
მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება = დღევანდელი ღირებულება (750,000ფე/1.55 მინუს 750,000ფე/1.47) = დღევანდელი ღირებულება (483,871ფე მინუს 510,204ფე) = დღევანდელი ღირებულება (26,333)ფე.
მითითებების შესაბამისად არ უნდა ჩაითვალოს დისკონტირება, ამიტომ, ამ მიზნით, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება = (26,333)ფე.
რადგან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება უფრო მეტია, ვიდრე ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულება, ადგილი არ აქვს არაეფექტურ ჰეჯირებას.
- (ე) მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება, დისკონტირების გათვალისწინების გარეშე = 750,000ფე/1.47 მინუს 750,000ფე/1.20 = 510,204ფე მინუს 625,000ფე = (114,796)ფე.
რადგან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულების ცვლილება უფრო მეტია, ვიდრე ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულება, ადგილი არ აქვს არაეფექტურ ჰეჯირებას.
- (ვ) სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გაცვლიდან მიღებული მთლიანი შემოსულობა = 24,475ფე + 100,525ფე = 125,000ფე.
გაცვლიდან მიღებული მთლიანი შემოსულობის რეკლასიფიკაცია წლიური ცვეთის შესაბამისად = 125,000ფე ÷ 15 = 8,333ფე.
გაცვლიდან მიღებული მთლიანი შემოსულობის რეკლასიფიკაცია ექვსი თვის ცვეთის შესაბამისად = 8,333ფე ÷ 2 = 4,167ფე.
რადგან მოწყობილობის მთლიანი ცვეთადი თანხა არის 600,000ფე, გამოთვლის ალტერნატიული მეთოდი არის (20,000ფე ÷ 600,000ფე) × 125,000ფე = 4,167ფე.
20X1 წლის 31 დეკემბერს ჯერ ისევ გადასატანი თანხა = 125,000ფე მინუს 4,167ფე = 120,833ფე.
- (ზ) გაუფასურების ხარჯის დამატებითი თანხა = 605,000ფე მინუს 40,000ფე მინუს 400,000ფე = 165,000ფე.
- (თ) სათანადო რეკლასიფიკაცია გაცვლიდან მიღებული საერთო შემოსულობისა წლიური ცვეთის ხარჯისთვის და გაუფასურების ხარჯისთვის = (165,000ფე + 40,000ფე) ÷ 600,000ფე × 125,000ფე = 42,708ფე.
- (ი) სხვა სრულ შემოსავალში ასახული გაცვლიდან მიღებული საერთო შემოსულობების თანხა, რომლის გადატანა ჯერ არ მომხდარა 20X2 წლის 31 დეკემბერს = 120,833ფე^(ვ) მინუს 42,708ფე^(თ) = 78,125ფე.
- (კ) ცვეთადი ღირებულება 20X3 წლის 1-ელ იანვარს = 400,000ფე მინუს 20,000ფე = 380,000ფე. 20X3 წლის 31 მარტით დასრულებული ხუთი თვის ცვეთა = 380,000ფე ÷ 13.5 × 5 ÷ 12 = 11,728ფე.
- (ლ) მოწყობილობის საბალანსო ღირებულება 20X3 წლის 31 მაისს = 400,000ფე მინუს 11,728ფე = 388,272ფე.
მოგება გაყიდვაზე = 390,500 მინუს 388,272ფე = 2,228ფე.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მოლიანი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება 20X3 წლის 31 მაისს = 20,000ფე + 40,000ფე + 165,000ფე +
11,728ფე = 236,728ფე.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

სიტუაციური მაგალითი 2

ფაქტები იგივეა, რაც პირველ სიტუაციურ მაგალითში. როგორც აღნიშნული სიტუაციური მაგალითის C ნაწილში, ივარაუდეთ, რომ A მსს იმგვარად აყალიბებს ჰეჯირების ურთიერთობას ფორვარდულ ხელშეკრულებასა და მყარ ვალდებულებასთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს შორის, რომ ჰქონდეს ჰეჯირების აღრიცხვის უფლება

მომზადეთ საკმარისი განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც აკმაყოფილებს მე-12 განყოფილების მოთხოვნებს, როგორც 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

მე-2 სიტუაციური მაგალითის პასუხი

ამონარიდი A მსს-ს სრული შემოსავლის ანგარიშებიდან 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	20X0 ფი XXX,XXX	20W9 ფი XXX,XXX
მოგება წლის განმავლობაში ^(ა)		XXX,XXX	XXX,XXX
სხვა სრული შემოსავალი:			
...			
შემდგომში, ამ თანხების გადატანა შეიძლება მოხდეს მოგებაში ან ზარალში:			
სავალუტო ჰეჯირებიდან მიღებული შემოსულობა	18	24,475 ^(ბ)	-
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში, გადასახადების გამოკლებით		XXX,XXX	XXX,XXX
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		XXX,XXX	XXX,XXX

ამონარიდი A მსს-ს ფინანსური ანგარიშების შენიშვნებიდან 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 2 სააღრიცხვო პოლიტიკა

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებები

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულებები ზოგჯერ ფორმდება სპეციალიზებული იმპორტირებული ტექნიკის შესყიდვის მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკის მართვის მიზნით.

ფორვარდული ხელშეკრულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით ხელშეკრულების გაფორმების დღეს, ხოლო შემდგომში განმეორებით ფასდება რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მიღებული შემოსულობა ან ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფორვარდული ხელშეკრულება კლასიფიცირებულია და ეფექტური, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი. ამ შემთხვევაში შემოსულობისა და ზარალის ეფექტური ნაწილის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო არაეფექტური ნაწილის აღიარება ხდება, მოგებაში და ზარალში.

ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხები საწარმოს გადააქვს მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდებში, როდესაც სპეციალიზებული მოწყობილობების ღირებულება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში ცვეთის/გაუფასურების ან გაყიდვის ფორმით.

ჰეჯირების აღრიცხვა წყდება ჰეჯირების ურთიერთობის გაუქმების შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ ფორვარდულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, ან გარიგება შეწყდა, ან ინსტრუმენტი გაიყიდა, ან შესრულდა, ან როდესაც ურთიერთობა აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს. თუ დავუშვებთ, რომ პროგნოზირებული გარიგება ჯერ ისევ მაღალი ალბათობით არის მოსალოდნელი, ამ თარიღამდე აღიარებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი რჩება სხვა სრულ შემოსავალში და აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც სპეციალიზებულ მოწყობილობას დაერიცხება ცვეთა, გაუფასურდება ან გაიყიდება. თუ ჰეჯირებული პროგნოზირებული გარიგების ან მყარი ვალდებულების წარმოშობა აღარ არის მოსალოდნელი, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება განისაზღვრება იმ ხელშეკრულებების ვალუტის გაცვლის ფორვარდული კურსების საფუძველზე, რომელთაც, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, იგივე დაფარვის ვადები აქვთ, რაც საწარმოს მიერ ფლობილ ხელშეკრულებებს და სხვაობის დისკონტირების შემდეგობით საწარმოს მიერ ფლობილი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლებსაც ადგილი ექნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი ფორვარდული კურსის გამოყენებით, ურისკო განაკვეთის, ჩვეულებრივ EURIBOR-ის გამოყენებით, ფულის დროითი ღირებულების ასახვის მიზნით.

შენიშვნა 18 ჰეჯირების რეზერვი

20X0 1-ელ ნოემბერს, კომპანიამ გააფორმა მყარი ვალდებულება სპეციალიზებული მოწყობილობის 750,000 ფე-ად შესყიდვასთან დაკავშირებით, ფულადი სახსრების გადახდით, რაც განხორციელდება მიწოდების თარიღისთვის - 20X1 წლის 1-ელ ივლისს. 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს, კომპანიამ ასევე გააფორმა ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება რვა თვის ვადით და აღნიშნული ხელშეკრულება ჩამოაყალიბა, როგორც სავალუტო რისკის ჰეჯირება, მყარი ვალდებულების შესაბამისად.

20X0 წლის 31 დეკემბერს, ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება 24,475ფე-ს შეადგენდა, რომლის მთლიანი თანხა შემოსულობას წარმოადგენს. 24,475ფე-ის ოდენობით მთლიანი შემოსულობა აღიარებული იქნა სხვა სრულ შემოსავალში. წმინდა მოგება ან ზარალი 20X1 წლის 1-ელ ივლისს გადაიტანება იმავე პერიოდების მოგებაში ან ზარალში, რა პერიოდებშიც სპეციალიზებული მოწყობილობა გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე. ეს მოხდება 20X1 წლის 1-ელ ივლისის შემდგომი პერიოდებისთვის, როდესაც ადგილი ექნება მოწყობილობის ცვეთას ან გაუფასურების ხარჯების აღიარებას. მოწყობილობას ცვეთა დაერიცხება 20X1 წლის 1-ელ ივლისის შემდგომ 15 წლის მომსახურების ვადის განმავლობაში, რის შემდეგაც მოწყობილობის ღირებულება ჯართის ღირებულებამდე შემცირდება.

20X0 წელს (და 20W9 წელს) კომპანიას არ აქვს სხვა ჰეჯირების ურთიერთობები.

ამონარიდი A საწარმოს სრული შემოსავლის ანგარიშგებიდან 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	20X1 ფე	20X0 ფე
მოგება წლის განმავლობაში		XXX,XXX	XXX,XXX
სხვა სრული შემოსავალი:			
:შემდგომში, ამ თანხების გადატანა შეიძლება მოხდეს მოგებაში ან ზარალში:			
...			
სავალუტო ჰეჯირებიდან მიღებული შემოსულობა მოგებაში ან ზარალში გადატანილი შემოსულობების გამოკლებით	20	96,358(ა)	24,475
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში, გადასახადების გამოკლებით		XXX,XXX	XXX,XXX
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		XXX,XXX	XXX,XXX

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

ამონარიდი A საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებიდან 20X1 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 2 სააღრიცხვო პოლიტიკა

იგივეა, რაც ამონარიდები ფინანსური ანგარიშგებიდან 20X0 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის..

შენიშვნა 20 ჰეჯირების რეზერვი

20X1 წლის 1-ელ ივლისს კომპანიამ შეისყიდა მოწყობილობა 750,000 უფე-ად (625,000ფე); ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს. 20X0 წლის 1-ელ ნოემბერს, კომპანიამ ასევე გააფორმა ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულება 750,000 უფე-ის მისაღებად 500,000 ფე-ის სანაცვლო და აღნიშნული ხელშეკრულება ჩამოაყალიბა, როგორც სავალუტო რისკის ჰეჯირება, მყარი ვალდებულების შესაბამისად. ჰეჯირება ეფექტური იყო მყარი ვალდებულების შესაბამისი სავალუტო რისკის შედეგად

	20X1 ფე	20X0 ფე
დაგროვილი შემოსულობა ჰეჯირების ინსტრუმენტებზე პროგნოზირებული გარიგებების ეფექტური ჰეჯირების დროს, რაც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წლის დასაწყისისთვის	24,475	-
შემოსულობა, რომელიც წლის განმავლობაში წარმოიქმნება იმ ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, რომლებიც აღიარებულია წლის სხვა სრულ შემოსავალში	100,525 ^(ა)	24,475
	125,000	24,475
წლის სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში გადატანა	(4,167) ^(ბ)	-
დაგროვილი შემოსულობა ჰეჯირების ინსტრუმენტებზე პროგნოზირებული გარიგებების ეფექტური ჰეჯირების დროს, რაც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წლის ბოლოსთვის	120,833	24,475

წარმოქმნილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილებების გადასაფარად.

20X0 31 დეკემბერს ვალუტის გაცვლის ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება შეადგენდა 24,475ფე-ს.

20X1 წლის 1-ელ ივლისს, როდესაც ფორვარდული ხელშეკრულების დაფარვის ვადა დადგა, 125,000ფე აღიარებული იყო ფორვარდულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შემოსულობაში, რაც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში. აღნიშნული შემოსულობის გადატანა ხდება იმავე პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც სპეციალიზებული მოწყობილობა გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე ცვეთისა და, არსებობის შემთხვევაში,

მოდული 12—სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები

გაუფასურების მეშვეობით. შესაბამისი მოწყობილობის ცვეთა დაიწყო 20X1 წლის 1-ელ ივლისს და გაგრძელდება მოწყობილობის მომსახურების ვადის 15 წლის განმავლობაში. 20X1 წლის 31 დეკემბერს შემოსულობების თანხა, რომლის გადატანა ჯერ არ მომხდარა მოგებაში ან ზარალში შეადგენს 120,833ფე-ს.

20X1 და 20X0 წლებში კომპანიას არ ჰქონდა სხვა ჰეჯირების ურთიერთობები.

ჰეჯირების აღრიცხვის შემოსულობები და რეკლასიფიკაცია

გამოთვლები და ახსნა-განმარტებები: (ა)–(ე) არ შედის შემოთავაზებულ განმარტებით შენიშვნებში:

- (ა) არაეფექტური ჰეჯირება რომ ყოფილიყო, აღნიშნული ჰეჯირება შევიდოდა " მოგებაში წლის განმავლობაში". თუმცა, ამ მაგალითში არ იყო არაეფექტური ჰეჯირება (იხ. სიტუაციური მაგალითი 1).
- (ბ) ფორვარდული ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება 20X0 წლის 1-ლი ნოემბრიდან 20X0 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში მინუს არაეფექტური ჰეჯირება = 24,475ფე (იხ. სიტუაციური მაგალითი 1).
- (გ) 96,358ფე = რეალური ღირებულების ცვლილება 20X1 წლის 1-ლი იანვრიდან 20X1 წლის 1-ელ ივლისამდე (100,525ფე—იხ. შენიშვნა (დ)) მინუს მოგებაში ან ზარალში გადატანილი თანხა ექვსი თვის ცვეთის შესაბამისად (4,167ფე—იხ. შენიშვნა (ე)).
- (დ) რეალური ღირებულების ცვლილება 20X1 წლის 1-ლი იანვრიდან 20X1 წლის 1-ელ ივლისამდე = 100,525ფე (იხ. სიტუაციური მაგალითი 1, შენიშვნა (ა)).
- (ე) გაცვლიდან მიღებული მთლიანი მოგების რეკლასიფიკაცია ექვსი თვის ცვეთის შესაბამისად = 4,167ფე (იხ. სიტუაციური მაგალითი 1, შენიშვნა (ვ)).